



წმინდა
ეგნატი ანტიოქიელი



ጳጳሳዊ ጊዮርጊስ

ጳጳሳዊ ጊዮርጊስ



შესავალი

ღმერთშემოსილ ეგნატი ანტიოქიელს, მოციქულებრივ მამას¹ და ადრექრისტიანული ხანის მწერალს, მომდევნო ხანის ავტორები უწოდებენ „მრავალსაგალობელს“,² „მსოფლიოს მნათობს“, „მოციქულთა და წინასწარმეტყველთა განმმარტებელს“,³ რომელმაც „ანტიოქიის ეკლესიის კათედრა მარტვილის გვირგვინით შეამკო“⁴ და რომელიც ბრწყინავს სხვა ადრექრისტიანული ხანის მღვდელმთავრებსა და მონამეთა შორის.⁵ წმ. ეგნატი ანტიოქიელმა დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანული აზრის განვითარებას, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში, იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა ქრისტიანთა დევნა და მათი სარწმუნოებრივი გზის დაცინვა. ეგნატიმ საკუთარი მაგალითით თვალნათლივ უჩვენა თავისი ღროის ქრისტიანებასაც და წარმართებსაც, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ქრისტიანის ცხოვრება, ქრისტიანული რწმენა, ქრისტიანის სიმტკიცე და დათმენის უნარი და, რაც მთავარია, მაცხოვრის

1. წმ. იოანე ოქროპირი მას მოციქულს უწოდებს: „პირველს ვის უნდა შევასხათ ქება (ეგნატი ანტიოქიელში)? მონამეს, ეპისკოპოსს თუ მოციქულს?“ (იხ. *შესხმა წმინდა მონამის ეგნატისა*, 1, PG 50, სვ. 588).

2. ნეტარი თეოდორიტე კვირელი, *რამეთუ ერთი არის ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე* (იხ. PG 83, სვ. 1440A, სადაც ეს ნაშრომი თეოდორიტეს ეპ. 151-ს დაერთვის).

3. ნეტარი თეოდორიტე კვირელი, *ეპისტოლე 86 სირმონდის კოლექციიდან*, PG 83, სვ. 1284BC.

4. ნეტარი თეოდორიტე კვირელი, *ერანისტი*, PG 83, სვ. 81A.

5. ნეტარი თეოდორიტე კვირელი, *ეპისტოლე 145 სირმონდის კოლექციიდან*, PG 83, სვ. 1384D.

სიყვარული, რაც მან საკუთარი სისხლითა და სიცოცხლით დაამოწმა. მოციქულებრივ მამებს შორის ეგნატის სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია საღვთისმეტყველო აზრის და ქრისტიანული სარწმუნოების არსის ღრმა წვდომის გამო.

წმ. ეგნატი ანტიოქიელის მნიშვნელობას ქრისტიანულ ეკლესიაში ადასტურებენ სხვადასხვა გადმოცემები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიქმნა მის შესახებ. მათგან ყველაზე ცნობილია ერთი. ამ გადმოცემის თანახმად, სწორედ ეგნატი იყო ის ჩვილი, რომელსაც მაცხოვარმა ხელი დასდო და რომლის შესახებაც თქვა თავისი ცნობილი სიტყვები: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 18.2-5).¹ ზოგი გადმოცემით, „ღმერთშემოსილის“ (შდრ. 2კორ. 6.16) მეტსახელი ეგნატის სწორედ ამ გადმოცემის გავლენით მიეცა. ამის საპირისპიროდ, წმ. იოანე ოქროპირი ადასტურებს, რომ ეგნატის მაცხოვარი არ უნახავს,² და ეს ქრონოლოგიურად შეუძლებელიც იყო. ასეა თუ ისე, ეგნატი ანტიოქიელს ეს მეტსახელი სიცოცხლეშივე მიეცა და, როგორც ჩანს, იგი მისთვის მეტად ძვირფასი იყო, რადგან საკუთარ თავს ამგვარად მოიხსენიებს თავისი ყოველი წერილის დასაწყისში.

წმ. ეგნატის ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. უცნობია მისი დაბადების დრო და ადგილი, მშობლების ვინაობა, განათლება და ზოგადად, ცხოვრებისეული მოვლენები. ეგნატის წერის აზიური სტილიდან გამომდინარე, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იგი არა ბერძენი, არამედ სავარაუდოდ სირიელი (შესაძლოა, ანტიოქიელი) უნდა ყოფილიყო. ივარაუდება ისიც, რომ დაბადებით წარმართმა ეგნატიმ ქრისტიანობა მოგვიანებით იწამა. არ არის დაზუსტებით ცნობილი არც მისი მოძღვრის ვინაობა. წმ. იოანე ოქროპირი წერს ეგნატი ანტიოქიელის შესახებ, რომ იგი „მოციქულთა შორის იმყოფებოდა

1. სვიმეონ მეტაფრასტი, *მარტვილობა წმინდა მოწამის, ეგნატი ღმერთ-შემოსილისა*, 1, PG 114, სვ. 1269A.

2. წმ. იოანე ოქროპირი წერს: „როდესაც იგი (მაცხოვარი) აღესრულა, არა მხოლოდ პეტრემ და პავლემ, არამედ ეგნატიმაც, რომელსაც არ უხილავს იგი (Τὸν οὐδὲ ἑώρακτα αὐτὸν) და არც მასთან ურთიერთობა ჰქონია, ისეთი მოშურნეობა აჩვენეს მის მიმართ, რომ მისთვის სულიც კი დადეს“ (*შესხმა წმინდა მოწამის ეგნატისა*, 4, PL 50, სვ. 593).

და მათგან მიიღო სულიერი ნაკადი. როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც მათთან აღიზარდა და ყველგან მათთან ერთად იმყოფებოდა?“¹ ეპისკოპოსის „ძალაუფლება მას ამ წმინდა ადამიანთა მიერ გადაეცა და მის წმინდა თავს ეხებოდნენ ნეტარ მოციქულთა ხელები... რითაც მათ ადამიანთათვის დამახასიათებელი ყოველგვარი სათნოების არსებობა დაამოწმეს მასში“.² მოციქულებთან ეგნატის უშუალო ურთიერთობის შესახებ წერს სოკრატე სქოლასტიკოსი.³ იოანე ოქროპირისა და სოკრატე სქოლასტიკოსის გადმოცემებიდან იგულისხმება, რომ ეგნატი პირადად იცნობდა მოციქულებს, სავარაუდოდ, პეტრე და პავლე მოციქულებს, რაც სავსებით დასაშვებია, რადგან ანტიოქიაში ორივე მათგანს უქადაგია. მეორე მხრივ, ნეტარი იერონიმე თავის ნაშრომში *ქრონიკა*, წმ. ირინეოს ლიონელზე დაყრდნობით გადმოსცემს, რომ ეგნატი იყო იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე, ისევე, როგორც პაპიას ჰიერაპოლელი და წმ. პოლიკარპე სმირნელი, თუმცა მეორე ნაშრომში, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, არაფერს წერს ამის თაობაზე. თავად ეგნატის წერილებში არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, იცნობდა თუ არა იგი მოციქულებს და, ამდენად, მისი მოძღვრის ვინაობა მაინც დაუზუსტებელი რჩება.

დაუზუსტებელია, ასევე, ვის შემდეგ და ვისი ხელდასხმით გახდა წმ. ეგნატი ანტიოქიის ეპისკოპოსი. ორიგენე⁴ და ევსევი კესარიელი⁵ მიუთითებენ, რომ ეგნატი იყო მეორე ეპისკოპოსი

1. წმ. იოანე ოქროპირი, *შესხმა წმინდა მონამის ეგნატისა*, 1, PG 50, სვ. 588.

2. წმ. იოანე ოქროპირი, *შესხმა წმინდა მონამის ეგნატისა*, 2, PG 50, სვ. 588.

3. „და თავად მოციქულებთან ჰქონდა ურთიერთობა“ (καὶ τοῖς ἀποστόλοις αὐτοῖς συνῆλθον, *ეკლესიის ისტორია*, 6.8).

4. „ეგნატის ვიტყვი, ნეტარი პეტრეს შემდეგ ანტიოქიის მეორე ეპისკოპოს“ (ორიგენე, *განმარტებანი ლუკას სახარებაზე*, 6.34.24).

5. „ეგნატის, რომელიც ახლაც მრავალსაგალობელია მრავალთა მიერ, წილად ხვდა, ყოფილიყო პეტრეს შემდეგ მეორე ეპისკოპოსი ანტიოქიაში (τῆς κατὰ Ἀντιόχειαν Πέτρον διαδοχῆς δεύτερος τῆς ἐπισκοπῆς κεκληρωμένος)“, *ეკლესიის ისტორია*, 3.36. ეს სიტყვები ეწინააღმდეგება ევსევის ამავე თხზულების სხვა მონაკვეთს: „ანტიოქიის პირველი ეპისკოპოსის, ევოდოსის გარდაცვალების შემდეგ მეორედ არჩეულ იქნა ეგნატი“, *ეკლესიის ისტორია*, 3.22.

პეტრეს შემდეგ, რომ იგი დადგენილი იქნა სირიის ანტიოქიის ეპისკოპოსად, როდესაც აღესრულა პეტრე მოციქული და მისი მომდევნო მღვდელმთავარი – ევოდიოს ანტიოქიელი (Εὐόδιος). ამას ადასტურებენ ნეტარი იერონიმე¹ და სოკრატე სქოლასტიკოსიც.² თუმცა არაერთ სხვა ტექსტში მითითებულია, რომ ეგნატიმ ანტიოქიის ეპისკოპოსის წოდება უშუალოდ პეტრე მოციქულის შემდეგ მიიღო. წმ. იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ ეგნატი, როგორც ეპისკოპოსი, პეტრე მოციქულის მემკვიდრე გახდა და მას მოციქულად და მოციქულთა სწორად მიიჩნევს.³ წმ. იოანე ოქროპირის გადმოცემას ეთანხმებიან თეოდორიტი კვირელი⁴ და იოანე მალალა,⁵ რომლებიც შენიშნავენ, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსობაზე ხელდასხმა ეგნატის უშუალოდ პეტრე მოციქულის მარჯვენისაგან მიუღია. ზოგი ავტორი ცდილობს, შეათანხმოს ეს ორი გადმოცემა და მიიჩნევს, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსად ევოდიოსი პეტრე მოციქულის მიერ იქნა დადგენილი, ეგნატი კი პავლე მოციქულის მიერ.⁶

ევსევი კესარიელის თანახმად, ანტიოქიის ეპისკოპოსის წოდება ეგნატის მიუღია იმპერატორ ვესპასიანეს ზეობის (69-79 წწ.) პირველ წელს და, მისივე ცნობით, იგი გრძელდებოდა იმპერატორ

1. „ეგნატი, მესამე ეპისკოპოსი ანტიოქიის ეკლესიისა პეტრე მოციქულის შემდეგ“ (ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666A).

2. სოკრატე სქოლასტიკოსის თანახმად, ეგნატი იყო ანტიოქიის მესამე ეპისკოპოსი პეტრე მოციქულის შემდეგ (Ἰγνάτιος ὁ Ἀντιοχείας τῆς Συρίας, τριτός ἀπὸ τοῦ ἀποστόλου Πέτρου ἐπίσκοπος, *ეკლესიის ისტორია*, 6.8).

3. წმ. იოანე ოქროპირის თანახმად, ისევე, როგორც საძირკვლიდან ქვაკუთხედის გამომღები ცდილობს, ისეთივე დადოს მის სანაცვლოდ, თუკი არ უნდა, შეარყიოს და გააფუჭოს მთელი შენობა, ასევე მაშინ, როდესაც პეტრე უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან, სულიწმინდის მადლმა მის ნაცვლად დააყენა სხვა, პეტრეს სანაცვლო მოძღვარი (Ἐτερον ἀντιόχειον Πέτρον δὲ δάσκαλον), რათა უკვე აგებული შენობა არ გაფუჭებულიყო მემკვიდრის უმნიშვნელობის გამო (*შესხმა წმინდა მონამის ეგნატისა*, 2, PG 50, სვ. 591).

4. ნეტარი თეოდორიტი კვირელი, *რამეთუ ერთი არის ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე*, PG 83, სვ. 1440A; *ერანისტი*, PG 83, სვ. 81A.

5. „და მიიღო ანტიოქიის ეპისკოპოსის სქიმა ეგნატომ წმინდა პეტრე მოციქულის ხელდასხმის შემდეგ“, იხ. Ioannis Malalae *Chronographia*. Ed. L. Dindorf. Bonn, 1831, გვ. 252.

6. *მოციქულთა დადგენილებები*, 7.46.

ტრაიანეს ზეობის მეათე წლამდე (98-117წწ.).¹ შესაბამისად, წმ. ეგნატის ანტიოქიის კათედრა ეკავა 69-107 წწ. ეგნატის ანტიოქიის ეპისკოპოსად დადგენის შესახებ ცნობას იძლევა ნეტარი იერონიმეს *ქრონიკაც*, მაგრამ ამ ნაშრომში ეს მოვლენა თარიღდება 212-ე ოლიმპიადით, ანუ 72 წლით. ამდენად, თუკი ამ წყაროებში მოცემული დათარიღებები სარწმუნოა, ეგნატი უშუალოდ პავლე მოციქულის მიერ ვერ იქნებოდა ხელდასხმული ეპისკოპოსად.

წმ. ეგნატი ანტიოქიელის ცხოვრებაში მისი მონამეობა ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. სიცოცხლის ბოლოს ეგნატი დააპატიმრეს და იმპერატორ ტრაიანეს ზეობის მეთერთმეტე წელს² (98-117 წწ.), სავარაუდოდ, პროკონსულის სასამართლომ ქრისტიანობის გამო მას მხეცებით დაგლეჯა მიუსაჯა,³ რის შემდეგაც იგი სასჯელის აღსასრულებლად რომში წაიყვანეს.⁴ ევსევი კესარიელის გადმოცემით, როდესაც აზიის გზით სირიიდან რომისაკენ მიჰყავდათ, უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ეგნატი (მას სდარაჯობდა ათი ჯარისკაცი, რომელთაც იგი სასტიკი მოპყრობის გამო ჯიქებს უწოდებს),⁵ ქალაქებში გაჩერებების დროს საუბრებითა და შეგონებებით ამხნევებდა მორწმუნეებს და არწმუნებდა, მტკიცედ ეწამათ სამოციქულო გადმოცემა და განშორებოდნენ მწვალებლობებს.⁶

1. *Die Chronik aus dem Armenischen übersetzt mit textkritischem Kommentar*. Ed. J. Karst. *Eusebius, Werke* 5. Die Griechischen Christlichen Schriftsteller 20. Berlin: Akademie, 1911, გვ. 216-218. იხ. *საქართველოს ეკლესიის კალენდარი* 1988. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, გვ. 524.

2. ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666-667B. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ლათინურ ტექსტში ჩანერილია „მეთერთმეტე წელს“ (*“Passus est anno undecimo Trajani”*), ბერძნულში კი „მეათე წელს“ (*Ἐπαθε δεκάτῃ ἔτει Τραϊανῶν*). იერონიმე *ქრონიკაში* მიუთითებს, რომ „ეგნატი, ანტიოქიის ეკლესიის ეპისკოპოსი, გაიგზავნა რომში და მიეცა მხეცვებს“, თარიღად კი ასახელებს 221-ე ოლიმპიადას (= 108 წელს).

3. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.2; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 10.1; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 4.1-2, 5.2-3; *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 4.2.

4. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.2, 21.2.

5. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 5.1.

6. *ეკლესიის ისტორია*, 3.36. აქვე ევსევი კესარიელი, ეგნატი ანტიოქი-

წმ. ეგნატი ანტიოქიელის ცხოვრების ამ პერიოდს ეკუთვნის ეპისტოლეები, რომლებიც მან სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე¹ მისწერა წმ. პოლიკარპე სმირნელს და ქრისტიანულ ეკლესიებს, რომელთა ეპარქიებიც გაიარა. როგორც მისი წერილებიდან ჩანს, ეგნატი ანტიოქიიდან გაემგზავრა ზღვით,² მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის გავლით. მან გაიარა ფილადელფია, ეფესო, ტრალისი, მაგნესია, შედარებით დიდხანს შეყოვნდა სმირნასა და ტროაში, სადაც შეხვდა პოლიკარპე სმირნელს და სხვადასხვა ეკლესიებისაგან მოსაკითხად და მისგან კურთხევის მისაღებად გამოგზავნილ წარმომადგენლებს.³ აქედან, სმირნიდან⁴ და ტროადან,⁵ ეგნატიმ სამადლობელი წერილები მისწერა მათი ეკლესიების სასულიერო პირებს, მისწერა, ასევე, რომაელებსაც თხოვნით, არ გამოეჩინათ გულისხმიერება და არ მოეკლოთ მისთვის მოწამეობის შესაძლებლობა (2.1). წმ. ეგნატი ანტიოქიელი, როგორც საკუთარი სამწყსოს კეთილი მწყემსი, ეპისტოლეებში სთხოვდა ადრესატებს, ელოცათ სირიის ეკლესიისათვის, ხოლო როდესაც ტროაში ჩასვლისას შეიტ-

ლის წერილებზე დაყრდნობითა და მათი დამოწმებით, საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს მის მოგზაურობას.

1. *ეპისტოლეში რომაელთა მიმართ*, რომელიც ეგნატი ანტიოქიელს სმირნაში დაუწერია, მითითებულია წერილის შედგენის თარიღი – 24 აგვისტო (10.1,3).

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 5.1.

3. იხ. მაგალითად, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.2, 2.1; *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 2.1; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 1.1; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 9.3; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 11.1.

4. სმირნიდან ეგნატი ანტიოქიელს გაუგზავნია *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ* (იხ. 21.1), *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ* (15.1), *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ* (12.1), *ეპისტოლე რომაელთა მიმართ* (10.1). შდრ. ნეტარი იერონიმე, *გამორჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666AB.

5. ტროადან ეგნატის გაუგზავნია ბოლო სამი წერილი: *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ* (იხ. 11.2), *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ* (12.1), *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ* (8.1). შდრ. ნეტარი იერონიმე, *გამორჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666AB. მთლიანობაში, სმირნიდან ეგნატი ანტიოქიელმა მისწერა იმ ეკლესიებს, რომელთაც მასთან წარმომადგენლები გამოგზავნეს, ტროადან კი მათ მიმართ, ვისთანაც პირადად ჰქონდა ურთიერთობა (იხ. J. B. Lightfoot, *The Apostolic Fathers*. London, New York, 1907. გვ. 97-98).

ყო, რომ სირიაში ქრისტიანთა დევნა შეწყდა და მის ეკლესიაში მშვიდობამ დაიგნა, წერილობით სთხოვა სირიის ეკლესიაში წარმომადგენელთა გაგზავნა.¹ სხვა ეკლესიების მიმართ ეგნატიმ ეპისტოლეების დაწერა ველარ მოასწრო და ეს პოლიკარპე სმირნელს დაავალა.² ტროადან ეგნატი გაემგზავრა მაკედონიის ნეაპოლისაკენ,³ საიდანაც მას, ანტიოქიური მარტიროლოგის თანახმად, გაუვლია ქ. ფილიპი და დირაქიუმი, რის შემდეგაც ჩასულა რომში. ამის შემდეგ, ფილიპელებს მიუწერიათ წმ. პოლიკარპე სმირნელისთვის და მისგან ეგნატის წერილები გამოუთხოვიათ.⁴ იმ დროისათვის, როდესაც პოლიკარპე სმირნელი მათ, საკუთარი წერილის თანხლებით, ეგნატის ეპისტოლეებს უგზავნიდა, თავად ეგნატი უკვე აღარ იყო ცოცხალი, არამედ იმყოფებოდა „მისთვის ჯეროვნად მიკუთვნებულ ადგილას, უფალთან“.⁵ ფილიპელთათვის გაგზავნილ საპასუხო ეპისტოლეში პოლიკარპე დიდ შეფასებას აძლევს ეგნატის წერილებს: „მათგან დიდი სარგებლობის მიღება შეგიძლიათ, რადგან ისინი შეიცავენ სარწმუნოებას, სიმტკიცეს და ყოველგვარ შეგონებას, რომელიც ჩვენს უფალს უკავშირდება“.⁶

რომში წმ. ეგნატი ანტიოქიელმა მონამეობით დაასრულა თავისი სიცოცხლე: იგი მიუგდეს მხეცებს⁷ 107/108 წლის 20

1. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 10.1; *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 11.1-2; *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 7.1-2.

2. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 8.1.

3. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 8.1.

4. იხ. წმ. პოლიკარპე სმირნელის *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*, 9.1-2, 13.1-2.

5. წმ. პოლიკარპე სმირნელის *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*, 9.2.

6. წმ. პოლიკარპე სმირნელის *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*, 13.2.

7. ამის შესახებ გადმოსცემენ წმ. ირინეოს ლიონელი (*მწვალებლობათა წინაღმდეგ*, 5.28.4, PG 7b, სვ. 1200C-1201A), ორიგენე (*“ეგნატის ვიტყვი... რომელიც ქრისტიანთა დევნისას რომში მხეცებს შეებრძოლა“*, *განმარტებანი ლუკას სახარებაზე*, 6.34.24), ნეტარი იერონიმე (*გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666A, 668B), ევსევი კესარიელი (*ეკლესიის ისტორია*, 3.36) და ნეტარი თეოდორიტი კვირელი, რომლის თანახმადაც, ეგნატი ქრისტიანული მრწამსის გამო მისცეს მხეცებს (*რამეთუ ერთი არის ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე*, PG 83, სვ. 1440A). ერთადერთი მწერალი, რომელიც ეგნატი ანტიოქიელის მონამეობას ანტიოქიაში მიუთითებს, არის იოანე მალალა (*Ioannis Malalae Chronographia*. Ed. L. Dindorf. Bonn, 1831, გვ. 276),

დეკემბერს¹ (სხვა ვერსიით, 17 ოქტომბერს).² ეგნატის თან ახლდნენ სხვა ქრისტიანებიც, რომლებმაც მასთან ერთად დაითმინეს მონამეობა.³ წმ. ეგნატი ანტიოქიელის მონამეობის გადმოცემა შემორჩენილია მარტვილობის აქტებით,⁴ ანტიოქიური (V-VI სს.) და რომაული (V ს-ის შემდგომი ხანების) მარტიროლოგებით. ისინი გვიანდელია და, ცხადია, არ წარმოადგენენ უტყუარ წყაროებს, ხოლო ბევრი რამ, რაც გადმოცემულია ამ ტექსტებში, სადავოა, მაგრამ მისი მარტვილობის ამსახველი სხვა წყაროები არ არსებობს. ეგნატის წამების კომენტარი რედაქცია თარგმნილია ქართულადაც.⁵

წმ. ეგნატი ანტიოქიელის ნეშტი რომიდან ანტიოქიაში გადასვენეს⁶ 108 წლის 29 იანვარს. ნეტარი იერონიმეს ცნობით, მის დროს ეგნატი ანტიოქიელის ნეშტი დაკრძალული იყო ანტიოქიაში, დაფნისის კარიბჭის გარეთ მდებარე სასაფლაოზე.⁷

თუმცა ეს ცნობა სადავოდ მიიჩნევა, რადგან ის ეწინააღმდეგება ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებს (შდრ. *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 8.1).

1. ამ თარიღს მიუთითებენ ეგნატი ანტიოქიელის მარტვილობის აქტები, რომლებიც გამოცემულია Th. Ruinart-ის (*Martyrium Colbertinum*, 1689 წ., კოლბერის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით, იხ. *Acta Primorum Martyrum Sincera et Selecta. Ed. Thierry Ruinart. Paris, 1689*) და Dressel-ის მიერ (*Martyrium Vaticanum*, 1857, ვატიკანის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით, იხ. *Patrum Apostolicorum Opera. Ed. Albertus. R.M. Dressel. Leipzig, 1857*). ეს დღე ითვლება ეგნატი ანტიოქიელის მოსახსენიებელ დღედ აღმოსავლეთის ეკლესიაში.

2. აღმოსავლეთის მარტიროლოგის (IV ს.) სირიული ვერსიის თანახმად. 1969 წლიდან ეგნატი ანტიოქიელის მოსახსენიებელ დღედ დასავლეთის ეკლესიებში ითვლება 17 ოქტომბერი, იმის გათვალისწინებით, რომ სმირნიდან რომისკენ მგზავრობისათვის არ არის საჭირო 4 თვე, 20 დეკემბრამდე 24 აგვისტოდან, რომლითაც თარიღდება ეგნატი ანტიოქიელის მიერ რომაელებისათვის სმირნიდან გაგზავნილი ეპისტოლე (იხ. *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 10.3).

3. წმ. პოლიკარპე სმირნელი, *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*, 1.1, 9.1, 13.2.

4. გამოცემულია რუინარტის და დრესელის მიერ (იხ. ზემოთ).

5. ივ. ჯავახიშვილი. *სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*. თბილისი, 1947, გვ. 171-183; ე. გაბიძაშვილი. *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია*. თბილისი, 2004, გვ. 180, N 305.

6. წმ. იოანე ოქროპირი, *შესხმა წმინდა მონამის ეგნატისა*, PG 50, სვ. 587-588, იხ. ქვესათაური.

7. ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 668B.

438 წელს ნემჭი დაიკრძალა საკუთრივ ანტიოქიაში, რის შემდეგაც სპარსელთა (540 წ.) ან არაბთა (637 წ.) მიერ ანტიოქიის ალების შემდეგ იგი გადაასვენეს რომში, წმ. კლიმენტი რომაელის ეკლესიაში.

არსებობს წმ. ეგნატი ანტიოქიელის წერილების სამი რედაქცია: ვრცელი, მოკლე და საშუალო. ავთენტურად მიჩნეულია საშუალო რედაქცია, 7 ეპისტოლე, რომლებიც ჩამოთვლილია ევსევი კესარიელთან¹ და ნეტარ იერონიმესთან² შემდეგი მიმდევრობით: ეფესელთა, მაგნესიელთა, ტრალისელთა, რომაელთა, ფილადელფიელთა, სმირნელთა და პოლიკარპეს მიმართ. ამასთან, პოლიკარპესადმი მიმართული წერილის არსებობა დასტურდება თავად პოლიკარპე სმირნელის მიერ.³ მიმდევრობა, რომლითაც ჩვეულებრივ ხდება ეგნატის წერილთა გამოცემა, ევსევი კესარიელისა და ნეტარ იერონიმეს ჩამონათვალს ეყრდნობა, მით უფრო, რომ წერილთა დაწერის ადგილიდან, მათი ადრესატებიდან და შინაარსიდან გამომდინარე ეს მიმდევრობა საკმაოდ ლოგიკურიცაა. რაც შეეხება ხელნაწერებს, მათში ეპისტოლეთა მიმდევრობა სხვაგვარად არის მოცემული: სმირნელთა, პოლიკარპეს, ეფესელთა, მაგნესიელთა, ფილადელფიელთა, ტრალისელთა და რომაელთა მიმართ.⁴ ეპისტოლეები დაუთარილებელია. ერთადერთი წერილი, რომელთანაც მითითებულია თარიღი, 24 აგვისტო, არის *ეპისტოლე რომაელთა მიმართ* (10.3).

წმ. ეგნატის ეპისტოლეთა მოკლე რედაქციაში⁵ შედის 3 ეპისტოლე: ეფესელთა, რომაელთა და პოლიკარპე სმირნელის მიმართ, რომლებიც აქ შეკვეცილი სახით არის წარმოდგენილი.

1. *ეკლესიის ისტორია*, 3.36.

2. სმირნაში დაწერილ ეპისტოლეთა შორის ნეტარი იერონიმე ჩამოთვლის პირველ ოთხ ეპისტოლეს: ეფესელთა, მაგნესიელთა, ტრალისელთა და რომაელთა მიმართ, იქიდან გამგზავრების შემდეგ კი წერილებს ფილადელფიელთა, სმირნელთა და პირადად პოლიკარპეს მიმართ (ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 16, PL 23, სვ. 666AB).

3. წმ. პოლიკარპე სმირნელი, *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*, 13.1.

4. Lightfoot, გვ. 98.

5. *The ancient Syriac version of the Epistles of S. Egnatius*. Ed. W. Cureton. London, 1845. გამოცემა შეიცავს ეფესელთა, რომაელთა და პოლიკარპეს მიმართ ეპისტოლეების IV ს-ის სირიულ თარგმანს.

რაც შეეხება ვრცელ რედაქციას, იგი თავდაპირველად მოიცავდა 12 ეპისტოლეს, შემდეგ კი მათი რიცხვი 15-მდე გაიზარდა. მათ შორის წარმოდგენილია ზემოხსენებული 7 წერილიც, რომელთაც აქ განვრცობილი სახე აქვთ.

ეპისტოლეები მნიშვნელოვანია პირველ რიგში, მათში დაცული ცნობების გამო. ამასთან ერთად, აღსანიშნავია წერილებში დაცული ახალი აღთქმის, კერძოდ, მათეს, ლუკას, იოანეს სახარებათა, *საქმე მოციქულთა*-ს და მოციქულთა ეპისტოლეების არაერთი დამონშევა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ I საუკუნის დასასრულისათვის ახალი აღთქმის ძირითადი ნიგნები ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაო ავტორიტეტებად მიიჩნეოდა. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ეგნატის წმინდა წერილის სტრიქონები ზეპირად ახსოვდა, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, მას წმინდა ნიგნები მგზავრობისას ჰქონოდა ხელთ.

მცირე ხანში საყოველთაო ავტორიტეტად იქცა თავად წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებიც. მათ, როგორც ავტორიტეტულ ნაშრომებს, იმონშებდნენ, მაგალითად, ორიგენე,¹ წმ. ათანასე ალექსანდრიელი,² წმ. ირინეოსი,³ შემდეგ კი ნეტარი თეოდორიტე კვირელი მონოფიზიტური წვალების წინააღმდეგ დაწერილ ნაშრომში, *ერანისტი*, სადაც იგი იმონშებს შესაბამის მონაკვეთებს ეგნატის *ეპისტოლედან სმირნელთა მიმართ* (1.1-2, 5.2, 4.2-5.1,⁴ 3.1-3,⁵ 7.1⁶), *ეპისტოლედან ეფესელთა მიმართ* (7.2,⁷ 18.2, 20.2⁸) და *ეპისტოლედან ტრალისელთა მიმართ* (9.1).⁹ ეს წერილები დღესაც საყოველთაო ავტორიტეტად

1. ორიგენე, *განმარტებები ლუკას სახარებაზე*, 6.34-35. იგი იმონშებს ეგნატი ანტიოქიელის *ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს* (19.1).

2. *სინოდების შესახებ იტალიის არიმინუმში და სელევკიის ისავრიაში*, 47, PG 26, სვ. 776C. მასთან დამონშებულია ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ* (7.2).

3. *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 5.28.4, PG 7b, სვ. 1200C-1201A. აქ წმ. ირინეოსი ახდენს ეგნატი ანტიოქიელის *რომაელთა მიმართ ეპისტოლეს* (4.1) ციტირებას.

4. PG 83, სვ. 81BC.

5. PG 83, სვ. 169B.

6. PG 83, სვ. 284A.

7. PG 83, სვ. 84A.

8. PG 83, სვ. 81C.

9. PG 83, სვ. 84A.

ითვლება და თანამედროვე მკვლევარები მათ ახალი აღთქმის ღირსეულ გაგრძელებად მიიჩნევენ.

წმ. ეგნატი ანტიოქიელის სტილი სადაა და მარტივი, როგორც ეს ადრექრისტიანულ ტექსტებს ახასიათებს, ამასთან ერთად კი გულწრფელი, მგზნებარე და ემოციური, აღსავსე ღვთისმოსავობით, ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით. საგულისხმოა ისიც, რომ ეგნატის წერის სტილს უახლოებენ ბიბლიურს, განსაკუთრებით კი პავლე მოციქულის ეპისტოლეთა სტილს.¹ ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებში ძირითადად რამდენიმე საკითხს ეთმობა ყურადღება, კერძოდ, ქრისტიანულ მრწამსს და მწვალებლობებთან დაპირისპირებას, ეკლესიასა და სასულიერო პირებს, რომელთაც იგი ცხონების კარიბჭეს² უწოდებს. თავის წერილებში წმ. ეგნატი იძლევა ეკლესიის იერარქიასაც (ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი),³ ასევე, ეპისკოპოსის მოვალეობასთან დაკავშირებულ შეგონებებს, რომელთა შესახებაც ძირითადად პოლიკარპე სმირნელისადმი მიმართულ ეპისტოლეში არის საუბარი. გარდა ამისა, მოციქულებრივი მამა თავის წერილებში ხაზს უსვამს ქრისტიანობის ქვაკუთხედებს: რწმენასა და სიყვარულს, ნათლისღებასა და ზიარებას, რომლის მეშვეობითაც ყველა ქრისტიანი მაცხოვარში ერთიანდება.

მრწამსთან დაკავშირებული მონაკვეთები წმ. ეგნატი ანტიოქიელის წერილებში განპირობებულია იმ პერიოდის საღვთისმეტყველო დავებით იუდაიზმისა⁴ და დოკეტიზმის⁵ მიმდევრებ-

1. წმ. ეგნატი ანტიოქიელის სტილთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ იგი იყენებს რამდენიმე ლათინურ სიტყვას ბერძნული ტრანსლიტერაციით, როგორცაა: ἑξemplarion „მაგალითი“ (*ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 2.1, შდრ. „exemplarium“), δεσέρταρ „დეზერტირი“ (შდრ. „desertor“), τὰ δεπόσιτα „შენატანი“ (შდრ. „deposita“), τὰ ἄκκεπτα „მოსაგებელი“ (შდრ. „accepta“) (*ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 6.2).

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 9.1.

3. *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 6.1.

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 6.1.

5. დოკეტები უარყოფდნენ მაცხოვრის განკაცების მატერიალურ მხარეს და თვლიდნენ, რომ განხორციელება მოჩვენებითი იყო. მათ წინააღმდეგ ეგნატი ანტიოქიელი წერს *ეპისტოლეში ტრალისელთა მიმართ* (6.1-2, 9, 10) და *ეპისტოლეში სმირნელთა მიმართ* (7.1-2).

თან. ეგნატის მრწამსის საუკეთესო მაგალითია მისი *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*: „დაიხშეთ ყურები, როდესაც ვინმე დაგინწყებთ საუბარს რაიმე სხვაზე, იესო ქრისტეს გარდა, რომელიც დავითის გვარიდან, მარიამისგანაა, ვინც ჭეშმარიტად იშვა, ჭამა და სვა, ჭეშმარიტად განისაჯა სასამართლოზე პონტიუს პილატეს მიერ, ჭეშმარიტად ეცვა ჯვარს და მოკვდა, ზეციერთა, მიწიერთა და მიწისქვეშათა თვალწინ, ვინც ჭეშმარიტად აღსდგა მკვდრეთით, როდესაც აღადგინა იგი მისმა მამამ, ვის მსგავსადაც ჩვენც, ვისაც გვნამს იგი, ასევე აღგვადგენს მისი მამა იესო ქრისტეში, რომლის გარეშეც არ გვაქვს ჭეშმარიტი ცხოვრება. ხოლო თუკი, როგორც ზოგიერთი უღმერთო ანუ ურწმუნო ამბობს, იგი მოჩვენებითად ევნო (თავად არიან მოჩვენებითნი!), მე რაღად ვარ შებოროკილი? რატომ მნადია მხეცებთან ბრძოლა? მაშ, უსარგებლოდ ვკვდები! მაშ, ცილს ვწამებ უფალს!“¹

წმ. ეგნატი ანტიოქიელი ხაზგასმით მიუთითებს მაცხოვრის ვენების ჭეშმარიტების შესახებ. იგი წერს, რომ მაცხოვარი, უფალი, ღმერთი, ხორციელად ევნო, – რისი დამამტკიცებელიც მისი სხეული და მისი სისხლია, – და ხორციელად აღსდგა: „მე ვიცი, რომ იგი აღდგომის შემდეგაც ხორციით იყო (მოსილი) და მწამს, რომ ახლაც არის. და როდესაც მივიდა მათთან, ვინც პეტრესთან ერთად იმყოფებოდა, უთხრა მათ: აიღეთ და შემეხეთ მე, და იხილეთ, რომ არა ვარ უსხეულო სული. და მყისვე შეეხნენ მას და დაიჯერეს, რადგან დარწმუნდნენ მისი სხეულითა და სისხლით. ამიტომაც მათ მოიძაგეს სიკვდილი და სიკვდილს აღემატნენ. აღდგომის შემდეგ იგი ჭამდა და სვამდა მათთან ერთად, როგორც ხორციელი, თუმცა სულიერად ის შეერთებული იყო მამასთან“.² ეგნატი ანტიოქიელი ხატოვნად გადმოსცემს სამების დოგმატს: „თქვენ ლოდები ხართ ტაძრისა, რომლებიც წინასწარ განამზადა ასაშენებლად მამა ღმერთმა, თქვენ, სულიწმინდის თოკის მხმეველნი, აყვანილნი ხართ სიმაღლეზე იესო ქრისტეს იარაღით, რომელიც არის ჯვარი“.³

1. *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 9-10. იხ. ასევე, *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 1.1-2.

2. *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 3.1-3.

3. *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 9.1.

იგი გარკვევით მიუთითებს მაცხოვრის ორბუნებოვანების შესახებაც: „მკურნალი ერთი არსებობს, ხორციელი და სულიერი, შობილი და უშობელი, ღმერთი კაცში (განხორციელებული), ჭეშმარიტი სიცოცხლე სიკვდილში, (შობილი) მარიამისგან და (შობილი) ღვთისგან, თავდაპირველად ვნებული და შემდგომ უვნებელი, იესო ქრისტე, უფალი ჩვენი“.¹ მკვლევარები წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებში მიუთითებენ გამოთქმათა ურთიერთშენაცვლების ხერხის, ე.წ. "communicatio idiomatum"-ის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ის, რაც მიემართება ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას, მიემართება კაცობრივსაც, და პირიქით. ამის მაგალითებია ეგნატის სიტყვები: „განცხოველებულებმა ღვთის სისხლის მიერ“,² „ნება მომეცით, ჩემი ღვთის ვნებათა მიმბაძველი გავხდე“,³ ასევე „განუყოფლად გახარებულს ჩვენი უფლის ვნებასა და მის აღდგომაში“.⁴ ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, წმ. ეგნატი ანტიოქიელი ეკლესიის პირველი მამაა, რომლის ნაწერებშიც ახალი აღთქმის შემდეგ მითითებული იქნა მარიამ ღვთისმშობელის ქალწულობისა და ამავე დროს დედობის შესახებ: „დაფარული იყო ამ სანუთროს მთავრისაგან მარიამის ქალწულობა და მისი მშობიარობა, და ამის მსგავსად, უფლის სიკვდილიც, – სამი ხმამალა სათქმელი საიდუმლო, რომლებიც ღვთის მდუმარებაში აღესრულა“.⁵

წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებში დიდი ყურადღება ეთმობა ეკლესიას და სასულიერო პირების, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსის მიმართ მორჩილებას. მისი თვალსაზრისით, რადგანაც ჩვენი ხსნისათვის საჭირო იყო მაცხოვრის ხილული, ხორციელი მოსვლა, შესაბამისად, ჩვენი ცხონებაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ ხილულ ეკლესიაში, რომელიც არის საყოველთაო (კათოლიკე): „სადაც ეპისკოპოსი გამოჩნდება, იქ უნდა იყოს ხალხის კრებული, ისევე, როგორც სადაც იესო ქრისტეა, იქ არის კათოლიკე ეკლესია“;⁶ „ეპისკოპოსს უნდა ვუცქერდეთ,

1. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 7.2.
2. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 1.1.
3. ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 6.3.
4. ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ, პროლოგი.
5. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 19.1.
6. ეპისტოლე სმირნელთა მიმართ, 8.2.

როგორც თავად უფალს“;¹ „ყველამ პატივი უნდა მიაგოს დიაკვნებს როგორც იესო ქრისტეს, ისევე როგორც ეპისკოპოსს, რომელიც არის მამის სახება, მღვდლებს – როგორც საღმრთო შესაკრებელს და როგორც მოციქულთა ერთობას. მათ გარეშე ეკლესია ეკლესიად არ იწოდება“;² „ყველანი მიჰყევით ეპისკოპოსს, როგორც იესო ქრისტე – მამას, და სამღვდლოებას – როგორც მოციქულებს“;³ „გარწმუნებთ, ყველაფრის კეთებას ესწრაფოთ საღმრთო ერთსულოვნებაში, ეპისკოპოსის – როგორც ღვთის, მღვდლების – როგორც მოციქულთა შესაკრებელის თავმჯდომარეობით, ჩემთვის უტკბეს დიაკვნებს კი მინდობილი აქვთ იესო ქრისტეს მსახურება“;⁴ „კარგნი არიან მღვდელნი, მაგრამ უკეთესია მღვდელმთავარი, რომელსაც მინდობილი აქვს წმინდათა წმინდა, რომელსაც ერთადერთს აქვს მინდობილი ღვთის საიდუმლონი. იგი არის კარობჭე მამისა, რომლითაც შედიან აბრაამი, ისააკი, იაკობი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ეკლესია“.⁵

წმ. ეგნატი ანტიოქიელი საუბრობს ზიარების შესახებაც, რადგან „ზიარება არის ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ხორცი, (ხორცი), რომელიც ევნო ჩვენი ცოდვებისათვის და რომელიც მამამ აღადგინა თავისი სიკეთით“,⁶ და მიმართავს სასულიერო პირებს: „იზრუნეთ, აღასრულოთ ერთი ზიარება, რადგან ერთია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხორცი, და ერთია ბარძიმი მისი სისხლის ერთობაში, ერთი საკურთხეველი, ისევე, როგორც ერთი ეპისკოპოსი, სამღვდლოებასთან და დიაკვნებთან, ჩემს თანამსახურებთან ერთად“.⁷ აქვე უნდა ითქვას, რომ ზიარების საიდუმლოს აღნიშვნისათვის ეგნატი ანტიოქიელი იყენებს მხოლოდ *εὐχαριστία*-ს (*εὐχαριστία*, როგორც ზიარების აღმნიშვნელი ტერმინი, პირველად ეგნატი ანტიოქიელის წერი-

1. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 6.2.

2. ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ, 3.1.

3. ეპისტოლე სმირნელთა მიმართ, 8.1.

4. ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ, 6.1.

5. ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ, 9.1.

6. ეპისტოლე სმირნელთა მიმართ, 7.1 (ლაითფუტის რედაქციით, 6.2).

7. ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ, 4.1.

ლებშია გამოყენებული),¹ ხოლო *κοιναία*, რომელიც ახალ აღ-
თქმაში ზიარებას გადმოსცემს (იხ. მაგალითად, 1კორ. 10.16),
მასთან არ დასტურდება.

ეკლესიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ
სოკრატე სქოლასტიკოსი ეგნატი ანტიოქიელს მიაწერს საეკ-
ლესიო ღვთისმსახურებაში ანტიფონური, ორგუნდიანი გალო-
ბის შემოტანას. როგორც ის მიუთითებს, ეგნატი ანტიოქიელს
ხილვაში უნახავს ანგელოზთა გუნდები, რომლებიც სამებას ან-
ტიფონური გალობით უგალობდნენ და ამიტომ შემოიტანა ან-
ტიოქიაში ამგვარი გალობა, რის შემდეგაც იგი დანარჩენ ეკლე-
სიებშიც გავრცელდა.²

რაც შეეხება კონკრეტულ მითითებებს და სხვადასხვა რჩე-
ვა-დარიგებებს ეპისკოპოსის მოვალეობათა შესახებ, ამას წმ.
ეგნატი ანტიოქიელი ვრცლად ჩამოთვლის *ეპისტოლეში პოლი-
კარპეს მიმართ*. აქ იგი საუბრობს ქვრივთა (4.1), ქალწულთა
და თანამცხოვრებელთა შესახებ (5.2) და შეაგონებს ადრესატს:
„შეენიე ყველა ადამიანს, როგორც შენ გექმნა შემწედ უფალი.
მოთმინება და სიყვარული გქონდეს ყველას მიმართ, როგორც
აკეთებ კიდევ. მოიცალე უწყვეტი ლოცვებისათვის. ითხოვე მე-
ტი გონიერება, ვიდრე გაქვს. შეინახე მღვიძარება, მოიპოვე სუ-
ლი დაუძინებელი. ესაუბრე ყველა ადამიანს სათითაოდ, ღვთის
ჩვეულების მსგავსად. იტვირთე ყველას სწეულებანი, როგორც
სრულყოფილმა მოასპარეზემ. სადაც მეტია შრომა, მრავალია
მოსაგებელიც“ (1.2-3). აღსანიშნავია, რომ წმ. ეგნატი ანტი-
ოქიელის ეპისტოლეებში პირველად არის საუბარი საეკლესიო
ქრისტიანული ქორწინების შესახებ (5.2).

1. ახალ აღთქმაში *εὐχαριστία*-ს ‘მადლობის’, ‘სამადლობელის’ მნიშვნე-
ლობა აქვს (შდრ. საქმე, 24.3; 1კორ. 14.16; 2კორ. 4.15, 9.11; ეფეს. 5.4;
ფილ. 4.6; კოლ. 2.7, 4.2; 1თეს. 3.9; 1ტიმ. 2.1, 4.3, 4.4; გამოცხ. 4.9, 7.12).

2. სოკრატე სქოლასტიკოსი, *ეკლესიის ისტორია*, 6.8. შდრ. წმ. ეგნატი
ანტიოქიელის *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 2.2 და *ეპისტოლე ეფესელთა
მიმართ*, 4.2. ქრისტიანთა ანტიფონური გალობის შესახებ გადმოსცემს პლი-
ნიუს უმცროსიც (63-113 წწ.) ეპისტოლეში იმპერატორ ტრაიანეს მიმართ,
რომლის თანახმადც ქრისტიანებს „ჩვეულებად ჰქონდათ განსაზღვრულ
დღეს, აღიონამდე, შეკრებილიყვნენ და გალობა ეთქვათ ქრისტესთვის, რო-
გორც ღმერთისთვის, ერთად, რიგრიგობით“ (“*essent soliti stato die ante lucem
convenire carmenque Christo quasi deo dicere secum in vicem*”, 10.96.7).

მთლიანობაში, წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებში დაცულია უძვირფასესი ცნობები ადრექრისტიანული ხანის ქრისტიანული ეკლესიის შესახებ.

ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეთა ავთენტურ, ე.წ. საშუალო რედაქციას, სულ ორია:

(1) *Mediceus. Florense, Bibl. Laurentienne, Plut. LVII.7 (XI ს.)*.

ეგნატი ანტიოქიელის წერილები პირველად ამ ნუსხაზე დაყრდნობით იქნა გამოცემული *Isaacius Vossius*-ის მიერ, ამსტერდამში, 1646 წელს.¹ ხელნაწერში დაცულია 6 წერილი (აკლია ეპისტოლე რომაელთა მიმართ).

(2) *Colbertinus, Paris, Bibl. Nat., gr. 1451 (X ს.)*.² მასში დაცულია ეპისტოლე რომაელთა მიმართ. ეს წერილი ადრევე იქნა ჩართული ეგნატის ანტიოქიურ მარტიროლოგიუმში. არსებობს წერილის ადრეული სირიული თარგმანიც, რაც ეპისტოლეს პირველადი სახის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. წერილი შეკვეცილი და შეცვლილი სახით არის შეტანილი სვიმეონ მეტაფრასტის თხრობაში ეგნატი ანტიოქიელის შესახებ.³

წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეთა კვლევისას მეცნიერები ითვალისწინებენ შემდეგ თარგმანებს:

(ა) ლათინური თარგმანი, რომელიც წარმოადგენს ხელნაწერ *Mediceus*-ის რედაქციის ბერძნული ტექსტის სრულიად ზედმინევნით, სიტყვასიტყვით და ინტერპოლაციებისაგან თავისუფალ თარგმანს. მისი ხელნაწერები აღმოაჩინა *J. Ussher*-მა და გამოსცა ოქსფორდში, 1644 წ.,⁴ რის შემდეგაც ისინი დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ ტექსტის მთარგმნელი იყო რობერტ გროსეტესტი, ლინკოლნის ეპისკოპოსი (დაახლ. 1290 წ.), ან მისი უახლოესი გარემოცვა, და რომ ბერძნული წყარო, რომელიც მას ხელთ ჰქონდა, VI-VII სს-ისა უნდა ყოფილიყო.

1. *Epistolae genuinae S. Egnatii martyris; quae nunc primum lucem vident ex bibliotheca Florentina*. Ed. Isaacus Vossius. Amstelodami, 1846.

2. *Acta Primorum Martyrum Sincera et Selecta*. Ed. Thierry Ruinart. Paris, 1689.

3. სვიმეონ მეტაფრასტი, მარტივილობა წმინდა მონამის, ეგნატი ღმერთ-შემოსილისა, 9-13, PG 114, სვ. 1277-1281.

4. *Polycarpi et Egnatii epistolae, una cum vetere vulgata interpretatione Latina, ex trium manuscriptorum codicum collatione, integritati suae restituta*. Ed. Iacobus Vsserius. Oxford, 1644.

(ბ) სირიული თარგმანი,¹ როგორც დამოუკიდებელი ვარიანტი, მეტად მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ მისი თარგმანის ხანა (IV-V სს.) უახლოვდება წერილების შედგენის დროს. ამ თარგმანიდან დღეისათვის მხოლოდ ოთხი ეპისტოლეს, კერძოდ, ეფესელთა, რომაელთა, პოლიკარპეს და ტრალისელთა მიმართ გაგზავნილი წერილების რამდენიმე ფრაგმენტია შემორჩენილი.

(გ) კოპტური თარგმანიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მცირე მონაკვეთმა, რომელიც შეიცავს პირველ ნ თავს ეპისტოლედან *სმირნელთა მიმართ* და დამოუკიდებელ ვერსიას იძლევა. მისი თარგმნის თარიღი დაუზუსტებელია.

(დ-ე) მკვლევარები მიუთითებენ ასევე სირიულიდან გადმოღებული არაბული და სომხური თარგმანების მნიშვნელობაზეც.²

გარდა ჩამოთვლილი წყაროებისა, არანაკლებ ფასეულია ძველ ავტორებთან დაცული ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეთა დამონებები, ეპისტოლეთა ვრცელი რედაქცია და მისი ლათინური თარგმანი.³

ეპისტოლეების ბერძნული ტექსტი შეტანილია *Patrologia Graeca*-ს გამოცემაში: PG 5, სვ. 644-728 (ბერძნული ტექსტი ლათინური თარგმანით). გარდა ამისა, არსებობს მისი ტექსტის კრიტიკული გამოცემაც: *Ignace d'Antioche, Polycarpe de Smyrne: Lettres. Martyre de Polycarpe. Texte grec, introduction, traduction et notes de Pierre-Thomas Camelot. SC 10. 4e edition. Paris: Les éditions du Cerf, 1969, გვ. 56-155* (ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით).⁴

1. სირიული თარგმანის გამოცემისათვის იხ. W. Cureton. *The Ancient Syriac Version of the Epistles of S. Egnatius*. London, 1845. სირიული ტექსტის ლათინური თარგმანი გამოცემულია *Patrologia Graeca*-ში, იხ. PG 5, სვ. 961-968; *Clavis*, ტ. 1, გვ. 13, N 1025.

2. კოპტური, არაბული და სომხური გამოცემებისათვის დაწვრილებით იხ. *Clavis*, ტ. 1, გვ. 13-14, N 1025.

3. დაწვრილებით ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეთა შემცველი ხელნაწერების შესახებ იხ. *Lightfoot*, გვ. 99-102; *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 14-15; *Clavis*, ტ. 1, გვ. 12-13, N 1025.

4. დაწვრილებით ეგნატი ანტიოქიელის წერილების, მათ შორის, ქართული ტექსტის გამოცემათა შესახებ იხ. *Clavis*, ტ. 1, გვ. 12-16, N 1025-1030. ტექ-

ქართულად წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეები დღე-ისათვის ცნობილია გიორგი მთაწმინდელის ძველი და ედიშერ ქელიძის თანამედროვე თარგმანით.

გიორგი მთაწმინდელის თარგმანი გადმოღებულია ეგნატი ანტიოქიელის წერილთა ე.წ. ვრცელი რედაქციიდან. ეპისტოლეთა ტექსტი დაცულია 6 ხელნაწერში, რომელთაგან უადრესია A 55 (XII ს.) და A 60 (XIII ს.). მისი გამოცემისათვის იხ. *საქართველოს ეკლესიის კალენდარი* 1988. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 1988, გვ. 518-529 (შესავალი), 530-624 (ტექსტი). თარგმანი შეიცავს ეგნატი ანტიოქიელის 13 ეპისტოლეს, მათ შორის: *ეპისტოლეს ეფესელთა მიმართ* (გვ. 604-618), *ეპისტოლეს მაგნესიელთა მიმართ* (გვ. 545-555), *ეპისტოლეს ტრალისელთა მიმართ* (გვ. 535-545), *ეპისტოლეს რომაელთა მიმართ* (გვ. 618-624), *ეპისტოლეს ფილადელფიელთა მიმართ* (გვ. 570-581), *ეპისტოლეს სმირნელთა მიმართ* (გვ. 581-593) და *ეპისტოლეს პოლიკარპე სმირნელის მიმართ* (გვ. 589-593).

თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილია წმ. ეგნატი ანტიოქიელის ერთადერთი წერილი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, რომელიც ქართულად გადმოღებულია ედიშერ ქელიძის მიერ: „წმ. ეგნატი ანტიოქიელი. *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ქელიძემ. *რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი* 1, საშობაო გამოცემა (2011): 39-45.

სტის რუსული თარგმანისათვის იხ. *Памятники древней христианской письменности в русском переводе*. Т.2: „Писания мужей апостольских“. Москва, 1860.

ეპისტოლე ეფესელთა მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, აზიის ეფესოს ნეტარ ეკლესიას, რომელიც მამა ღმერთის მიერ დიდებული ბის სავსებით არის კურთხეული, ეკლესიას, რომლის მყოფობაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა,¹ სამარადისო, უწყვე და უცვალებელ სადიდებელად, და რომელიც გაერთიანებულია და გამორჩეული ჭეშმარიტი ვნებით, მამისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ნებისაებრ, გისურვებთ თქვენი სიხარულის განმრავლებას იესო ქრისტეს მიერ და გახარებას უმნიკვლო სიხარულით.

თავი I

ეფესელთა და ონესიმოსის ქება

1. შევიტყვე ღვთის მიერ თქვენი დიდადსაყვარელი სახელის შესახებ, რომელიც მიგიღიათ სამართლიანი და უზადო გონების გამო, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს რწმენისა და სიყვარულის გამო. თქვენ, ღვთის მიმბაძველებმა (შდრ. ეფეს. 5.1), განცხოველებულებმა ღვთის სისხლის მიერ (შდრ. საქმე, 20.28), სრულყოფილად განასრულეთ საძმოს² საქმე. 2. როცა შეიტყვეთ, რომ ვიყავი სირიიდან, ბორკილდადებული საზოგა-

1. შდრ. ნმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 14.1.

2. τὸ συγγεινῶν ἔργον, სიტყვასიტყვით, სანათესაოსთან დაკავშირებული საქმე.

დო სახელისა და სასოებისათვის,¹ და იმედი მქონდა, თქვენი ლოცვა-კურთხევით, რომში მივმთხვეოდი ველურ მხეცებთან ბრძოლას,² რათა ამით მომცემოდა შესაძლებლობა, გავმხდარიყავი მისი³ მონაფე, იჩქარეთ ჩემი მონახულება. 3. ამის შემდეგ, ღვთის სახელით ვისტუმრე თქვენი ერმრავალი კრებული ონესიმოსის სახით, რომლის სიყვარულიც მიუთხრობელია, რომელიც თქვენი ეპისკოპოსია ხორციელად,⁴ და რომლის სიყვარულსაც გვედრებით იესო ქრისტეს მიერ. დაე, მისი მსგავსი იყოს ყველა თქვენგანი! კურთხეულია ის, ვინც მოგანიჭათ მადლი, იყოს ღირსნი ასეთი ეპისკოპოსის ყოლისა!

თავი II

ელჩობის სხვა წევრთა ქება, მილოცვა და ვედრება

1. ჩემი თანამსახურის,⁵ თქვენი ქრისტესმიერი დიაკვნისა და ყოვლითურთ კურთხეული ბუროსის შესახებ აღვავლენ ვედრებას, რათა ეგოს იგი თქვენი და ეპისკოპოსის (წოდების) ღირსებისათვის. ხოლო კროკოსმა, ღვთისა და თქვენმა ღირსმა, რომელიც მივიღე, როგორც მაგალითი⁶ თქვენი სიყვარულისა, ყოვლითურთ შვება მომგვარა (დაე, ასევე მისცეს მას შვება იესო ქრისტეს მამამ!) ონესიმოსთან, ბუროსთან, ევპლოსთან და ფრონტონთან ერთად, რომელთა სახითაც სიყვარულის ძალით დავინახე ყველა თქვენგანი. 2. ვისურვებდი, მარად მეხარა თქვენით, თუკი ღირსი ვიქნებოდი ამისა. ხოლო თქვენ გმარ-

1. საუბარია „ქრისტიანის“ სახელისა და მაცხოვართან დაკავშირებული სასოების შესახებ, რომელიც საყოველთაო, საზოგადოა ყველა ქრისტიანისათვის.

2. მონამეობის გზების შესახებ იხ. ნმ. პოლიკარპე სმირნელის მარტივობა, თთ. 2-4.

3. იგულისხმება, მისი, ვინც მსხვერპლად შესწირა თავი ჩვენთვის. მონაფედ გახდომა გულისხმობს მაცხოვრის მიბაძვას და მისი გზის გამეორებას (მდრ. აქვე, 3.1; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 4.2, 5.3), რადგან „რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ ველ-ენიფების მონაფე-ყოფად ჩემდა“ (ლუკა, 14.27).

4. სულიერი ზედამხედველი და ეპისკოპოსი არის უფალი (მდრ. 1პეტრე, 2.25). იხ. ასევე, ნმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 9.1.

5. τὸν συμῆσαι, სიტყვასიტყვით, მაცხოვრის „თანამონის“ (მდრ. კოლ. 4.7).

6. ἔξεμπλήριον.

თებთ, ყოველნაირად ადიდებდეთ იესო ქრისტეს, რომელმაც დიდებით შეგამკოთ და, ერთ მორჩილებაში გაერთიანებულნი (შდრ. 1 კორ. 1.10), დაემორჩილოთ ეპისკოპოსსა და სამღვდელობას, რათა ყოველითურთ იყოთ განწმენდილნი.

თავი III

მონოღება ეპისკოპოსთან ერთიანობის შესახებ

1. არ გიბრძანებთ თქვენ, თითქოს ვინმე მნიშვნელოვანი ვიყო. ვინაიდან თუმცა კი მისი სახელის გამო ვარ ბორკილდადებული,¹ არა ვარ სრულყოფილი იესო ქრისტეში, არამედ მონაფეობას ახლალა დავუდე დასაბამი, და მოგმართავთ თქვენ, როგორც ჩემს თანამასწავლებლებს,² რადგან სწორედ მე მმართვედა თქვენგან წვრთნის მიღება რწმენაში, შეგონებებში, მოთმინებასა და დიდსულოვნებაში. 2. მაგრამ ვინაიდან სიყვარული არ მაძლევს საშუალებას, დავდუმდე თქვენთან დაკავშირებით, ამის გამო, ვარჩიე, შეგთხოვოთ თქვენ, წარმართოთ თქვენი სვლა ღვთის სიტყვის³ თანახმად. რადგან იესო ქრისტეც, ჩვენი განუყოფელი სიცოცხლე, არის სიტყვა⁴ მამისა, ისევე, როგორც ეპისკოპოსებიც, (ქვეყნიერების) კიდებზე დადგენილნი, იესო ქრისტეს სიტყვაში არიან.

თავი IV

ეპისკოპოსთა და მღვდელთა ერთსულოვნება

1. აქედან გამომდინარე, გმართებთ, შეუდგეთ ეპისკოპოსის სიტყვას, რასაც აკეთებთ კიდევ. თქვენი ღირსსახელოვანი სა-

1. ანუ, როგორც ქრისტიანი (შდრ. 1.2).

2. συνδιδασκαλίταις.

3. ἡ γῶμα ἰთარგმნება, როგორც 'გონება', 'აზრი', 'ნება', 'სიტყვა'. ამ მონაკვეთში მას მთარგმნელები სხვადასხვაგვარად თარგმნიან. ასე მაგალითად, ლათინურთან მოცემულია „გონება“ („mind“, იხ. Lighthoot, 1907, გვ. 138), PG-ს ლათინურ თარგმანში – „სიტყვა“ („sententia“, PG 5, სვ. 647A), რუსულ თარგმანში „აზრი“ („мысль Отца“), წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანში კი „ნება“ (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988, გვ. 606).

4. ἡ γῶμα.

მღვდელოება, ღირსი ღვთისა, იმდენად კეთილად არის შეწყობილი ეპისკოპოსთან, როგორც სიმები კითარასთან.¹ ამიტომაც, თქვენი ერთსულოვნებითა და შეხმატკბილებული სიყვარულით იესო ქრისტე იგალობება. 2. თითოეულმა თქვენგანმა შექმენით გუნდი, რათა შეხმატკბილებულნი იყოთ ერთსულოვნებაში, მიიღოთ ტონი ღვთისაგან, ერთობაში ერთხმად აღუვლინოთ მამას გალობა იესო ქრისტეს მიერ, რათა შეისმინოს თქვენი და გცნოთ ასოებად მისი ძისა² (შდრ. რომ. 12.4-5) იმის წყალობით, რასაც კეთილად სჩადიხართ. ამდენად, თქვენთვის სასარგებლოცაა უმნიკვლო ერთობაში ყოფნა, რათა ღვთის თანაზიარნი იყოთ მუდამ.

თავი V

საეკლესიო ერთობის მნიშვნელობა

1. ამდენად, თუკი მე მცირე ხანში თქვენს ეპისკოპოსთან ამგვარი სიახლოვე მოვიპოვე, – არა ადამიანური, არამედ სულიერი, – რაოდენ უფრო მეტად მიგიჩნევთ ნეტარ ადამიანებად თქვენ, რომელნიც შეერთებულნი ხართ მასთან, როგორც ეკლესია – იესო ქრისტესთან და როგორც იესო ქრისტე – მამასთან, იმისათვის, რომ ყველაფერი თანხმობაში იყოს ერთობის მეშვეობით. 2. ნურავინ შეცდება! ვინც საკურთხევის შიგნით³ არ არის, ის საკუთარ თავს ღვთის პურს ართმევს (იოანე, 6.33). თუკი ერთისა და ორის ლოცვას ასეთი ძალა გააჩნია (შდრ. მათე, 18.20), რამდენად უფრო ძლიერია ეპისკოპოსისა და მთელი ეკლესიის ვედრება? 3. ამიტომაც, ვინც არ მიდის მასთან,⁴ იგი უკვე გახდა ამპარტავანი და საკუთარი თავი განსაჯა. რადგან დანერლია: „ღმერთი ქედმაღლებს უპირისპირდება“ (იგავ. 3.34; 1პეტრე, 5.5; იაკ. 4.6). შევეცადოთ, არ დავუპირისპირდეთ ეპისკოპოსს, რათა ვიყოთ მორჩილნი ღვთისა.

1. შდრ. კლიმენტი ალექსანდრიელი, *პროტრეპტიკოსი*, 1.5.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 11.2.

3. იგულისხმება, ეკლესიაში. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 7.2; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 7.2; *ფილადელფიელთა მიმართ*, 4.1.

4. იგულისხმება, საკურთხეველთან, ანუ ეკლესიაში.

თავი VI

პატრივის მიგება ეპისკოპოსის, როგორც მაცხოვრის მიმართ

1. რამდენადაც ხედავს მავანი ეპისკოპოსს მდუმარეს, იმდენად მეტად უნდა ეშინოდეს მისი.¹ რადგან ყველა, ვისაც აგზავნის სახლის პატრონი სახლის განსაგებელად (ლუკა, 12.42), ისე გვმართებს მივილოთ, როგორც თავად მომავლინებელი (შდრ. იოანე, 13.20; მათე, 10.40). ამიტომ, ცხადია, რომ ეპისკოპოსს უნდა ვუცქერდეთ, როგორც თვით უფალს. 2. თავად ონესიმოსი გარდამეტებულად აქებს თქვენს ღვთისმიერ კეთილნესიერებას, ამბობს, რომ ყველანი ჭეშმარიტებით ცხოვრობთ და რომ თქვენ შორის არავითარი წვალება არ მკვიდრობს, არამედ არავის უსმენთ უფრო მეტად, ვიდრე იესო ქრისტეს, მქადაგებელს ჭეშმარიტებისა.²

თავი VII

გაფრთხილება მწვალებელთა წინააღმდეგ

1. ზოგიერთებს ჩვეულებად აქვთ, უკეთური მზაკვრობით ატარონ (ქრისტიანის) სახელი, მაშინ, როდესაც ღვთის უღირს საქმეებს სჩადიან. მათ უნდა გაექცეთ, როგორც მხეცებს. რამეთუ ისინი გაცოფებული ძაღლები არიან, იდუმალ მკებნარნი (შდრ. ესაია, 56.10-11), რომელთაგანაც თავი უნდა დაიცვათ, რადგან უკუზნებელნი არიან. 2. მკუზნალი ერთი არსებობს, ხორციელი და სულიერი, შობილი და უშობელი,³ ღმერთი კაცში (განხორციელებული),⁴ ჭეშმარიტი სიცოცხლე სიკვდილში, (შო-

1. შდრ. აქვე, 15.1, ასევე, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 1.1.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 9.1; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 6.1.

3. $\gamma\epsilon\upsilon\sigma\iota\tau\omicron\varsigma$ και $\acute{\alpha}\gamma\epsilon\upsilon\sigma\iota\tau\omicron\varsigma$. ამ მონაკვეთს იმონმებს ნეტარი თეოდორიტი კვირელი თხზულებაში *ერანისტი*, ვარიანტი: $\gamma\epsilon\upsilon\sigma\iota\tau\omicron\varsigma$ & $\acute{\alpha}\gamma\epsilon\upsilon\sigma\iota\tau\omicron\varsigma$ ("შობილი უშობელიდან", იხ. მისი *ერანისტი*, PG 83, სვ. 84A, შენ. 74).

4. $\acute{\epsilon}\nu$ $\acute{\alpha}\nu\theta\eta\omega\pi\acute{\alpha}\tau\omicron\varsigma$. ასე იმონმებენ ამ მონაკვეთს წმ. ათანასე ალექსანდრიელი (*არიმინუმის სინოდების შესახებ იტალიაში და სელევკიის ისავრიაში*, 47) და ნეტარი თეოდორიტი კვირელი (*ერანისტი*, PG 83, სვ. 84A, შდრ. იქვე, შენ. 75). ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლეთა ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში* კი ეს სტრიქონი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: $\acute{\epsilon}\nu$ $\sigma\alpha\pi\iota\kappa\acute{\iota}$ $\gamma\epsilon\upsilon\sigma\iota\mu\epsilon\upsilon\sigma\iota\varsigma$ $\theta\epsilon\omicron\varsigma$ ("ღმერთი მოსული ხორციელად", *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 64).

ბილი) მარიამისგან და (შობილი) ღვთისგან, თავდაპირველად ვნებული და შემდგომ უვნებელი,¹ იესო ქრისტე, უფალი ჩვენი (შდრ. 1ტიმ. 3.16).

თავი VIII ეფესელთა ქება

1. მაშ, ნურავინ გაცთუნებთ თქვენ, თუმცა თქვენ არც ვარდებით საცათურში, რადგან ყველანი ღვთისანი ხართ. ვინაიდან როდესაც არ მკვიდრობს თქვენში (ბინიერი) გულისთქმა, რომელსაც შეუძლია თქვენი განსაცდელში ჩაგდება, ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად ღვთის თანახმად ცხოვრობთ. მე, უნარჩევანი² თქვენ შორის (შდრ. 1კორ. 15.9), დაე, ვიყო შეწირული თქვენი, ეფესელთა, საუკუნოდ მრავალსაგალობელი ეკლესიის გამოსასყიდ ზვარაკად. 2. ხორციელთ არ ხელენიფებათ სულიერ საქმეთა მოქმედება (შდრ. რომ. 8.5; 1კორ. 2.14), არც სულიერებს – ხორციელ საქმეთა, ისევე, როგორც რწმენას – ურწმუნოებისათვის დამახასიათებელი საქმეებისა და ურწმუნოებას – რწმენისათვის. თქვენ კი ხორციელადაც იმას აკეთებთ, რაც სულიერია, რადგან ყველაფერს იესო ქრისტეში აკეთებთ (შდრ. 1ტიმ. 4.10).

1. πρῶτον παθίτης καὶ τότε ἀπαθής (“primum passibilis et tunc impassibilis”), როგორც PG-ს გამომცემელი მიუთითებს, აქ საუბარია უვნებელობაზე აღდგომის შემდეგ (PG 5, სვ. 651, შენ. 51).

2. περιψύχα, სიტყვასიტყვით სიბინძურე, ნაგავი (შდრ. περικάμα-რμα). წმ. ფოტიოსის თანახმად, περιψύχα-ს უწოდებდნენ ყოველწლიურად ზღვაში მსხვერპლად გადაგებულ, პოსეიდონისთვის შეწირულ ჭაბუკს, რომელიც წარმოადგენდა ყოველგვარი ბოროტისაგან განმათავისუფლებელ მსხვერპლს (ლექსიკონი, გვ. 425). მეორე მხრივ, ცხადია, რომ ამ სიტყვის გამოყენებით ავტორი თავის თავმდაბლობას გამოხატავს. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 4.9, 6.5; ევსევი კესარიელის ეკლესიის ისტორია, 7.22.7, სადაც იგი წმ. დიონისე ალექსანდრიელის სიტყვებს გადმოსცემს. იხ. ასევე, Ignace d'Antioche, 1969, გვ. 64-65, შენ. 3; *Épître de Barnabé. Introduction, traduction et notes par Pierre Prigent. Sources Chrétiennes 172. Texte Grec établi et présenté par Robert A. Kraft. Paris: Éditions du Cerf, 1971, გვ. 101, შენ. 3.*

თავი IX

ცრუ მოძღვართა შეუსმენლობა ეფესელთა მიერ

1. შევიტყვე, რომ იქიდან თქვენთან მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც ბოროტი მოძღვრება ეპყრათ. თქვენ კი მათ არ დართეთ ნება, თქვენ შორის დაეთესათ იგი, არამედ დაიხშეთ სასმენელნი, რათა არ მიგელოთ დასათესად განბნეული თესლი მათგან, რადგან თქვენ ლოდები ხართ ტაძრისა, რომლებიც წინასწარ განამზადა ასაშენებლად მამა ღმერთმა, თქვენ, სულიწმინდის თოკის მხმეველნი,¹ აყვანილნი ხართ სიმაღლეზე იესო ქრისტეს იარაღით, რომელიც არის ჯვარი. თქვენმარწმენამ აგიყვანათ თქვენ, გზა კი იყო სიყვარული, ღმერთთან მიმახლებელი. 2. თქვენ ყველანი ერთმანეთის თანამგზავრები ხართ, ღვთისმტვირთველნი და ტაძრისმტვირთველნი, ქრისტესმტვირთველნი და სინმინდისმტვირთველნი, ყოვლითურთ შემკობილნი იესო ქრისტეს მცნებებით (შდრ. ეფეს. 1.1). გახარებული ვარ მეც, რადგან თქვენთან საუბრისა და სიხარულის გაზიარების ღირსი შევიქენი, რადგან არაფერი გიყვართ ისეთი, რაც ადამიანურ ცხოვრებას უკავშირდება, არამედ მხოლოდ-დამხოლოდ ღმერთი.

თავი X

მონოდება ლოცვისა და მორჩილებისაკენ

1. გამუდმებით ილოცეთ (1თეს. 5.17) სხვა ადამიანთა გამოც, – რადგან არის მათში მონანიების იმედი, – რათა ღმერთს მიემთხვიონ. დართეთ მათ ნება, რომ განისწავლონ თქვენს საქმეთაგან. 2. მათი მრისხანების საპირისპიროდ თქვენ კეთილმონყალენი იყავით, მათი მედიდურობის საწინააღმდეგოდ თავმდაბალნი იყავით, იმათ ავსიტყვაობას ლოცვები დაუპირისპირეთ, მათი საცთურის საწინააღმდეგოდ მტკიცენი იყავით რწმენაში (შდრ. კოლ. 1.23), მათი ველურობის საპირისპიროდ წყნარნი იყავით! ნუ შეეცდებით, დაემსგავსოთ მათ! 3. წარმოვაჩინოთ ჩვენი სახიერებით თავი მათ ძმებად. შევეცადოთ, გავხდეთ მიმბაძველნი უფლისა

1. იგულისხმება სულიწმინდის შეწვენა.

(შდრ. 1თეს. 1.6), – ვინ დაითმინა უფრო მეტი უსამართლობა? ვინ განიცადა უფრო მეტი გაჭირვება? ვინ დაითმინა უფრო მეტი უარყოფა? – რათა არცერთ თქვენგანში არ აღმოჩნდეს ეშმაკის ღვარძლი,¹ არამედ ყოველგვარი უბინოებითა და კეთილგონიერებით იმყოფებოდეთ იესო ქრისტეში ხორციელად და სულიერად.

თავი XI

ღვთის მოშიშებისაკენ მონოღება. უკანასკნელი ჟამი

1. უკანასკნელნი დადგნენ ჟამნი (შდრ. 1იოანე, 2.18). ბოლოსდაბოლოს შეგვრცხვეს, შეგვეშინდეს ღვთის დიდსულოვნებისა, რათა არ გვექცეს იგი² სასჯელად. ან მომავალი რისხვის გვეშინოდეს (შდრ. მათე, 3.7), ან ამჟამინდელი მადლი შევიყვაროთ, ავირჩიოთ ორიდან ერთი, ოღონდ კი ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის იესო ქრისტეში ვიმყოფებოდეთ. 2. ნურაფერი იქნება ფასეული თქვენთვის მის გარეშე, მე ხომ მის გამო ვატარებ ბორკილებს – სულიერ მარგალიტებს. დაე, თქვენი ლოცვა-კურთხევით მათშივე მოხდეს ჩემი აღდგომა, დაე, მარად ვიყო მისი³ მონაწილე, რათა იგივე წილი მხვდეს, რაც ეფესელ ქრისტიანებს, რომელნიც, იესო ქრისტეს ძალისხმევით, თავიანთი შეხედულებებით მუდამ თანხმობაში იყვნენ მოციქულებთან.

თავი XII

ეფესელთა ხოტბა

1. ვიცი, ვინც ვარ და ვისაც ვწერ. მე მსჯავრდებული ვარ, თქვენ კი შეწყალებულნი, მე – განსაცდელში მყოფი,⁴ თქვენ კი მტკიცედ მდგომნი. 2. თქვენ გზა ხართ მათთვის, ვინც

1. ანუ მწვალებლობის თესლი. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 6.1; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 3.1.

2. დიდსულოვნება.

3. იგულისხმება თქვენი ლოცვის.

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 6.2-3.

ღვთის გამო კვდება, თანაგანდობილი¹ ხართ (შდრ. ეფეს. 1.9, 3.3) განწმენდილი, კეთილმოხსენებული, ღირსნეტარი პავლე-სი, რომლის ნაკვალევზე მავალიც, დაე, აღმოვიჩნდე, როდესაც ღმერთს მივემთხვევი. იგი თქვენ მთელს ეპისტოლეში იესო ქრისტეში მოგიხსენიებთ.

თავი XIII

მოწოდება ხშირი შეხვედრებისკენ ღვთისმსახურების აღსავლენად

1. შეეცადეთ, უფრო ხშირად შეიკრიბოთ ღვთისთვის სამად-ლობელი² და სადიდებელი ლოცვების აღსავლენად. როდესაც ხშირად იქმთ ამას, ემხობიან სატანის ძალნი და მისმიერი წარ-წყმედა განქარდება თქვენი რწმენის ერთსულოვნების ძალით. 2. არაფერია მშვიდობაზე უკეთესი, მისი მეშვეობით ისპობა ყველა ომი, ზეციერი ძალებისაც და მიწიერისაც³ (შდრ. ეფეს. 2.2, 6.12).

თავი XIV

ქრისტიანის ვალა რწმენა, სიყვარული და სიკეთისმოქმედება

1. არაფერია დაფარული თქვენთვის, თუკი იესო ქრისტეს მიმართ სრულყოფილად გაქვთ რწმენა და სიყვარული,⁴ რომ-

1. συκμασταί. მსგავსი შინაარსის სტრიქონი მოცემულია ორიგენესთან, სა-დაც ნათქვამია, რომ პავლე მოციქული „იყო ქრისტეს განდობილი“ (“ipse est enim symmystes Christi“, *ჰომილიები ისუ ნავეს წიგნზე*, 7.3, PG 12, სვ. 859AB).

2. სიტყვასიტყვით: ევქარისტიისათვის (εις εὐχαριστίαν). იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 4.1; *ეპი-სტოლე სმირნელთა მიმართ*, 7.1, 8.1.

3. შდრ. წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი: „არა რაა არს უმჯობეს ქრისტეს მიერისა მშვიდობისა, რომლისა მიერ ყოველივე ბძოლაა ეშმაკთა და კაცთა დაიწსნების“ (გვ. 614).

4. რწმენას და სიყვარულს ეგნატი ანტიოქიელი ხშირად ახსენებს ერ-თად, როგორც ქრისტიანული ცხოვრების ორ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს, შდრ. *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.1, 9.1, 20.1; *ეპისტო-ლე მაგნესიელთა მიმართ*, 13.1; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 8.1; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 11.2; *ეპისტოლე სმირნელთა მი-მართ*, 1.1, 6.1, 13.2; *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 6.2.

ლებიც ცხოვრების დასაბამი და დასასრულია: რწმენა დასაბამია, სიყვარული კი დასასრული (შდრ. 1ტიმ. 1.5). ეს ორი, ერთობაში მოყვანილი, არის ღმერთი,¹ ყველაფერი დანარჩენი კი, რაც ახასიათებს ზნეობრივ სინმინდეს, მათ მოსდევს. 2. არავინ სცოდავს, ვინც სარწმუნოებას აღიარებს, არც არავის, ვისაც სიყვარული მოუპოვებია, აქვს სიძულვილი. „ხე მისი ნაყოფით შეიცნობა“ (მათე, 12.33). ასევე ისინიც, ვინც აღიარებენ, რომ ქრისტესნი არიან, გაცხადდებიან იმით, რასაც სჩადიან. მაგრამ ახლა საქმე აღიარებაში როდია, არამედ რწმენის ძალაში – თუ ვინ დარჩება მასში ბოლომდე.

თავი XV

უფლის აღიარება სიტყვით და უსიტყვოდ

1. ჯობია დუმილი და ყოფნა, ვიდრე საუბარი და არყოფნა. კარგია სწავლება, თუკი ვინც ლაპარაკობს, ახორციელებს კიდევ იმას, რასაც ამბობს. ერთია მოძღვარი (მათე, 23.8), რომელმაც „თქვა და იქმნა“ (ფსალ. 32.9, 148.5). ის საქმეები კი, რაც მან მდუმარემ მოიმოქმედა, მამის ღირსია. 2. მას, ვინც იესოს სიტყვა მოიპოვა, ჭეშმარიტად ხელენიფება მისი სიჩუმის გაგონებაც, რათა სრულყოფილი იყოს, რათა თავისი საუბრით იქმოდეს და თავისი დუმილით იყოს შეცნობილი. არაფერია დაფარული უფლისათვის, არამედ ჩვენი საიდუმლოებანიც ახლოს არიან მასთან. 3. ამიტომ, ყველაფერი ვაკეთოთ იმის ცოდნით, რომ ის სახლობს ჩვენში, რათა ვიყოთ ტაძარნი მისნი (შდრ. 1კორ. 3.16, 6.19) და ის თავად იყოს ჩვენში, როგორც ღმერთი (შდრ. გამოცხ. 21.3), რომელიც ის არის კიდევ და რომელიც წარმოჩნდება ჩვენს თვალთა წინაშე;² ამ ყოველივეს გამო ჩვენ სამართლიანად გვიყვარს იგი.

1. τὰ δὲ δύο ἐν ἑσώτῳ γυρίμενα θεὸς ἔστιν. წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანში მოცემულია: „ხოლო რაჟამს ორნივე ერთად შეკრბენ, კაცად ღმრთისად გამოაჩინებენ კაცსა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988, გვ. 614).

2. იგულისხმება, მეორედ მოსვლის ჟამს.

თავი XVI

ცრუ მოძღვართა მარადიული ცეცხლით დასჯა

1. ნუ შეცდებით, ჩემო ძმებო! სახლის¹ განმხრწნელნი ღვთის სასუფეველს არ იმკვიდრებენ (1კორ. 6.7,9-10, 10.8; გალ. 5.21). 2. თუკი ისინი, ვინც ხორციელად სჩადიან ამას, სიკვდილს ექვემდებარებიან, რაოდენ მეტად დაექვემდებარება მას ადამიანი, თუკი იგი ბოროტი მოძღვრებით განხრწნის ღვთის რწმენას, რომლისთვისაც ჯვარს ეცვა იესო ქრისტე? ასეთი ადამიანი, როგორც სულმდაბალი, დაუშრეტელი ცეცხლისაკენ მიემართება, სწორედ ასევე ისჯება მისი მსმენელიც.

თავი XVII

გაფრთხილება ცრუ მოძღვრებათა წინააღმდეგ

1. იმისათვის მიიღო თავზე მირონი უფალმა (შდრ. საქმე, 10.38; ფსალ. 44.8), რომ ეკლესიისათვის უხრწნელება მოებერა.² ნუ იცხებთ ამ წუთისოფლის მთავრის (შდრ. იოანე, 12.31, 14.30) მოძღვრების სიმყრალეს,³ ნუ წარგიტაცებთ იგი დატყვევებულებს წინამდებარე (საუკუნო) ცხოვრებიდან! 2. რატომ არ ვხდებით გონიერები ყველანი, ვისაც მიეცა ღვთის შემეცნება,⁴ რომელიც არის იესო ქრისტე? რატომ ვიღუპებით უგულისხმოდ იმის გამო, რომ ვერ ვაცნობიერებთ მადლს, რომელიც ქეშმარიტად უფალმა მოგვივლინა?

თავი XVIII

ჯვრის დიდება. ქრისტეს დაბადება და ნათლობა

1. ჩემი სული უნარჩევესია⁵ ჯვრის წინაშე, რომელიც ურწმუნოთათვის საცთურია (შდრ. 1კორ. 1.23), ჩვენთვის კი ცხო-

1. იგულისხმება ღვთის სახლი, ღვთის ტაძარი, ანუ ქრისტიანის სული (შდრ. 1კორ. 3.16, 6.19) და მისი შელახვა მწვალებლობით, ასევე, სხეული და მისი წაბილწვა მრუშობით ან სხვა მანკიერებებით.

2. ანუ უხრწნელების ნელსურნელება შთაებერა ეკლესიისათვის. შდრ. 18.2.

3. იგულისხმება მწვალებლურ მოძღვრებას.

4. Θεὸς ὕψιστος.

5. ἀρετὴν ἄνευ σιბინძურე, ნაგავი. შდრ. ზემოთ, 8.1.

ნება და საუკუნო ცხოვრება. „სად არის ბრძენი? სად არის გამოძიებული?“ (1კორ. 1.20), სად არის გონიერებად წოდებულთა ბაქიაობა? 2. რამეთუ ჩვენი ღმერთი იესო ქრისტე, ღვთის განგებულებისაებრ¹ ჩაისახა (შდრ. ეფეს. 1.10, 3.9) მარიამისგან, (რომელიც იყო) დავითის მოდგმიდან (იოანე, 7.42; რომ. 1.3; 2ტიმ. 2.8), და სულიწმინდისა,² იშვა და ნათელ-ილო, რათა თავისი ვნებით წყალი განენმინდა.³

თავი XIX

სამი საიდუმლო

1. და დაფარული იყო ამ სანუთროს მთავრისაგან⁴ (1კორ. 2.7-8) მარიამის ქალწულება და მისი მშობიარობა,⁵ და ამის მსგავსად, უფლის სიკვდილიც,⁶ – სამი ხმამაღლა სათქმელი საიდუმლო, რომლებიც ღვთის მდუმარებაში აღესრულა. 2. მაშ, როგორ განეცხადა ისინი საუკუნეებს? ზეცაზე გაბრწყინდა ვარსკვლავი ყველა სხვა ვარსკვლავზე მეტად (შდრ. მათე, 2.2), მიუთხრობელი იყო ნათელი მისი, განცვიფრება გამოიწვია მისმა სიუცხოვემ. ყველა სხვა ვარსკვლავი მზესთან და მთვარესთან ერთად გუნდად გაუხდა ვარსკვლავს,

1. შდრ. 20.1.

2. ἔκτιστο φῶς ἐν τῷ Μαρίας κατ' οἰκισίμῳ θείῳ „ἐκ σπέρματος“ μὲν „Δαυὶδ“, πατρῆος δὲ ἁγίου. შდრ. წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი: „ესე განწორციელდა ქალწულისა მარიამისგან განგებულებითა, ნათესავისაგან დავითისა წორციელად, სულისა მიერ წმიდისა“ (გვ. 616).

3. ἔγχευ ἰησοῦν καὶ ἐβαπτίσθη, ἵνα τῷ πάθει τὸ ὑδάρ καθάρσῃ (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 74). ნეტარი თეოდორიტე კვირელს ეს მონაკვეთი შემდგენიარად აქვს დამონმებული: ἔγχευ ἰησοῦν καὶ ἐβαπτίσθη, ἵνα τὸ θύπον ἡμῶν καθάρσῃ („იშვა და ნათელ-ილო, რათა ჩვენ განვწმენდილიყავით მოკვდავობისაგან“, იხ. მისი *ერანისტი*, PG 83, სვ. 81C, შდრ. იქვე, შენ. 70: ἵνα τῷ πάθει τὸ ὑδάρ καθάρσῃ), რაც უფრო ლოგიკურიცაა. არც ლაით-ფუტთან (გვ. 110) და არც ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში სიტყვას τὸ ὑδάρ ('წყალი') სხვა იკითხვისები არ აქვს მითითებული.

4. ანუ ეშმაკისაგან.

5. ეს მონაკვეთი ახალი აღთქმის შემდეგ (შდრ. ლუკა, 1.27-34) წარმოადგენს პირველ მითითებას მარიამის ქალწულობისა და იმავდროულად დედობის შესახებ. ამ მონაკვეთს იმონმებს ორიგენე *განმარტებებში ლუკას სახარებაზე*, 6.35.

6. ὁ θάνατος τοῦ Κυρίου.

თავად მან კი გარდამოადინა თავისი ნათელი ყველა სხვაზე მეტად.¹ 3. წარმოიშვა მღელვარება, თუ საიდან გაჩნდა ეს უცნაური რამ, რომელიც სხვათაგან ასე განსხვავებული იყო. იმ ჟამიდან დაემხო ყველანაირი მოგვობა და ყველა ბორკილი, განადგურდა ბოროტების უმეცრება, მოისპო და განიხრწნა ძველი მეუფება, როდესაც ღმერთი განცხადდა კაცობრივად, საუკუნო ცხოვრების განახლებისათვის² (შდრ. რომ. 6.4). დასაბამი მიეცა იმას, რაც ღვთის მიერ იქნა მომზადებული. ამ დროიდან ამოძრავდა ყველაფერი სიკვდილის გასანადგურებლად.

თავი XX

მონოღება სიმტკიცისა და ერთობისაკენ

1. თუკი ღირს-მყოფს მე იესო ქრისტე თქვენი ლოცვა-კურთხევით, და იქნება მისი ნება, მეორე მცირე ბარათში, რომლის მონერასაც ვაპირებ თქვენთვის,³ დამატებით განგიმარტავთ იმას, რაც დავინწყე, ახალი ადამიანის⁴ (შდრ. ეფეს. 2.15, 4.24), იესო ქრისტეს განგებულების შესახებ, რომელიც მოიცავს მის რწმენასა და მის სიყვარულს, მის ვნებასა და აღდგომას, 2. განსაკუთრებით, თუკი უფალი ნათელ-ჰყოფს ამას ჩემთვის, (მოგწერთ), რომ ყველანი ერთად და სათითაოდ, მისი სახელის მაღლით გაერთიანებულნი ხართ ერთ რწმენასა და ერთ ქრისტეში, რომელიც ხორციელად დავითის მოდგმისაგან (რომ. 1.3) არის, – ძე კაცისა და ძე ღვთისა, – რათა შეუორგულებელი გონებით დაემორჩილოთ ეპისკოპოსს და სამღვდლოებას, თქვენ, ვინც ერთ პურს⁵ ტყბთ, რომელიც არის წამალი უკვდავებისა,

1. მსგავსი შინაარსის მონაკვეთი დაცულია აპოკრიფულ იაკობის პირველსახარებაში, სადაც მოგვები ეუბნებიან ჰეროდეს: „ვიხილეთ უდიდესი ვარსკვლავი (ἀστὴρα πᾶμυεῖθη), რომელიც ბრწყინავდა ვარსკვლავთა შორის და დააბნელა ისინი ისე, რომ ვარსკვლავები აღარ ჩანდნენ“ (21.2).

2. Θεὸς ἀποθνήσκειν φανερούμενός ἐς καινότητα ἀμῆν (1.2).

3. ეს წერილი ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, ეგნატი ანტიოქიელმა მისი დანერა ვერ მოასწრო (შდრ. მისი ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ, 8.1).

4. ἐς τὸν καινὸν ἀποθνήσκειν.

5. ἄρτος. საუბარია ზიარების საიდუმლოს შესახებ.

შხამსანინაალმდეგო წამალი სიკვდილის წინააღმდეგ, ამას გარდა კი, რათა მოგემადლოთ ცხოვრება იესო ქრისტეში სამარადისოდ.

თავი XXI

ლოცვა-ვედრების აღვლენის თხოვნა

1. თქვენი ცხონების სანაცვლო იყოს ჩემი სული¹ (შდრ. 1იოანე, 3.16) და მათი, ვინც მოავლინეთ ღვთისთვის პატივის მისაგებად სმირნაში, საიდანაც აღვუვლენ რა ღმერთს მადლიერებას, გწერთ პოლიკარპეს, ისევე, როგორც თქვენი მოყვარული. გახსოვდეთ მე, ისევე, როგორც თქვენ ეხსომებით იესო ქრისტეს. 2. ილოცეთ სირიაში მდებარე ეკლესიისათვის, საიდანაც მე, უკანასკნელი იქაურ მორწმუნეთაგან, ბორკილდადებული, რომისკენ მივყავარ, ვინაიდან ღირსი შევიქმენი, ღვთის სადიდებლად ვყოფილიყავი მიცემული. განმტკიცდით მამა ღმერთსა და იესო ქრისტეში, ჩვენს საერთო სასოებაში!

1. ἀντίψυχον ἴματι ἐγώ. ამას წერს ეგნატი ანტიოქიელი სხვა წერილებშიც, იხ. *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 10.2; *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 2.3, 7.1.

ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, მაგნესიაში, მეანდროსთან¹ მდებარე ეკლესიას, მამა ღმერთის მადლით ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს მიერ კურთხეულს, მივესალმები მასში² და ვუსურვებ სიხარულის განმრავლებას მამა ღმერთსა და იესო ქრისტეში.

თავი I

წერილის დაწერის მიზეზი

1. როდესაც შევიტყვე თქვენი ღვთისმომართი სიყვარულის ყოვლადკეთილწესიერების³ შესახებ, გახარებულმა გადავწყვიტე იესო ქრისტეს რწმენაში მომემართა თქვენთვის. 2. ღირსქმნილი ღმრთივმშვენიერი სახელისა,⁴ ბორკილებში, რომელთაც ვატარებ, ვუგალობ ეკლესიებს და ვლოცულობ, რომ იქმნას მათში ერთობა იესო ქრისტეს, ჩვენი მარადიული ცხოვრების, ხორციან და სულთან, (ერთობა) რწმენისა და სიყვარულისა, რომელზე ძვირფასიც არაფერია, ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის (ერთობა) იესოსთან და მამასთან, რომლის მეოხებითაც

1. მდინარე მეანდროსი მდებარეობს მცირე აზიაში. ამ ეკლესიასთან დაკავშირებით მას ახსენებს ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36.

2. ანუ მაცხოვარში.

3. τὸ πολυεύτακτον.

4. იგულისხმება ქრისტიანის ან „ღმერთშემოსილის“ სახელი, როგორც ეგნატი ანტიოქიელს უწოდებდნენ.

დავითმენტ ყოველგვარ ვნებას ამ სანუთროს მთავრისაგან და ლტოლვილნი ღმერთს მივემთხვევით.

თავი II

სიხარული მაგნესიელ დესპანთა გამო

1. ამის შემდეგ პატივი მერგო თქვენი ხილვისა, ღვთის ღირსი დამასის, თქვენი ეპისკოპოსის, და ღირსთა მღვდელთა, ბასოსის, აპოლონიოსის და ჩემი თანამსახურის, დიაკონ ძოტიონის სახით, რომლის ჩემთან ხლებასაც ვისურვებდი,¹ რამეთუ იგი ემორჩილება ეპისკოპოსს, როგორც მადლს ღვთისას, და სამღვდელოებას, როგორც იესო ქრისტეს კანონს.

თავი III

ეპისკოპოსისათვის პატივის მიგების მონოღება

1. არ უნდა მოეკიდოთ უდიერად ეპისკოპოსის ასაკს, არამედ, მამა ღმერთის ძალით, ყოველგვარი პატივი უნდა მიაგოთ მას, როგორც ეს ვიხილე წმინდა მღვდლებში, რომლებიც არ განსჯიან ეპისკოპოსის გარეგნობაში სახილველ ახალგაზრდულ ასაკს, არამედ ხვდებიან მას, როგორც ღმრთივგონიერს, არა მას, არამედ იესო ქრისტეს მამას, ყოველთა ეპისკოპოსს. 2. მისთვის პატივის მისაგებად, ვინც შეგიყვარათ თქვენ, ჯეროვანია მისი² მორჩილება ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, ვინაიდან ის, ვინც არ იქცევა ასე, ატყუებს არა ამ ხილულ ეპისკოპოსს, არამედ უხილავს ეუბნება სიცრუეს. ამგვარი რამ არა ხორციელისადმი მიმართული სიტყვაა, არამედ ღვთისადმი, რომელიც განმხილველია დაფარულისა (შდრ. მათე, 6.4).

თავი IV

უმსგავსი დამოკიდებულების შესახებ ეპისკოპოსის მიმართ

1. ჯეროვანია არა მხოლოდ სახელდება ქრისტიანებად, არ-

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 12.1.

2. ანუ ეპისკოპოსის.

ამედ ასეთებად ყოფნაც. ასე მაგალითად, ზოგიერთები მავანს სიტყვით ეპისკოპოსს უწოდებენ, მაგრამ ყველაფერს მის გარეშე აკეთებენ. ასეთები, მგონია, რომ არ არიან კეთილსინდისიერნი, რადგან ისინი არ იკრიბებიან კანონიერად, მცნების თანახმად.

თავი V

ეპისკოპოსის არად ჩაგდების სასჯელი სიკვდილია

1. ვინაიდან ყოველ მოვლენას დასასრული აქვს, წინ გველოდება ორივე ერთად, სიკვდილი და სიცოცხლე, და თითოეული ადამიანი თავის ადგილას გაემართება (შდრ. საქმე, 1.25), 2. მსგავსად ორი მონეტისა, რომელთაგანაც ერთი ღვთისაა და მეორე წუთისოფლისა, და თითოეულ მათგანს თავისი ანაბეჭდი აქვს ამოჭრილი: ურწმუნოებს – ამ წუთისოფლისა, ხოლო მორწმუნეებს – სიყვარულში, იესო ქრისტეს მეშვეობით, ანაბეჭდი მამა ღმერთისა (შდრ. ებრ. 1.3). თუკი მის გამო არ ვართ მზად, მოვკვდეთ საკუთარი ნებით მისი ვნების (დათმენის) გზით,¹ მისი სიცოცხლე არ არის ჩვენში (რომ. 6.5-11).

თავი VI

ერთსულოვნების შენარჩუნების მონოღება

1. ამრიგად, რადგანაც ზემოხსენებული პიროვნებების სახით ვიხილე რწმენაში მთელი თქვენი კრებული და შევიყვარე იგი, გარწმუნებთ, ყველაფრის კეთებას საღმრთო ერთსულოვნებაში ესწრაფოთ ეპისკოპოსის, როგორც ღვთის სახის, წინამძღოლობით,² და მღვდლებისა, როგორც მოციქულთა შესაკ-

1. εἰς τὸ αὐτὸν πάθος. ამ მონაკვეთს სხვადასხვაგვარად თარგმნიან: „სიკვდილი მის ვნებაში წილის მისაღებად“ („de mourir pour avoir part à sa passion“, *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 83), „умереть по образу страдания Его“, რომელიც ეთანხმება ლათინურ თარგმანს: „mori juxta ipsius passionem“ (PG 5, სვ. 667A). ლათინურის თარგმანში ეს მონაკვეთი მოცემულია შემდეგნაირად: „to die unto His passion“ (გვ. 144).

2. εἰς τὸν αὐτὸν Θεόν. შდრ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 9.1.

რებელისა,¹ ჩემთვის უტკბეს დიაკვნებს კი მინდობილი აქვთ მსახურება იესო ქრისტესი, რომელიც უწინარეს საუკუნეთა მამასთან იყო და დასასრულს ცხადლივ მოგვევლინა. 2. ამიტომ მომიშუაკეთ ყველამ იგივე საღმრთო მოსწრაფება და პატივი მიაგეთ ერთმანეთს. ნურავინ შეხედავს ახლობელს ხორციელი თვალთახედვით, არამედ მუდამ გიყვარდეთ ერთმანეთი იესო ქრისტეში. ნურაფერი იქნება თქვენ შორის, რასაც შეეძლება თქვენი განყოფა, არამედ იყავით ერთიანნი ეპისკოპოსთან და სხვებთან ერთად, რომელნიც წინამძღოლობენ ნიმუშად და მოძღვრებად უხრწნელებისა.

თავი VII

მოწოდება ეპისკოპოსებთან და მღვდლებთან გაერთიანებისაკენ

1. ისევე, როგორც უფალი არც თავად, არც მოციქულთა მემკვიდრებით, არაფერს აკეთებს მამის გარეშე (შდრ. იოანე, 5.19,30, 8.28), რადგან მასთან არის შეერთებული, ასევე ნურც თქვენ იქმთ რასმე ეპისკოპოსისა და მღვდელთა გარეშე. ნუ შეეცდებით, რაიმე საქებარი გააკეთოთ საკუთრივ თქვენ მიერ, არამედ ერთ ადგილას შეკრებილებმა აღავლინეთ ერთი ღოცვა და ერთი სავედრებელი, გქონდეთ ერთი გონება და ერთი სასოება სიყვარულში (შდრ. ეფეს. 4.4-6), უმნიკვლო სიხარულში. ეს არის იესო ქრისტე, რომელზე უკეთესიც არაფერია. 2. ისწრაფეთ ყველამ შესაკრებად, როგორც ღვთის ერთ ტაძარში, როგორც ერთ საკურთხეველთან, ერთ იესო ქრისტესთან, რომელიც ერთი მამისაგან გამოვიდა (იოანე, 8.42, 13.3), ერთში მყოფობს (შდრ. იოანე, 14.10) და ერთისაკენ გაემართა² (იოანე, 13.3, 14.28, 16.10).

თავი VIII

გაფრთხილება ცრუ მოძღვრებათა წინააღმდეგ

1. ნუ შეგაცდენთ მწვალებლური მოძღვრებები, ნურც ძველი, უსარგებლო მონაგონები (შდრ. 1ტიმ. 4,7; ტიტ. 1.14, 3.9),

1. τὸ συῆδριον.

2. ἄφ' ἑῷς πατρὸς προελθίῃτα καὶ εἰς ἓνα ὄντα καὶ χωρῆσαιτα.

რადგან თუკი აქამდე იუდაურ კანონთა მიხედვით ვცხოვრობთ, ვალიართ, რომ მაღლი არ მიგვიღია. 2. უსაღმრთოესი წინასწარმეტყველები იესო ქრისტეს მიხედვით ცხოვრობდნენ. ამის გამო იდევენობდნენ კიდევ. შთაგონებულნი მისი მაღლით, ისინი შეაგონებდნენ ურწმუნოებს, რომ ერთია ღმერთი, რომელმაც გამოაცხადა¹ საკუთარი თავი იესო ქრისტეს, თავისი ძის მიერ, რომელიც არის მისი სიტყვა, გამოსული მდუმარებიდან (შდრ. სიბრძ. 18.14-15), რომელიც ყოვლითურთ სათნო-ეყო თავის მომავლინებელს (შდრ. იოანე, 8.29).

თავი IX

ქრისტესთან ერთად ცხოვრება

1. თუკი იმათ, ვინც ძველი წესებით აღიზარდა, ახალ სასოებამდე მიაღწიეს და აღარ შაბათობენ, არამედ ცხოვრობენ უფლის დღით,² რომელშიც, უფლის წყალობით და მისი სიკვდილის მეოხებით, ჩვენი სიცოცხლეც (ხელახლა) იშვა,³ – ზოგიერთები უარჰყოფენ ამას,⁴ ჩვენ კი ამ საიდუმლოს მეშვეობით რწმენა მივიღეთ და მისი მიზეზით მოთმინება შევიმოსეთ, რათა აღვირაცხოთ ჩვენი ერთადერთი მოძღვრის, იესო ქრისტეს მონაფეებად, – 2. როგორ შეგვიძლია ვიცხოვროთ მის გარეშე? წინასწარმეტყველებიც, სულიწმინდის წყალობით, მისი მონაფეები იყვნენ და ელოდნენ მას, როგორც მასწავლებელს. ამის გამო მან, რომელსაც სამართლიანად ელოდნენ, ამქვეყნად მოსულმა ისინი მკვდრეთით აღადგინა (შდრ. რომ. 10.7; ეფეს. 4.9; 1პეტრე, 3.19).

თავი X

გაფრთხილება იუდაური მოძღვრების წინააღმდეგ

1. ნუ ვიქნებით უგულისხმონი მისი⁵ სიკეთის მიმართ, ვინა-

1. φανερώσας.

2. ანუ კვირით.

3. ἀνέτειλεν ფრანგულ თარგმანში გადმოღებულია, როგორც 'ამაღლდა' ("notre vie s'est levée", *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 89).

4. საუბარია მაცხოვრის სიკვდილზე.

5. ანუ უფლის.

იდან თუკი იგი მიბაძავს იმას, როგორც ჩვენ ვიქცევით,¹ მაშინ ჩვენ აღარც ვიარსებებთ. ამიტომ, რახან მისი მოსწავლეები გაუხდით, ვისწავლოთ კიდევ ქრისტიანულად² ცხოვრება. რადგან იგი, ვინც (ქრისტიანის გარდა) სხვა სახელით იწოდება, არ არის ღვთისა (შდრ. საქმე, 4.12). 2. მაშ, გადაადგედთ ბოროტი საფუარი, დაძველებული და ამჟავებული, და შეცვალეთ იგი ახალი საფუვრით, რომელიც არის იესო ქრისტე (შდრ. 1კორ. 5.6-8; მათე, 13.33, 16.6,11,12; მარკ. 8.15; ლუკა, 12.1, 13.21). დამარილდით მასში (შდრ. მათე, 5.13; მარკ. 9.49), რათა არ განიხრწნას რომელიმე თქვენგანი, რადგან თქვენი სუნის მიხედვით იქნებით მხილებულნი. 3. შეუთავსებელია საუბარი იესო ქრისტეს შესახებ და იუდეველობა. რადგან ქრისტიანობამ კი არ იწამა იუდეველობა, არამედ იუდეველობამ – ქრისტიანობა, რომელშიც გაერთიანდა ღვთის მორწმუნე ყველა ენა³ (ესაია, 66.18).

თავი XI გაფრთხილება

1. ამ ყველაფერს, ჩემო საყვარელნო, გწერთ არა იმის გამო, თითქოს ჩავთვალე, რომ ზოგიერთი თქვენგანი ასე იქცევა, არამედ, როგორც უმცირეს თქვენგანს, მიიწავლავთ, რათა არ წამოეგოთ ფუჭი მოძღვრების ანკესზე, არამედ გულის სავსებით გწამდეთ შობა, ვნება და აღდგომა, რომელიც მოხდა პონტიუს პილატეს გამგებლობის ხანაში, რადგანაც ისინი ჭეშმარიტად და ნამდვილად აღასრულა იესო ქრისტემ, სასოება

1. იგულისხმება ადამიანთა მტრობა ერთმანეთის მიმართ.

2. κατά χριστιανισμόν, სიტყვასიტყვით: ქრისტიანობის მიხედვით. შდრ. 10.3. აღსანიშნავია, რომ ეს მონაკვეთი წარმოადგენს ქრისტიანობის პირველ ხსენებას (შდრ. Lampe, 1961, გვ. 1530). იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 3.3; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 6.1, წმ. პოლიკარპე სმირნელის *მარტვილობა*, 10.1. ანტიოქიას უკავშირდება საკუთრივ ტერმინი „ქრისტიანიც“ (საქმე, 11.26).

3. γλωσσαις აქ ებრაული ׀שׁ-ის კალკირებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელს ებრაულში აქვს როგორც 'ენის', ისე 'ტომის' მნიშვნელობა (Штейнберг О. *Еврейский и халдейский этимологический словарь к книгам Ветхого Завета*. Вильна, 1878, გვ. 237), მაშინ, როდესაც γλωσσαι-ს მხოლოდ 'ენის' მნიშვნელობა გააჩნია.

ჩვენმა (შდრ. 1ტიმ. 1.1), რომლისგანაც ნურავის შეემთხვევა განვარდნა.

თავი XII

ავტორის თავმდაბლობა

1. ღირსი რომ ვიყო, ვისურვებდი, ყოვლითურთ მეხარა თქვენით. ვინაიდან თუმცა კი ბორკილდადებული ვარ, არცერთი თქვენგანის, თავისუფალის,¹ არა ვარ სწორი. ვიცი, რომ არ მედიდურობთ, რადგან იესო ქრისტე გყავთ დამკვიდრებული საკუთარ თავში. და მეტიც, როდესაც გაქებთ თქვენ, ვზედავ, რომ ნითლდებით, როგორც დანერილია: „მართალი საკუთარი თავის ბრალმდებელია“ (იგავ. 18.17).

თავი XIII

მონოღება რწმენასა და ერთობაში განმტკიცებისაკენ

1. ამიტომ, ეცადეთ განმტკიცდეთ უფლისა და მოციქულთა დოგმატებში, რათა ყველაფერში, რასაც აკეთებთ, მიაღწიოთ წარმატებას (ფსალ. 1.3) ხორციელად და სულიერად, რწმენით და სიყვარულით, ძეში, მამასა და სულიწმინდაში, დასაბამსა და დასასრულში,² თქვენი უღირსეულესი ეპისკოპოსით, თქვენი სამღვდელოების ღირსადდაწნული სულიერი გვირგვინითა და ღვთისმძიერი დიაკვნებით. 2. დაემორჩილეთ ეპისკოპოსსა და ერთმანეთს (ეფეს. 5.21), როგორც იესო ქრისტე მამას ხორციელად,³ და მოციქულები – ქრისტეს და მამას და სულიწმინდას,⁴ რათა ერთობა იყოს ხორციელიც და სულიერიც.

1. τῶν λελευμένων, სიტყვასიტყვით: გამოხსნილის.

2. იხ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 14.1.

3. κατὰ σάρκα.

4. „სულიწმინდას“ ვამატებთ კრიტიკული გამოცემისა (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 90) და PG-ს (გვ. 673) მიხედვით, რადგან ლათინურის გამოცემაში ამ მონაკვეთში მხოლოდ „ქრისტე და მამა“ ნახსენები (გვ. 115), ისევე, როგორც ე.წ. „ვრცელ რედაქციაში“, და, შესაბამისად, წმ. გიორგი მთაწმინდელთან (იხ. გვ. 554).

თავი XIV

ლოცვა-ვედრების თხოვნა

1. ვინაიდან ვიცი, რომ ღვთით ხართ აღვსილნი, მოკლედ დაგარიგეთ თქვენ. მომიხსენიეთ თქვენს ლოცვებში, რათა ღმერთს მივემთხვიო მეც და სირიაში მდებარე ეკლესიაც, რომლის (ნევრადაც) არა ვარ ღირსი, ვინოდებოდე. ღმერთში გაერთიანებული თქვენი ლოცვა და სიყვარული მჭირდება იმისათვის, რომ თქვენი გულმოდგინების წყალობით სირიის ეკლესია (ზეციური) პკურების¹ (შდრ. ვმაკაბ. 6.6) ღირსი გახდეს.

თავი XV

მოკითხვა სხვა ეკლესიებიდან

1. მოგიკითხავენ თქვენ ეფესელები² სმირნიდან, საიდანაც მე გწერთ. ისინი აქ ღვთის სადიდებლად ჩამოვიდნენ და ისევე როგორც თქვენ, ყოვლითურთ შვება მომანიჭეს სმირნელთა ეპისკოპოს პოლიკარპესთან ერთად. მოგიკითხავენ სხვა ეკლესიებიც იესო ქრისტესთვის პატივის მისაგებად. განმტკიცდით ღვთის ერთსულოვნებაში, გქონდეთ განუყოფელი სული, რომელიც არის იესო ქრისტე!

1. ნიოსთმჩიას.

2. მათ სახელებს ეგნატი ანტიოქიელი ჩამოთვლის *ეპისტოლეში ეფესელთა მიმართ*, 1.3, 2.1. ესენი არიან: ონესიმოსი (1.3, 2.1), ბუროსი, კროკოსი, ევბლოსი და ფრონტონი (2.1).

ეპისტოლე ტრალისელთა¹ მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, ღმერთის, იესო ქრისტეს მამის მიერ შეყვარებულ, აზიის ტრალისში მდებარე წმინდა, გამორჩეულსა და ღმრთივლირსეულ ეკლესიას, რომელსაც უპყრია მშვიდობა ხორციელად და სულიერად, იესო ქრისტეს ვნების წყალობით, – იმისა, ვინც სასოებაა ჩვენი აღდგომისა მასში (იესო ქრისტეში), – მივესალმები (საღმრთო) სავსებით, სამოციქულო წესისამებრ (შდრ. რომ. 15.29), და სიხარულის განმრავლებას ვუსურვებ.

თავი I

ტრალისელთა ეკლესიის ღირსებანი

1. როგორც შევიტყვე, მოთმინებით გიპყრიათ უბინო და შეუორგულებელი გონება (შდრ. ლუკა, 8.15; 2კორ. 6.4) არა მხოლოდ ურთიერთობისას, არამედ ბუნებითაც, როგორც დამანახა პოლიბიოსმა, თქვენმა ეპისკოპოსმა, რომელიც ღვთისა და იესო ქრისტეს ნებით ჩამოვიდა სმირნაში და ესოდენ გაიხარა ჩემთან, იესო ქრისტესთვის ბორკილდადებულთან ერთად, რომ მთელი თქვენი კრებული ვიხილე მასში. 2. მივილე მისგან ღვთისმიერი თქვენი კეთილგანწყობა და აღვაკვლინე ღიღება,

1. ქალაქი ტრალისი (ტრალესი), დიდი ნავსადგური ჩრდილო კარიამში, მდებარეობდა მაგნესიის ახლოს. ამჟამად იგი თურქეთის შემადგენლობაშია და აიდინი (Aydin) ეწოდება.

ვინაიდან გპოვეთ, როგორც მიეხვდი, ღვთის მიმბაძველებად (შდრ. ეფეს. 5.1).

თავი II

მონოღება ეპისკოპოსთა, მღვდელთა და დიაკონთა მორჩილებისაკენ

1. როდესაც ეპისკოპოსს ქრისტესავით ემორჩილებით, მეჩვენება, რომ ცხოვრობთ არა ადამიანთა, არამედ იესო ქრისტეს მსგავსად, რომელიც ჩვენ გამო აღესრულა, რათა თქვენ იწამოთ მისი სიკვდილი და სიკვდილს გაექცეთ. 2. ამიტომ, აუცილებელია, რომ, როგორც იქმთ კიდეც, არაფერი მოიმოქმედოთ ეპისკოპოსის გარეშე. ამასთან, დაემორჩილოთ სამღვდელოებასაც, ვით ჩვენი სასოების, იესო ქრისტეს (შდრ. 1ტიმ. 1.1) მოციქულებს. დავეგოთ მას¹ და მასში ვიყოთ აღრაცხილნი. 3. ასევე, მართებს ყველას, ყველანაირად სათნო-ეყონ მათ, ვინც იესო ქრისტეს საიდუმლოთა მსახურია² (1კორ. 4.1), რადგან ისინი არ არიან საჭმელთა და სასმელთა მსახურნი,³ არამედ ღვთის ეკლესიის მომსახურენი.⁴ თავად მათ კი მართებთ, ცეცხლივით უფროთხილდნენ გაკიცხვებს.

თავი III

ეპისკოპოსთა, მღვდელთა და დიაკონთა პატივისცემისაკენ მონოღება

1. მსგავსადვე, ყველამ პატივი უნდა მიაგოს დიაკვნებს – როგორც იესო ქრისტეს, ისევე როგორც ეპისკოპოსს, რომელიც არის მამის სახება, მღვდლებს – როგორც საღმრთო შესაკრებელს და როგორც მოციქულთა ერთობას.⁵ მათ გარეშე

1. ანუ მაცხოვარს.

2. τοὺς διακόνους.

3. δῆκονοι. საუბარია წარმართ ქურუმთა შესახებ, რომელთა ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა მსხვერპლის ხორცის გაზიარება თავისი მრევლისთვის.

4. ὑπηρέται.

5. ὡς συῆδριοι θεοῦ καὶ ὡς σύνδεσμοι ἀποστόλων. შდრ. წმ. ეგნატი ან-

ეკლესია ეკლესიად არ იწოდება. 2. მათ შესახებ, დარწმუნებული ვარ, თქვენც ამგვარადვე ფიქრობთ. მე მივიღე თქვენი სიყვარულის ნიმუში¹ და თან მახლავს იგი თქვენი ეპისკოპოსის სახით, რომლის საქციელიც თავადვე არის შესანიშნავი გაკვეთილი, ხოლო მისი სახიერება – მისი ძალა, და რომელსაც, მგონი, უღმერთოებიც² კი სცემენ პატივს. 3. გინდობთ თქვენ, რადგან მიყვარხართ, თორემ შემეძლო მასთან დაკავშირებით უფრო მკვეთრად მომეწერა. მაგრამ ვერ მივიჩინე საკუთარ თავს ღირსად იმისა, რომ მე, მსჯავრდებულმა, მოციქულივით გიბრძანოთ თქვენ.

თავი IV ავტორის თავმდაბლობა

1. ბევრს ვფიქრობ ღმერთზე, მაგრამ ვაკავებ საკუთარ თავს, რომ არ წარვწყმდე ტრაბახის გამო. ახლა მე მმართებს უფრო მეტი შიში და უყურადღებობის გამოჩენა იმათ მიმართ, ვინც პატივმოყვარეობით მავსებს, რადგან ჩემს მიმართ ქათინაურების თქმით ისინი მგვემენ მე. 2. მინდა ვევენო, მაგრამ არ ვიცი, ვარ თუ არა ღირსი ამისა. მრავალი ადამიანისთვის არ არის თვალნათელი შური (დემონისა ჩემს მიმართ), მე კი იგი დიდად მეომება.³ ამიტომაც მჭირდება სიმშვიდე,⁴ რომლის მიერაც ემხობა მთავარი ამ ნუთისოფლისა.

ტიოქიელი, *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 6.1; *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 8.1.

1. ἔξ̅ε̅μ̅π̅λ̅ά̅ρι̅ον̅.

2. საუბარია წარმართთა შესახებ.

3. Τὸ γὰρ ζήλος πολλοῖς μὲν οὐ φαίνεται, ἐμὲ δὲ πλέον πολεμεῖ. ფრანგულ (“Car mon impatience n’apparaît pas au grand nombre, mais elle me fait une guerre d’autant plus violente”) და რუსულ (“Ревности во мне многие не видят, а она сильно берет меня”) თარგმანებში ამ სტრიქონს ერთი შინაარსი აქვს, თუმცა, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ, კონტექსტის გათვალისწინებით, ეს წინადადება ლაითფუტის თარგმანში არის გადმოღებული, რომელსაც ვითვალისწინებთ ჩვენც: „for this envy of the devil is unseen indeed by many, but against me it wages the fiercer war“ (გვ. 147).

4. πρᾶσις. ითარგმნება ასევე, როგორც ‘სახიერება’, ‘მოკრძალებულობა’, ‘თავშეკავება’, ‘ლმობიერება’.

თავი V

უარის თქმა უფრო ღრმა მოძღვრების გადმოცემაზე

1. განა არ შემიძლია მოგწეროთ ზეციურ საქმეთა შესახებ? მაგრამ მეშინია, თქვენ, ჩვილებს, ზიანი არ მოგაყენოთ (შდრ. 1კორ. 3.1-2) და, მომიტევეთ მე, (მეშინია), რომ ვერ შესძლებთ მათ დატევენას და ისინი მოგახრჩობენ თქვენ. 2. მე კი, თუმცა შებორკილი ვარ და შემიძლია გონების თვალთ ვიხილო¹ ზეციური და ანგელოზთა განწესებანი, მთავრობათა მწყობრი,² ხილულნი და უხილავნი, ამის გამო ჯერ არ გავმხდარვარ მონაფე.³ გვაკლია მრავალი რამ, რომ ღმერთს არ გამოვაკლდეთ.

თავი VI

გაფრთხილება მწვალებელთა შხამის წინააღმდეგ

1. გვევდრებით, არა მე, არამედ იესო ქრისტეს სიყვარული, იხმიოთ მხოლოდ ქრისტიანული საკვები და მოერიდოთ უცხო მცენარეულს, რომელიც მწვალებლობას წარმოადგენს.⁴ 2. ისინი თავიანთ სამსალაში⁵ ურევენ იესო ქრისტეს, რითაც მას ნდობას სძენენ და, სასიკვდილო წამალივით, თაფლიანი ღვინით იძლევიან, უმეცარნი კი დამლუპველი სიამოვნებით უშიშრად ლებულობენ სიკვდილს.

თავი VII

გაფრთხილება მწვალებელთა წინააღმდეგ

1. ეკრძაღეთ ასეთ ადამიანებს. ამას შესძლებთ, თუკი არ იქნებით ქედმაღალნი და არ დაშორდებით იესო ქრისტეს, ეპ-

1. *σοειν*, სიტყვასიტყვით, 'შემეცნება'.

2. *τὰς σπυριταίς* გულისხმობს იერარქიას (იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 99). შდრ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 6.1.

3. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.2, 3.1; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 4.2, 5.3. ეს წინადადება ეგნატი ანტიოქიელის თავმდაბლობის გამოხატულობას წარმოადგენს.

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 10.3.

5. იგულისხმება, მწვალებლური მოძღვრების სამსალა, შხამი.

ისკოპოსს და სამოციქულო სჯულდებებს. 2. ვინც საკურთხეველის შიგნით არის, სუფთაა, ვინც საკურთხეველის გარეთ არის, არ არის სუფთა,¹ ანუ ეპისკოპოსის, სამღვდელოების და დიაკონთა გარეშე ვინც რაიმეს აკეთებს, მას არა აქვს სუფთა სინდისი (შდრ. 1ტიმ. 3.8-9).

თავი VIII

გაფრთხილება ემმაკის ხრიკთა წინააღმდეგ

1. არა იმის გამო, რომ გამიგონია ამგვარი რამ თქვენთან დაკავშირებით, არამედ მინდა გაგაფრთხილოთ, რადგან ჩემი საყვარელი ხართ (შდრ. 1კორ. 4.14), რადგან წინასწარ ვჭვრეტ ემმაკის ხრიკებს. მოიპოვეთ სიმშვიდე და აღავსეთ საკუთარი თავი რწმენით, რომელიც არის უფლის ხორცი, და სიყვარულით, რომელიც არის იესო ქრისტეს სისხლი.² 2. ნურცერთ თქვენგანს ნუ ექნება რაიმე მოყვასის საწინააღმდეგო. ნუ მისცემთ მიზეზებს წარმართებს, რათა მცირეოდენ უგუნურ ადამიანთა გამო მთელი ღმრთივსულიერი კრებული იქნას შეურაცხყოფილი. „ვაი მას, ვისი მიზეზითაც, ამაოების გამო, დაიგმობა მავანთა მიერ ჩემი სახელი“ (შდრ. ესაია, 52.5).

თავი IX

ქრისტეს შობის, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ

1. ამიტომ, დაიხშეთ ყურები, როდესაც ვინმე დაგინწყებთ საუბარს რაიმე სხვაზე, იესო ქრისტეს გარდა, რომელიც დავითის გვარიდან, მარიამისგანაა, რომელიც ჭეშმარიტად იშვა,³ ჭამა და სვა, ჭეშმარიტად განისაჯა სასამართლოზე პონტიუს პილატეს მიერ, ჭეშმარიტად ეცვა ჯვარს და მოკვდა,⁴ ზეციერთა, მიწიერთა და მიწისქვეშათა თვალწინ, 2. ვინც ჭეშმარიტად

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 5.2; *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 7.2; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 4.1.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 14.1.

3. ἔγεννηθη.

4. იგულისხმება, ხორციელი ბუნებით.

აღსდგა მკვდრეთით, როდესაც აღადგინა იგი მისმა მამამ (საქ-
მე, 2.24,32, 3.15, 4.10, 5.30; რომ. 4.24), ვის მსგავსადაც ჩვენც,
ვისაც გვნამს იგი, ასევე აღგვადგენს მისი მამა იესო ქრისტეში,
რომლის გარეშეც არა გვაქვს ჭეშმარიტი ცხოვრება.¹

თავი X

ქრისტეს ვნების ჭეშმარიტება

1. ხოლო თუკი, როგორც ზოგიერთი უღმერთო ანუ ურწმუნ-
ო ამბობს, იგი მოჩვენებითად ევნო² (თვითონ არიან მოჩვენე-
ბითნი!), მე რაღად ვარ შებორკილი? რატომ მწაღია მხეცებ-
თან ბრძოლა? მაშ, უსარგებლოდ ვკვდები! მაშ, ცილს ვნამებ
უფალს! (შდრ. 1კორ. 15.15).

თავი XI

მწვალებელთა დამლუპველი შეცდომები

1. გაექეცით ბოროტ ნერგებს, რომელთაც გამოაქვთ სიკ-
ვდილისმომტანი ნაყოფი, რადგან თუ ვინმე იგემებს მას, მყის-
ვე ილუპება, ვინაიდან ისინი არ არიან დანერგილნი მამის მი-
ერ (შდრ. მათე, 15.13; იოანე, 15.1; 1კორ. 3.9). 2. რომ ყო-
ფილიყვნენ, გამოაჩენდნენ თავს, როგორც ჯვრის ყლორტები,
და მათი ნაყოფი უხრწნელი იქნებოდა. თავისი ვნებისას, მისი
მეშვეობით იგი³ მოგინოდებთ თქვენ, რომლებიც მისი ასოები
ხართ (შდრ. რომ. 12.4-5).⁴ არ ხელენიფება თავს ცალკე შობა,
სხეულის სხვა წევრთა გარეშე. ღმერთმა დადო აღთქმა ამ ერ-
თობისა, რომელიც არის იგი თავად.

1. ეს მონაკვეთი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ქრისტოლოგიურ
მრწამსს, რომელიც გამოიყენებოდა ნათლობისა და ზიარების ღვთისმსა-
ხურებისას. იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 100-102, შენ. 4.

2. τὸ δοκεῖν περιθίνειν αὐτόν. როგორც ჩანს, საუბარია დოკეტების
წვალებაზე. შდრ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე სმირნელთა*
მიმართ, 2.1. შდრ. ასევე, 1იოანე, 4.2; 2იოანე, 1.7.

3. სხვაგვარად: ჯვრის მეშვეობით მოგინოდებთ მაცხოვარი.

4. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*,
4.2.

თავი XII

მონოღება ერთობისა და სიყვარულისაკენ

1. მოგიკითხავთ სმირნიდან, ჩემთან ერთად მყოფ ღვთის ეკლესიებთან ერთად,¹ რომლებმაც ყოვლითურთ შვევა მომგვარეს, ხორციელად და სულიერად. 2. გვედრებიან ჩემი ბორკილები, რომელთაც მე, ღვთის მიმთხვევის მსურველი, იესო ქრისტეს გამო ვატარებ: დარჩით თქვენს ერთსულოვნებასა და ლოცვაში ერთმანეთთან ერთად. თითოეულ თქვენგანს, განსაკუთრებით კი მღვდლებს, ჰმართებს, განუსვენოს² ეპისკოპოსს პატივად იესო ქრისტეს მამისა³ და მოციქულებისა. 3. გვედრებით, სიყვარულით მომისმინოთ, რათა ის, რაც თქვენ მოგწერეთ, არ იქცეს მტკიცებულებად თქვენ წინააღმდეგ. ილოცეთ ჩემთვისაც, რადგან თქვენმიერი სიყვარული ღვთის წყალობისათვის მჭირდება, რათა ღირს-ვიქმნე წილისა, რომლის მიმთხვევაც მნადია, და რათა არ აღმოვჩნდე უღირსი ამისა (შდრ. 1კორ. 9.27).

თავი XIII

თხოვნა სირიის ეკლესიისათვის ლოცვის შესახებ

1. სალამს გითვლით სმირნელთა და ეფესელთა სიყვარულიც.⁴ მოიხსენიეთ თქვენს ლოცვებში სირიის ეკლესიაც, რომ-

1. იგულისხმება, ამ ეკლესიათა მიერ მოვლინებულ სასულიერო პირებთან ერთად. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.3, 2.1; *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 2.1.

2. ἀναψύχειν. იგულისხმება მოსვენება, გამასპინძლება.

3. ლაითფუტის გამოცემაში ეს მონაკვეთი იკითხება, როგორც „პატივად მამისა [და პატივად] იესო ქრისტესი“ (εἰς πατέρα [καὶ εἰς υἱόν] Ἰησοῦ Χριστοῦ). რადგანაც [καὶ εἰς υἱόν] მოცემულია, როგორც საეჭვო ავთენტურობის მონაკვეთი, ამიტომ ჩვენ, ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის მიხედვით (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 103, შენ. 5), მას თარგმანში არ ვითვალისწინებთ, არამედ ვინარჩუნებთ პავლე მოციქულისა და ეგნატი ანტიოქიელის ფორმულას: „იესო ქრისტეს მამა“ (შდრ. 2კორ. 1.3, ეფეს. 1.3; წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 2.1; *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 3.1).

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 9.3; *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 11.2; *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 12.1.

ლის (წვერადაც), უნარჩევესი მათგანი, არ ვარ ღირსი, ვინოდებოდე¹ (შდრ. 1კორ. 15.9). 2. განმტკიცდით იესო ქრისტეში, დაემორჩილეთ ეპისკოპოსს, როგორც (ღვთის) მცნებას, ასევე სამღვდელოებას, და გიყვარდეთ ყველას ერთმანეთი განუყოფელი გულით. 3. დაე, ჩემი სული ზვარაკად იყოს შეწირული თქვენთვის,² არა მხოლოდ ახლა, არამედ მაშინაც, როდესაც ღმერთს მივემთხვევი. ჯერ კიდევ განსაცდელში ვიმყოფები, მაგრამ სარწმუნოა მამა და იგი აღასრულებს ჩემსა და თქვენს თხოვნას იესო ქრისტეში, რომელშიც, დაე, უბიწონი აღმოვჩნდეთ (ყველა).

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 14.1.

2. იხ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 8.1.

ეპისტოლე ზომაველთა მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, ეკლესიას, წყალობამიმაღლებულს უზენაესი მამისა და იესო ქრისტეს, მისი მხოლოდშობილი ძის დიდებულებით, ეკლესიას, შეყვარებულსა და ნათელშემოსილს მისი ნებით, ვისი ნებითაც ხდება ყველაფერი რაც ხდება, იესო ქრისტეს, ჩვენი ღმერთის რწმენითა და სიყვარულით, ეკლესიას, რომელიც პირველობს რომაველთა მხარეში და არის ღირსი ღვთისა, ღირსმშვენიერი, ღირსსანატრელი, ღირსსაქებარი, ღირსი წარმატებისა, ღირსადუბინო,¹ რომელიც პირველობს სიყვარულშიც, მისდევს ქრისტეს სჯულს² და მოსახელეა მამისა, მივესალმები იესო ქრისტეს –

1. ἁγιος, ანუ ღირსი თავისი უბინო, შეუმღვრეველი რწმენისა (შდრ. „digne de pureté“, *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 106, შენ. 2, გვ. 107). წმ. გიორგი მთაწმინდელი უკანასკნელ ორ სიტყვას შემდეგნაირად თარგმნის: „ღირსსა პატივისასა, ღირსსა სურვილისასა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1988, 1988, გვ. 619).

2. ეს სიტყვა ხელნაწერებში ორი სხვადასხვა ფორმით არის მოცემული: χριστός (‘ქრისტეს სჯულისა’) და χριστός (‘ქრისტეს მოსახელე’) ამასთან, პირველი მათგანი იკითხება ტექსტის ლათინურ, სირიულ (ܩܪܝܣܬܘܫܬܐ ስܘܪܝܝܬܐ „და სრულ-იქმნება მაცხოვრის სჯულში“, იხ. *The Ancient Syriac Version*, 1845, გვ. 16) და სომხურ თარგმანებში, ხოლო მეორე – ეპისტოლეთა ბერძნულ ინტერპოლირებულ რედაქციაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 106). რაც შეეხება გამოცემებს, χριστός და-სტურდება ლათინურთან (გვ. 120, შდრ. „walking in the law of Christ“, გვ. 150) და ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 106, შდრ. ფრანგული თარგმანიც: „qui porte la loi du Christ“, გვ. 107), ხოლო χριστός PG 5-სა (სვ. 685, შდრ. „Christi et Patris nomine“,

მამის ძის სახელით, მივესალმები, ვინც ხორციელად და სულიერად არის გაერთიანებული მის ყოველ მცნებაში, ვინც განუყოფლად არის აღვსებული ღვთის მადლით და განწმენდილია ყოველგვარი უცხო სამკაულისაგან, ვუსურვებ ჩვენს ღმერთში, იესო ქრისტეში, განმრავლებას უბინო სიხარულისა.

თავი I

რომაელ სასულიერო პირთა ხილვის წადილი

1. რადგანაც ღვთისმიმართი ლოცვის შემდეგ მივემთხვეი თქვენს ღმრთივსასურველ სახეთა ხილვას, რისი მიღებაც მრავალგზის შევთხოვე (უფალს), ვიმედოვნებ ბორკილდადებული იესო ქრისტეში, გეამბოროთ თქვენ, თუკი მისი ნება დასასრულამდე მიღწევის ღირსად მიმიჩნევს. 2. კეთილად იყო განგებული დასაბამი. ნუთუ მივემთხვევი ჩემი წილის დაუბრკოლებელი მიღებას დასასრულისას? რადგან მეშინია თქვენი სიყვარულისა, რომ რაიმე ვნება არ შემამთხვიოს. ვინაიდან ადვილია თქვენთვის იმის გაკეთება, რაც ვნებავთ, ჩემთვის კი რთულია ღვთის მიმთხვევა, თუკი თქვენ არ დამინდობთ მე.

თავი II

ნუ დამიხსნით მარტვილობისგან!

1. არ მინდა, რომ სათნო-ეყოთ ადამიანებს, არამედ სათნო-ეყოთ ღმერთს, როგორც სათნო-ეყოფით კიდევაც. რადგან აღარც მე მექნება ოდესმე ასეთი დრო, ამ ჟამის გარდა, რომ ღმერთს მივემთხვიო, აღარც თქვენ. ამიტომ, თუ დადუმდებით, (ღვთის წმინდა წიგნში) უკეთესი საქმით იქნებით აღრაცხულნი.¹ თუკი დუმილს შეინარჩუნებთ ჩემთან დაკავშირებით, მე ღმრთისა გავხდები,² ხოლო თუ ჩემი სხეულის მიმართ

სვ. 686B) და რუსულ თარგმანში (“Христоименной”). ბერძნულ ვრცელ რედაქციაში გვხვდება χριστονομιᾶς, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელთან თარგმნილია, როგორც „ქრისტეს აღმსარებელსა“ (გვ. 619).

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 5.2.

2. ლათინურის გამოცემაში მოცემულია: *ἐγὼ λῆγος Θεοῦ* ‘მე (ვარ)

სიყვარულს გამოავლენთ, ხელახლა მომიწევს სრბის დაწყება¹ (სალმრთო ასპარეზზე) (შდრ. 1კორ. 9.24,26; გალ. 5.7; ფილ. 2.16). 2. მაშინ, როდესაც სამსხვერპლო ბოლოსდაბოლოს მზად არის, მეტს ნურაფერს იღონებთ ჩემთვის, ღვთისთვის ჩემი შეწირვის გარდა² (შდრ. 2ტიმ. 4.6; ფილიპ. 2.17), არამედ სიყვარულით შექმენით გუნდი და უგალობეთ მამას იესო ქრისტეში, რადგან ღმერთმა ღირს-ქმნა სირიის ეპისკოპოსი, აღმოსავლეთიდან გამოგზავნილი დასავლეთში აღმოჩენილიყო. მშვენიერია, ჩავესვენო ამ სამყაროდან ღვთისაკენ, რათა ამოვიდეთ მასში.³

სიტყვა ღმრთისა' ("I am a word of God", გვ. 120/150), ხოლო PG-ში (PG 5, სვ. 688), ტექსტის კრიტიკულ გამოცემასა (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 109) და ვრცელ რედაქციაში კი: ἔγὼ γειρήσομαι Θεῷ. ვრცელი რედაქციის შესაბამისია წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანიც, რომელშიც „სიტყვა“ არ დასტურდება: „ვიქმნე მე ღმრთისა“ (გვ. 619).

1. ეს მონაკვეთი ლაითოფუტთან მოცემულია შემდეგნაირად: πάλιν ἔσομαι φάσις, სიტყვასიტყვით, 'კვლავ გავხდები ხმა'. PG-სა (სვ. 688) და კრიტიკულ გამოცემაში კი φάσις-ს ნაცვლად გვხვდება τρέχων (შდრ. ფრანგული თარგმანი: „il me faudra de nouveau courir“, იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 108-109), რასაც ჩვენც, ახალი აღთქმის დამონმებათა გათვალისწინებით, უფრო მართებულად მივიჩნევთ.

2. σπαινδισθήναι სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც ღვინის, ზედაშის შეწირვა.

3. იგულისხმება ღვთის საუფლოში. καθὼν τὸ δύναι ἀπὸ κόσμου πρὸς Θεόν, ἵνα εἰς αὐτὸν ἀνατεῖλω. ეგნატი ანტიოქიელი აქ საკუთარ გარდაცვალება-აღდგომას ხატოვნად მზის ჩასვლა-ამოსვლით გადმოსცემს. შდრ. ბერძნული კრიტიკული რედაქციის ფრანგული ("Il est bon de se coucher loin du monde vers Dieu, pour se lever en lui", გვ. 111), რუსული ("Прекрасно мне закатиться от мира к Богу, чтоб в Нем мне воссиять") და ლაითოფუტის თარგმანები ("It is good to set from the world unto God, that I may rise again to Him", გვ. 150). წმ. იოანე ოქროპირი წერს ეგნატი ანტიოქიელის შესახებ: „მზისებრ ამოვიდა წმ. ეგნატი და დასავლეთისაკენ ისწრაფა მან, რომელიც უბრწყინვალესი იყო მზისა. თუკი მის ზემოთ მსრბოლი მგრძნობად სინათლეს აშუქებდა, თავად ეგნატი ქვემოდან ესხივებოდა მას და მოძღვრების გონისეულ ნათელს ანიჭებდა სულებს. ასევე, თუკი მზე დასავლეთის მხარეში ჩადის და თვალს ეფარება, რასაც მყისვე მოყვება ღამე, ხსენებული მონამე დასავლეთში მისვლის შემდეგ უფრო ბრწყინვალე მზედ ამოვიდა“ (PG 50, სვ. 593, ედ. ჭელიძის თარგმანი გამოცემიდან: „წმ. ეგნატი ანტიოქიელი. ეპისტოლე რომაელთა მიმართ“, 2011, გვ. 39-45, შენ. 8).

თავი III

მარტვილობის კეთილად განსრულების ლოცვის თხოვნა

1. არასოდეს გშურდათ არავისი, სხვებსაც ამას ასწავლიდით.¹ მინდა, რომ რასაც ასწავლით და ამცნებთ, ეს ყოველივე თავად განასრულოთ. 2. გამოითხოვეთ ჩემთვის მხოლოდ ძალა, გარეგნული და შინაგანი, რათა არა მხოლოდ ვამბობდე, არამედ მენადოს კიდეც, რათა არა მხოლოდ ვინოდებოდე ქრისტიანად, არამედ აღმოვჩნდე კიდეც ასეთი. თუკი ასეთი აღმოვჩნდები, შევძლებ კიდეც, ვინოდებოდე ასე, ხოლო ერთგულად მაშინლა ჩავითვლები, როდესაც სამყაროში აღარ ვიქნები ხილული. 3. ხილული ხომ არაფერია კარგი.² ჩვენი ღმერთი, იესო ქრისტე, მამაში მყოფი უფრო მეტად იდიდება.³ ქრისტიანობა⁴ კი წარმოადგენს არა დარწმუნების, არამედ სულიერი დიდებულების საკითხს (შდრ. 1კორ. 2.4-5), (მით უფრო), როდესაც იგი მოძულებულია სანუთროს მიერ.⁵

თავი IV

მხეტია საკბილოდ გახდომის წადილი

1. ვწერ ყველა ეკლესიას და ვაუწყებ ყველას, რომ ნებით ვკვდები ღვთისთვის, თუკი თქვენ არ დამაბრკოლებთ. გთხოვთ, ნუ გამოიჩინებ ჩემ მიმართ უდროო კეთილგანწყობას. მიმიშვით, გავხდე საკბილო მხეცებისა, რომელთა მეშვეობითაც

1. პ. კამლო მიიჩნევს, რომ ამ მონაკვეთში საუბარია კლიმენტი რომაელის კორინთელთა მიმართ გაგზავნილი წერილის შესახებ (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 110, შენ. 2).

2. ანუ საუკუნო, მარადიული, რადგან ხილული წარმავალია, უხილავი კი წარუვალი (შდრ. 2კორ. 4.18).

3. სიტყვასიტყვით, „ჩანს“ (φαίνεται), ცხადია, მორწმუნეებში, რომლებიც განადიდებენ მას (შდრ. იოანე, 14.26).

4. ὁ Χριστιανισμός. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 10.1.

5. როგორც ჩანს, საუბარია ქრისტიანთა დევნაზე, როდესაც ქრისტიანი საკუთარ თავს ავლენდა არა მჭევრმეტყველებითა და სხვათა დარწმუნებით, არამედ სათნოებითა და საღმრთო დიდებულებით (შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 14.2, იხ. ასევე, *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 110-111, შენ. 5).

შევძლებ, მივემთხვიო ღმერთს. ღვთის ხორბალი ვარ¹ და მხეც-
თა კბილების მეშვეობით დავიფქვები, რათა ქრისტეს წმინდა
პური შევიქმნე.² 2. უმჯობესია, მოეფეროთ მხეცებს, რომ სამა-
რედ გამიხდნენ მე და არაფერი დატოვონ ჩემი სხეულიდან, რა-
თა მიძინებული არავისთვის ვიქცე სიმძიმისადა. მაშინლა ვიქნე-
ბი ჭეშმარიტად იესო ქრისტეს მოწაფე, როდესაც წუთისოფელი
ჩემს სხეულს აღარ იხილავს. ევედრეთ უფალს ჩემთვის, რათა
ამ იარაღთა მეშვეობით ზვარაკად შევეწირო ღმერთს. 3. არ
გიბრძანებთ როგორც პეტრე და პავლე,³ – ისინი მოციქულები
იყვნენ, მე კი მსჯავრდებული ვარ, ისინი თავისუფალნი იყვნენ,
მე კი მონა ვარ აქამდე⁴ (შდრ. 1კორ. 9.1). მაგრამ თუ ვეწევი,
იესო ქრისტეს აზატი გავხდები (1კორ. 7.22) და თავისუფალი
აღვდგები მასში. ახლა კი, შებორკილი, გულისთქმის უქონლო-
ბას ვსწავლობ.

თავი V სიკვდილის სურვილი

1. სირიიდან რომამდე მხეცებს ვებრძვი (შდრ. 1კორ. 15.32),
ხმელეთსა და ზღვაზე, ღამით და დღისით, შებორკილი ათი
ჯიქის მიერ, რომლებიც მეომართა რაზმია და რომლებიც მათ
მიმართ განუელი სიკეთისმოქმედებისგან უფროდაუფრო სას-
ტიკნი ხდებიან. მათ შეურაცხყოფათა საშუალებით მე უფრო

1. ეს მონაკვეთი დამონმებულია წმ. ირინეოს ლიონელთან (*მწვალელობათა
წინააღმდეგ*, 5.28.4) და ევსევი კესარიელთან (*ეკლესიის ისტორია*, 3.36.12).

2. ნეტარი იერონიმე იმონმებს ამ სტრიქონს და მიუთითებს, რომ ეგნა-
ტი ანტიოქიელმა ეს სიტყვები მაშინ თქვა, როდესაც მას მხეცებით დასჯა
მიუსაჯეს და ლომების ღრიალი შემოესმა (ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ
ადამიანთა ცხოვრება*, 16). იხ. ასევე, წმ. ირინეოსი, *მწვალელობათა
წინააღმდეგ*, 5.28.4.

3. პეტრე და პავლე მოციქულებმა უქადაგეს ქრისტიანობა რომაელებს
და რომშივე აღესრულნენ (იხ. პავლე მოციქულის *ეპისტოლე რომაელ-
თა მიმართ*, წმ. კლიმენტი რომაელის *პირველი ეპისტოლე კორინთელ-
თა მიმართ*, 5.2-7; წმ. პოლიკარპე სმირნელის *ეპისტოლე ფილიპელთა
მიმართ*, 9.1).

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*,
12.1, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 3.3.

მეტად განვისწავლები,¹ „მაგრამ ამით არ განვმართლდები“ (1კორ. 4.4). 2. დაე, გავიხარო ჩემთვის მომზადებული მხეცე-ბით. ვლოცულობ, რომ ისინი სწრაფნი აღმოჩნდნენ. მათ ყურადღებას მივიპყრობ, რათა უმაღლვე მშთანთქან, და არა ისე, როგორც ზოგიერთებისა რომ შეემინდათ და არ შეეხნენ. და თუ ისინი ნებით არ მოისურვებენ ამას, მე ვაიძულებ.² შემინდეთ. მე ვიცი, რა არის სასარგებლო ჩემთვის. 3. ახლალა ვინცე მონაფეობას და ხილულთა და უხილავთაგან ვერაფერი შემიშლის ხელს, რომ იესო ქრისტეს მივემთხვიო. დაე, ცეცხლი და ჯვარი, მხეცთა სიმრავლენი, დაჭრა, აკუნვა, ძვლების განბნევა, კიდურთა მოკვეთა, მთელი სხეულის დანანევრება, ეშმაკის ბოროტი ტანჯვები მოინიოს ჩემზე, ოღონდაც მივემთხვიო იესო ქრისტეს (შდრ. ლუკა, 14.27).³

თავი VI

ჭეშმარიტ სიცოცხლეს სიკვდილის მეშვეობით მივალწევ

1. არას მარგებენ სამყაროს სიამენი,⁴ არც მეფობანი ამ ნუთისოფლისა. უმჯობესია ჩემთვის იესო ქრისტესთვის სიკვდილი (შდრ. 1კორ. 9.15), ვიდრე დედამინაზე მეფობა კიდით კიდემდე. მას ვეძიებ, ვინც ჩვენთვის მოკვდა. იგი მნადია, ვინც ჩვენთვის აღდგა. ნინ მელის შობა.⁵ 2. შემინდეთ, ძმებო, ნუ დამიშლით (საუკუნო) ცხოვრებას, ნუ მოისურვებთ ჩემს სიკვდილს. მინდა ღვთისა ვიყო, ნუ მისცემთ ჩემს თავს ნუთისოფელს, ნურც

1. μαθητεύομαι, სიტყვასიტყვით, 'მონაფე ვხდები'.

2. შდრ. ნმ. პოლიკარპე სმირნელის მარტილობა, 3.1.

3. იხ. ასევე, ნმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 1.2, 3.1; ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 4.2. ამ თავს მთლიანად იმონმებს ნეტარი იერონიმე თხზულებაში გამოჩენილ ადამიანთა შესახებ, 16.

4. ლაითფუტის გამოცემაში ამ მონაკვეთში მოცემულია τὰ πέρματα ('კიდები'), PG-სა (სვ. 692) და კრიტიკულ გამოცემაში (Ignace d'Antioche, 1969, გვ. 114) კი τὰ τεριὰ ('სიამენი'), რომელიც კონტექსტს უფრო მეტად შეესაბამება და ჩვენც ამგვარად ვთარგმნით. აღსანიშნავია, რომ ნმ. გიორგი მთაწმინდელის ქართულ თარგმანშიც „კიდენი“ არის მოცემული (გვ. 622).

5. იგულისხმება, ახალ, ზეციურ ცხოვრებაში, იესო ქრისტეში დაბადება.

ნივთებით მომხიზლავთ.¹ მიმიშვით წმინდა ნათლის მისაღებად, იქ მისული, ადამიანი გავხდები (შდრ. ეფეს. 4.24). 3. ნება მომეცით, ჩემი ღვთის ვნებათა მიმბაძველი გავხდე. ვისაც იგი საკუთარ თავში ჰყავს, მიხვდეს, რაც მინდა და თანამიგრძნოს მე, რადგან მას ეცოდინება, რითი ვარ შეპყრობილი (შდრ. ფილიპ. 1.23).

თავი VII სიკვდილის სურვილის მიზეზი

1. ამ სანუთროს მთავარს² სურს, წარმიტაცოს და განხრწნას ჩემი სურვილი ღვთის მიმართ. ნურავინ დაეხმარება მას. უმჯობესია, იყოთ ჩემნი ანუ ღვთისანი.³ ნუ იქნება ისე, რომ წარმოთქვათ „იესო ქრისტე“, გულისთქმა კი წუთისოფლისა გქონდეთ. ნუ დაისადგურებს შური თქვენში. 2. და თუ მე, თქვენთან მყოფი, შეგევედრებით ამას, ნუ დამიჯერებთ, ერწმუნეთ უფრო მეტად იმას, რასაც გწერთ. გწერთ კი თქვენ ცოცხალი, სიკვდილის მსურველი. ჩემი სატროფო⁴ ჯვარს აცვეს, და აღარ არის ჩემში ნივთმოყვარე ცეცხლი, არამედ წყალი ცხოველი (შდრ.

1. PG-ს გამომცემლები მიუთითებენ, რომ „ნურც ნივთებით მომხიზლავთ“ დაცულია ლათინურ თარგმანში, მაგრამ არ არის მოცემული ბერძნულ ტექსტში. მათივე მითითებით, ეს მონაკვეთი დასტურდება ტიმოთე ალექსანდრიელის დამონშებაში (PG 5, სვ. 691-693, შენ. 73).

2. ὁ ἀρχαὺς τοῦ αἵματος. იგულისხმება სატანა.

3. იგულისხმება ეგნატი ანტიოქიელის ანუ ღვთის მხარეს დადგომა.

4. წმ. ეგნატი ანტიოქიელის ამ მონაკვეთს იმონშებენ ორიგენე და წმ. დიონისე არეოპაგელი. ორიგენე წერს: „ბოლოს კი, მაგონდება, რომ წმინდათაგან ერთ-ერთმა დაასახელა ეგნატი, რომელმაც თქვა ქრისტეს შესახებ: ჩემი სატროფო ჯვარცმულ იქნა“ (*“Denique memini aliquem sanctorum dixisse Egnatium nomine de Christo: Meus autem amor crucifixus est”*, განმარტებული ქებათა ქებაზე, 3, PG 13, სვ. 70D). დიონისე არეოპაგელის ძველ ქართულ თარგმანში ეს სიტყვები ამგვარად არის დამონშებული: „ვინაჲცა სთნდა ვიეთმე ჩუენთა სამღდელო მეტყუელთაგანთა უსაღმრთოესცა ყოფად ტრფიალებისა სახელი უფროს სიყუარულისასა. და სწერს საკრველი ეგნატიცა: ტრფიალი ჩემი ჯუარ-ცუმულ არს“ (ὁ ἔμπεδ ξῆρας ἐστὰς πρῶται), იხ. საღმრთო სახელთათვის, 4.12, გამოცემაში: სამსონ ენუქაშვილი. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961, გვ. 40; მისი ბერძნული ტექსტისათვის იხ. PG 3, სვ. 709AB.

იოანე, 4.10, 7.38-39; გამოცხ. 21.6, 22.17) და ის მეტყველებს ჩემში და შინაგანად მეუბნება: „მოდი მამასთან!“ (შდრ. იოანე, 14.12) 3. აღარ მსიამოვნებს ხრწნადი საკვები, არც ამ ცხოვრების სიამენი. ღვთის პური⁵ მინდა, რომელიც ქრისტეს ხორცია დავითის მოდგმიდან (იოანე, 7.42; რომ. 1.3), და სასამელი მინდა – მისი სისხლი, რომელიც უხრწნელი სიყვარულია.⁶

თავი VIII

სიკვდილის სურვილის მიზეზი

1. აღარ მინდა, ვიცხოვრო ადამიანთა მსგავსად. ეს კი ასე იქნება, თუ თქვენ მოისურვებთ. ისურვეთ, რომ თქვენც გისურვონ. 2. ამ მცირე ბარათით შეგთხოვთ: დამიჯერეთ. მე რომ ჭეშმარიტებას გეუბნებით, ამას განგიცხადებთ იესო ქრისტე, უტყუველი ბაგე⁷ (შდრ. ტიტ. 1.2), რომლითაც ჭეშმარიტად იმეტყველა მამამ. 3. ევედრეთ ჩემთვის, რათა მივემთხვიო მას.⁸ არა ხორცის მიზეზით მოგწერეთ თქვენ, არამედ ღვთის ნების თანახმად.⁹ თუკი ვეწეები, მაშასადამე, თქვენ (კეთილი) ნება გამოიჩინეთ, ხოლო თუ უარმყვეს,¹⁰ მაშასადამე, მომიძაგეთ.

თავი IX

თხოვნა სირიის ეკლესიისთვის ლოცვის თაობაზე

1. მოიხსენიეთ თქვენს ლოცვაში სირიის ეკლესია, რომელსაც ჩემს ნაცვლად ღმერთი ჰყავს მწყემსად (შდრ. 1პეტრე,

5. ἄρτος.

6. საუბარია ზიარების საიდუმლოს შესახებ. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 8.1.

7. τὸ ἀψευδὲς στόμα.

8. ლათინურული გამოცემაში აქ დამატებით მოცემულია „[ἐν] πῖσιματι ἀγία.“ ‘სულიწმინდის მეშვეობით’ (გვ. 122), რომელიც არ დასტურდება PG-სა (სვ. 696A) და ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 116), და არც წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანში (გვ. 623). იხ. ასევე შენიშვნები, რომელიც ერთვის წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლეს ტრალისელთა მიმართ*, 12.2.

9. κατὰ γράμμιον θεῶν.

10. ანუ, თუ უარი თქვეს ჩემს წამებაზე.

2.25). მხოლოდ იესო ქრისტე ეპისკოპოსობს მას და თქვენი სიყვარული. 2. მე კი მრცხვენია, საკუთარ თავს ერთ-ერთი მათგანი ვუწოდო. უღირსი ვარ ამის, როგორც უნარჩევესი მათ შორის და ნაადრევად მკვდრადშობილი (შდრ. 1კორ. 15.8-9). მაგრამ ღვთის წყალობით გავხდები ვინმე,¹ თუკი ღმერთს მივემთხვევი. 3. მოგიკითხავთ ჩემი სული და სიყვარული ეკლესიებისა, რომლებმაც მე შემინყნარეს იესო ქრისტეს სახელით (შდრ. მათე, 10.40-41) და არა როგორც მოგზაური. ის ეკლესიები კი, რომლებიც არ მდებარეობდნენ ჩემს ხორციელ გზაზე,² ქალაქ-ქალაქ მიმიძლოდნენ წინ.

თავი X დასკვნა

1. გწერთ ამას სმირნიდან ღირსსანატრელ ეფესელთა მემუვობით. სხვა მრავალ ადამიანთან ერთად ჩემთან იმყოფება კროკოსი,³ ჩემთვის სასურველი სახელი. 2. მათ შესახებ კი, ვინც სირიიდან რომისაკენ ღვთის სადიდებლად ჩემამდე გამოემგზავრა, დარწმუნებული ვარ, თქვენ უკვე იცით. გაუმხილეთ მათ, რომ უკვე ახლოს ვიმყოფები. ღვთისა და თქვენი ღირსნი არიან ყველანი. მათი მასპინძლობა გამართებთ ყოვლითურთ. 3. მოგწერეთ ეს 9 დღით ადრე სექტემბრის კალენდებამდე.⁴ იყავით მტკიცენი ბოლომდე იესო ქრისტეს მოთმინებით მოლოდინში.

1. საუბარია ახალი ადამიანის შესახებ. იხ. აქვე, 6.2.

2. ანუ ხორციელად გასავლელ გზაზე, განსხვავებით სულიერად, მაცხოვრისაკენ გასავლელი გზისაგან.

3. კროკოსი ნახსენებია *ეპისტოლეში ეფესელთა მიმართ* (2.1) და იგულისხმება *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ* (15.1).

4. ანუ 24 აგვისტოს. ეგნატი ანტიოქიელის სხვა ეპისტოლეებში თარიღები არ არის მითითებული.



ΙΧΘΥC

ეპისტოლე ფილადელფიელთა მიძარბთ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, მამა ღმერთისა და იესო ქრისტეს აზიის ფილადელფიის ეკლესიას, წყალობამიმადლებულსა და ღვთისმიერ თანხმობაში განმტკიცებულს, და განუყოფლად გახარებულს ჩვენი უფლის ვნებასა და მის აღდგომაში, ყოვლითურთ წყალობით სავსეს, მივესალმები იესო ქრისტეს სისხლში, ეკლესიას, რომელიც საუკუნო და დაუსრულებელი სიხარულია (მორწმუნეთათვის), მით უფრო, თუ ისინი იმყოფებიან ერთობაში ეპისკოპოსთან და მასთან ერთად მყოფ მღვდლებთან და დიაკვნებთან, რომელნიც იესო ქრისტეს განზრახვით არიან დადგენილნი და რომელნიც მან თავისი ნებით, სულიწმინდის მეშვეობით უწყევად დააფუძნა.

თავი I

ფილადელფიელთა ეპისკოპოსის ხოტბა

1. ამ ეპისკოპოსმა, როგორც შევიტყვე, არა საკუთარი, არც კაცთა სურვილით იპყრა მსახურება, რომელიც სამწყსოს (სამსახურს) ეხება, არც პატივმოყვარეობით, არამედ მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტეს სიყვარულით (შდრ. გალ. 1.1). მე გაოცებული ვარ მისი სახიერებით, რადგან მას, მდუმარეს, უფრო მეტი ხელწინფება, ვიდრე მრავლისმეტყველთ. 2. იგი იმდენადვე კეთილად არის შეწყობილი მცნებებთან, როგორც სიმები კითარასთან. ამიტომაც ჩემი სული ნეტარებას უთვლის

მის ღვთისმიმართ გონებას, რადგან ღვთისსათნოდ და სრულყოფილად მიიჩნევს მას,¹ მის ურყევობასა და მის ურისხველობას² ცხოველი ღმერთის ყოველგვარ სახიერებაში.

თავი II

ეპისკოპოსთან კავშირის დაცვა

1. ამდენად, ჭეშმარიტების ნათლის შვილებო, გაექცით განყოფას და ბოროტმოძღვრებებს, არამედ სადაც მწყემსია, იქით გაემართეთ, როგორც ცხვრები, 2. რადგან მრავალი ღირსსარწმუნო მგელი ბოროტი სიამოვნებით ატყვევებს ღვთის გზაზე მავალთ,³ მაგრამ თქვენს ერთობაში ისინი ადგილს ვერ დაიმკვიდრებენ.

თავი III

მოერიდეთ ეკლესიის ერთობის ორად განმანჯალებლებს

1. განემორეთ ბოროტ მცენარეებს, რომლებიც არ არიან გაშენებულნი იესო ქრისტეს მიერ, რადგან ისინი არ არიან დანერგილნი მამის მიერ⁴ (მათე, 15.13; იოანე, 15.1; 1კორ. 3.9). 2. ის კი არა, რომ თქვენთან განყოფა ვპოვე, არამედ ვპოვე განწმენდა. ვინაიდან ისინი, ვინც ღვთისანი და იესო ქრისტესნი არიან, ასეთები ეპისკოპოსთან იმყოფებიან. ისინი, ვინც მონანული მივა ეკლესიის ერთობაში, ასეთებიც ღვთისანი იქნებიან, რათა იცხოვრონ იესო ქრისტეს თანახმად. 3. ნუ შეცდებით, ჩემო ძმებო! თუკი განმანჯალებელს გაჰყვებით, ვერ დაიმკვიდრებთ ღვთის სასუფეველს (1კორ. 6.9-10). ის, ვინც სხვა მოძღვრებით⁵ დადის, ასეთი ადამიანი (მაცხოვრის) ვნებას არ უერთდება.

1. ანუ ამ ეპისკოპოსის გონებას.

2. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 19.3.

3. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 3.2; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 2.1.

4. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 10.3; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 6.1.

5. γῠσάμῃ, სიტყვასიტყვით: შეხედულებით.

თავი IV

ერთი ზიარებისაკენ მოწოდება

1. ამგვარად, იზრუნეთ, ალასრულოთ ერთი ზიარება,¹ რადგან ერთია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხორცი, და ერთია ბარძიმი მისი სისხლის ერთობაში, ერთი საკურთხეველი, ისევე, როგორც ერთი ეპისკოპოსი, სამღვდელოებასთან და დიაკვნებთან, ჩემს თანამსახურებთან ერთად; ამიტომ, რასაც იქმთ, იქმოდეთ თანახმად ღვთისა.

თავი V

სახარებათა, მოციქულთა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთათვის პატივის მიგება

1. ჩემო ძმებო, თქვენი სიყვარულით პირთამდე ვარ აღვსებული და მეტად გახარებულს თქვენი განმტკიცება მწადია, არა მე, არამედ იესო ქრისტეს, რომლისთვისაც ბორკილდადებული, როგორც ჯერ კიდევ განუსრულებელი, დიდად ვარ შეპყრობილი შიშით. მაგრამ თქვენი ლოცვა ღვთის მიმართ სრულმყოფს მე, რომ მივემთხვიო ღვთის წყალობით ხვედრებულ წილს, თავი შევაფარო სახარებას, როგორც იესოს სხეულს, და მოციქულებს, როგორც ეკლესიის სამღვდელოებას. 2. გვიყვარდეს წინასწარმეტყველებიც, რადგან მათ მოასწავეს² სახარების შესახებ, სასოებდნენ მაცხოვარს და მას მოელოდნენ, მისი რწმენითვე გადარჩნენ იესო ქრისტეს ერთობაში მყოფნი, ღირსსაყვარელი და ღირსსაკვირველი წმინდანნი, იესო ქრისტეს მიერ კეთილად მოხსენებულნი და თანააღრიცხულნი სახარებაში საყოველთაო სასოებისა.³

თავი VI

იუდეველობის მიღების წინააღმდეგ

1. თუკი ვინმე გიქადაგებთ იუდეველობას, ნუ მოუსმენთ

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 13.1; *ეპისტოლე სმირნელთა მიმართ*, 7.1, 8.1.

2. κατ'ἑκείναι.

3. იხ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 2.1.

მას. უმჯობესია წინადაცვეთილი ადამიანისგან ქრისტიანობის მოსმენა, ვიდრე წინადაუცვეთელისგან იუდეველობის. თუკი ორივენი არაფერს ამბობენ იესო ქრისტეს შესახებ,¹ ისინი ჩემთვის არიან სვეტები და სამარხები მკვდრებისა, რომლებზეც მხოლოდ დაწერილია ადამიანთა სახელები (მათე, 23.27). 2. ამგვარად, გაექეცი ამ წუთისოფლის მთავრის ავხელოვნებებსა² და ხრიკებს, რომ მისი ჩანაფიქრით დათრგუნულნი არ დაუძღვრდეთ სიყვარულის მიმართ. არამედ ერთნი გახდით ყველანი განუყოფელი გულით. 3. ვმადლობ ჩემს ღმერთს, რადგან კეთილსინდისიერი ვარ თქვენს მიმართ, და არავის ძალუძს დაიტრაბახოს არც მალულად, არც ცხადად, რომ დავამძიმე ვინმე მცირედით ან დიდად (შდრ. 1თეს. 2.7; 2კორ. 11.9, 12.13-14). ვლოცულობ კი, რომ არავის გაუხდეს, ვისაც ვესაუბრე, ეს მტკიცებულებად მათ წინააღმდეგ.

თავი VII

ერთობისაკენ მოწოდება სულიწმინდის ნებით

1. თუმცა კი სურდათ ზოგიერთებს, მეც შევეცდინე ხორციელად, მაგრამ არ ცდება სული, რომელიც ღვთისაგან არის. რადგან მან იცის, საიდან მოდის და საით მიდის (იოანე, 3.8), და ამხელს დაფარულს. თქვენ შორის მყოფმა დავიძახე მაღალი ხმით, ღვთის ხმით ვამბობდი: „ეპისკოპოსს შეუერთდით, სამღვდელოებასა და დიაკვნებს!“ 2. ზოგიერთებმა იფიქრეს, რომ ეს ყველაფერი ვთქვი, რადგან წინასწარ განვჭვრიტე მავანთ განყოფა. მაგრამ მოწმედ მყავს იგი, ვის გამოც ვარ შებოროტი, რომ არაფერი ვიცოდი ჩემი კაცობრივი ხორციით, არამედ ეს მიქადაგა სულიწმინდამ, რომელიც ამას მეტყოდა: „ეპისკოპოსის გარეშე არაფერი გააკეთოთ; დაიცავით თქვენი ხორცი, როგორც ღვთის ტაძარი (შდრ. 1კორ. 3.16, 6.19); გიყვარდეთ ერთობა, გაექეცი განყოფებს;³ გახდით იესო ქრისტეს მიმბაძველნი (შდრ. 1კორ. 11.1), როგორც იგი თავისი მამისა.“

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 9.1.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 5.1.

3. τὸν μερισμὸν.

თავი VIII ერთობისაკენ მონობება

1. ამგვარად, მე ვაკეთებდი საკუთარ საქმეს, როგორც ერთობის დამყარებისათვის შექმნილი ადამიანი. სადაც განყოფაა და მრისხანება, იქ ღმერთი არ მკვიდრობს. უფალი მიუტევებს ყველას, ვინც ინანიებს, თუკი შეინანებენ და დაბრუნდებიან ღმერთთან კავშირში და ეპისკოპოსის შესაკრებელში. მნამს მადლი იესო ქრისტესი, რომელმაც ყველა ბორკილი მოგხსნათ.

2. გვედრებით, არაფერი მოიმოქმედოთ შუღლით (ფილიპ. 2.3), არამედ ქრისტეს მოძღვრების მიხედვით. ვინაიდან გამიგონია, ზოგიერთები როგორ ამბობენ, რომ „თუ ძველ ნაწერებში¹ არ ვიპოვი, სახარებას არ ვერწმუნები“, ხოლო როდესაც მე ვეუბნებოდი, რომ „წერია“, მპასუხობდნენ, რომ „ეს დასამტკიცებელია“.² მაგრამ ჩემთვის სიძველე არის იესო ქრისტე, მისი ჯვრის ხელშეუხებელი სიძველე, სიკვდილი და აღდგომა მისი და მისმიერი რწმენა. ამათში მინდა, თქვენი ლოცვა-კურთხევით, რომ განვმართლდე.

თავი IX სახარება და წინასწარმეტყველები

1. კარგნი არიან მღვდელნი, მაგრამ უკეთესია მღვდელმთავარი,³ რომელსაც მინდობილი აქვს წმინდათა წმინდა და რომელსაც ერთადერთს აქვს მინდობილი ღვთის საიდუმლონი. იგი არის კარიბჭე მამისა⁴ (შდრ. იოანე, 10.7,9), რომლითაც შედიან აბრაამი, ისაკი, იაკობი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ეკლესია. ეს ყველაფერი⁵ ღმერთთან ერთობისთვისაა. 2.

1. საუბარია ძველი აღთქმის წიგნების შესახებ.

2. აქ გარკვევით არის მითითებული იუდეველთა, გნოსტიკოსთა ან მწვალებელ ქრისტიანთა მიერ ძველი და ახალი აღთქმის ერთმანეთთან დაპირისპირებისა და წინასწარმეტყველთა წიგნებში მაცხოვრის მოსვლის წინამოსწავების უარყოფის შესახებ.

3. ὁ ἀρχιερεύς.

4. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 48.4; ჰერმასის მწყემსი, 3.9.12.1-6.

5. იგულისხმება ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და მათში დაცული ცნობები მაცხოვრის შესახებ.

მაგრამ სახარებას ზეადმატებული რამ გააჩნია: ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მაცხოვრის მოსვლა, მისი ვნება და აღდგომა. ვინაიდან საყვარელმა წინასწარმეტყველებმა (მხოლოდ) წინამოასწავეს მის შესახებ, სახარება კი წარმოადგენს განსრულებას უხრწნელებისა. ეს ყველაფერი¹ ერთნაირად მშვენიერია, თუკი სიყვარულით გწამთ.

თავი X

ანტიოქიის ეკლესიაში დიაკვნის გაგზავნის თხოვნა

1. ვინაიდან, როგორც შევითყვე, თქვენი ლოცვა-კურთხევით და თანაგრძნობით, რომელიც გაქვთ იესო ქრისტეში, მშვიდობა ჰპოვა სირიის ანტიოქიის ეკლესიამ, გმართებთ თქვენ, როგორც ღვთის ეკლესიას, აირჩიოთ² დიაკონი იქ საღმრთო დესპანობის აღსრულებისათვის, რათა გაიხაროს მათთან ერთად საერთო შეკრებაზე და ადიდოს სახელი (ღვთისა). 2. ნეტარია იესო ქრისტეს მიერ იგი, ვინც ღირსი გახდება ასეთი მსახურებისა და თქვენც ამისთვის დიდებით შეიმოსებით. თუკი გაქვთ ამის სურვილი, ეს არ არის შეუძლებელი ღვთის სახელისთვის, რადგან ეს უკვე გააკეთეს უახლოესმა ეკლესიებმა, რომელთაგანაც ზოგმა ეპისკოპოსები გაგზავნა, ზოგმა კი მღვდელნი და დიაკონნი.

თავი XI

მადლიერება

1. რაც შეეხება ფილონს, დიაკონს კილიკიიდან, კეთილმოხსენებულ³ ადამიანს, ახლაც რომ ღვთის სიტყვაში მემსახურება მე, რაიოს აგათოპოსთან, წარჩინებულ ადამიანთან ერთად, რომელმაც იმისათვის, რომ სირიიდან გამომყოლოდა, უარი

1. იხ. წინა სქოლიო.

2. χριστοῦ ἰσμία, სიტყვასიტყვით, 'ხელდასხმა', თუმცა ამ სიტყვას აქ ეს მნიშვნელობა არ გააჩნია.

3. μακαριστοῦ, სიტყვასიტყვით: დამონმებულს. შდრ. წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი: „ხოლო ფილონ დიაკონისათვის, კაცისა კეთილისა, ყოველთა მიერ წამებულისა“ (გვ. 580).

თქვა (თავის ჩვეულ) ცხოვრებაზე, ისინი წამებენ თქვენთვის, და მეც თქვენ გამო მადლობას ვუძღვნი ღმერთს, რომ მიიღეთ ისინი, როგორც თქვენ – უფალმა. ხოლო ვინც მათ უპატიოდ მოექცა, დაე, მიეტევოთ მათ იესო ქრისტეს მადლით. 2. მოგიკითხავთ სიყვარული ტროაში მყოფი ძმებისა, საიდანაც გნერთ ბუროსის მეშვეობით, რომელიც პატივისცემის ნიშნად ჩემთან ერთად გამოგზავნეს ეფესელებმა და სმირნელებმა. პატივი მიაგოს მათ უფალმა იესო ქრისტემ, რომლის მიმართაც აქვთ სასოება, ხორციით, სამშვიინველით, სულით, რწმენით, სიყვარულით და ერთსულოვნებით. განმტკიცდით იესო ქრისტეში, ჩვენს საზოგადო სასოებაში!



ეპისტოლე სმიზნელთა მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, აზიის სმირნაში არსებულ, მამა ღმერთისა და მისი საყვარელი (ძის), იესო ქრისტეს ეკლესიას, რომელსაც ეწეალობა ყოველგვარი მადლი და აღვსებულია რწმენითა და სიყვარულით,¹ ეკლესიას, უნაკლულოს ყოველგვარი მადლისაგან, ღმრთივმშვენიერსა და სინმინდისმტვირთველს,² გისურვებთ სიხარულის განმრავლებას უბინო სულში და ღვთის სიტყვაში.

თავი I

მადლობა ღმერთს თქვენი რწმენისათვის. მცირე მრწამსი

1. ვადიდებ იესო ქრისტეს, ღმერთს, რომელმაც ასე განგაბრძნოთ თქვენ. შევიტყვე, რომ სრულ-იქმენით შეურყეველ რწმენაში, თითქოსდა მიმსჭვალულნი ხორციელად და სულიერად უფალი იესო ქრისტეს ჯვარს, განმყარებულნი სიყვარულში ქრისტეს სისხლით და სრულიად აღვსილნი რწმენით ჩვენს უფლის მიმართ, რომელიც ჭეშმარიტად არის დავითის მოდგმიდან ხორციელად (შდრ. რომ. 1.3), ძე ღვთისა საღმრთო³ ნე-

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 14.1.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 9.2.

3. სიტყვასიტყვით: 'ღვთის', შდრ. ἰσὸς θεοῦ κατὰ θέλημα καὶ δῆσμαιν θεῖν. ლაითფუტის გამოცემაში θεῖν ('ღვთის') არ გვხვდება (იხ. გვ. 127). შდრ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 132, სადაც ამ სტრიქონთან განსხვავებული იკითხვისები არ არის მითითებული; PG 5, სვ. 708B.

ბითა¹ და ძალით (შდრ. იოანე, 1.13; ლუკა, 1.35), შობილი² ჭეშმარიტად ქალწულისაგან, ნათელღებული იოანეს მიერ, რათა აღსრულებულიყო ყოველი სიმართლე (მათე, 3.15) მის მიერ, 2. ვინც პონტიუს პილატეს და ჰეროდე ტეტრარხოსის დროს ჭეშმარიტად იქნა მიმსჯეალული ჩვენ გამო ხორციელად, – ამ ნაყოფის მეოხებით, მისი ღმრთივსანატრელი ვნების მეოხებით ვარსებობთ ჩვენც, – რათა საუკუნოდ აღმართულიყო ნიშანი (ესაია, 5.26, 49.22) მისი აღდგომის წყალობით, მის წმინდანთა და ერთგულთათვის, იუდეველთა თუ წარმართთა შორის, ერთ სხეულში მისი ეკლესიისა.

თავი II

ქრისტეს ჭეშმარიტი ვნება

1. ეს ყველაფერი მან ივნო ჩვენ გამო, რათა ვცხოვნიდეთ, და ჭეშმარიტად ევნო, ისევე, როგორც ჭეშმარიტად აღდგა,³ და არა ისე, როგორც ზოგიერთი ურწმუნო ამბობს, რომ იგი მოჩვენებითად ევნო.⁴ თავად არიან მოჩვენებითნი!⁵ და როგორც ფიქრობენ, ასეც შეემთხვევა მათ: ისინი უსხეულონი და დემონთა მსგავსნი გახდებიან.⁶

1. ნეტარ თეოდორიტე კვირელთან, რომელიც ტექსტების დამოწმებისას მეტად სკრუპულოზურია, ამ ეპისტოლეს 1.1-2 მონაკვეთის ციტირებისას, „ნების“ (ἠέλψα, იხ. Lightfoot, გვ. 127; *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 132) ნაცვლად გვხვდება ღვთაებრიობა (θεότηα): $\sigma\iota\upsilon\sigma \theta\epsilon\omicron\upsilon\varsigma \kappa\alpha\tau\grave{\alpha} \theta\epsilon\omicron\tau\eta\tau\alpha \kappa\alpha\iota \delta\iota\sigma\upsilon\alpha\mu\iota\sigma \theta\epsilon\omicron\upsilon\varsigma$ (“ძე ღვთისა ღვთაებრიობით და ღვთის ძალით”) (ნეტარი თეოდორიტე კვირელი, *ერანისტი*, PG 83, სვ. 81B და შენ. 64).

2. $\gamma\epsilon\gamma\epsilon\iota\upsilon\eta\mu\acute{\epsilon}\iota\sigma\varsigma$.

3. $\delta\iota\sigma\tau\eta\sigma\epsilon\upsilon\sigma \acute{\epsilon}\alpha\sigma\tau\acute{\alpha}\upsilon\varsigma$. შდრ. ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ, 9.2.

4. წმ. ეგნატი ანტიოქიელი აქ მიუთითებს დოკეტიზმის წვალების შესახებ, რომლის მიმდევრებსაც არ სწამდათ მაცხოვრის ვნებისა და ხორციელი აღდგომისა.

5. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 10.1.

6. $\kappa\alpha\iota \sigma\upsilon\mu\phi\acute{\iota}\rho\epsilon\tau\alpha\iota \alpha\upsilon\tau\omicron\iota\varsigma, \omicron\iota\sigma\tau\upsilon\sigma \delta\iota\sigma\alpha\mu\acute{\alpha}\tau\omicron\iota\varsigma \kappa\alpha\iota \delta\alpha\mu\omicron\iota\upsilon\alpha\kappa\iota\delta\iota\varsigma$. შდრ. აქვე, 3.2. შდრ. ასევე, წმ. ირინეოსი, *მწვალეულობათა წინააღმდეგ*, 4.33.5; ტერტულიანე, *ქრისტეს სხეულის შესახებ*, 1 (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 134, შენ. 2).

თავი III

ქრისტე ხორცშემოსილი იყო აღდგომის შემდეგაც

1. მე ვიცი, რომ იგი¹ აღდგომის შემდეგაც ხორციტ იყო (მოსილი) და მწამს, რომ ახლაც არის.² 2. და როდესაც მივიდა მათთან, ვინც პეტრესთან ერთად იმყოფებოდა, უთხრა მათ: „აიღეთ და შემეხეთ მე, და იხილეთ, რომ არ ვარ უსხეულო სული“ (შდრ. ლუკა, 24.39). და მყისვე შეეხნენ მას და დაიჯერეს, რადგან დარწმუნდნენ მისი სხეულითა და სისხლით.³ ამიტომაც მათ მოიძაგეს სიკვდილი და სიკვდილს აღემატნენ. 3. აღდგომის შემდეგ იგი ჭამდა და სვამდა მათთან ერთად, როგორც ხორციელი (შდრ. ლუკა, 24.41-43), თუმცა სულიერად ის მამასთან იყო შეერთებული.

თავი IV

უფროხილდით მწვალებლებს

1. ამას გაფრთხილებთ თქვენ, საყვარელო, რადგან ვიცი, რომ თქვენც ასე ფიქრობთ, მაგრამ განგაკრძალებთ თქვენ ადამიანისსახოვანი მხეცებისაგან, რომელთა არა მხოლოდ მიღება არ გმართებთ, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, არც მათთან

1. საუბარია მაცხოვრის შესახებ.

2. Ἐγὼ γὰρ καὶ μετὰ τῆς ἀνάστασις ἐν σαρκὶ αὐτῶν οἶδα καὶ πιστεῖν ὅτι. ეს მონაკვეთი, იმის გამო, რომ ὁἶδα შეიძლება ითარგმნოს, როგორც 'ვიხილე' და როგორც 'ვიცი', ნეტარ იერონიმეს დამონებული აქვს შემდგენაირად: „მე ვიხილე იგი, ხორციტ (მოსილი), აღდგომის შემდეგ და მწამს, რომ ახლაც არის“ (*Ego vero et post resurrectionem in carne eum vidi, et credo quia sit*“, გამოჩენილ ადამიანთა შესახებ, 16, PL 23, სვ. 666B). თუმცა აქვეა მისათითებელი, რომ წმ. იოანე ოქროპირის თანახმად, ეგნატი ანტიოქიელს მაცხოვარი არ უნახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ იერონიმე ამ მონაკვეთს იმონებებს ვესვეი კესარიელის თხზულებიდან და მასთან ერთად, შეცდომით, *სმირნელთა მიმართ* დაწერილი წერილის ნაცვლად ამ დამონებებს წმ. პოლიკარპუსადმი მიმართული წერილის ნაწყვეტად მიიჩნევს. მაცხოვარის ხორციელი აღდგომის მისათითებლად ამავე მონაკვეთს, 3.1-2-ის ციტირებისას, იმონებებს ნეტარი თეოდორიტე კვირელიც (*ერანისტი*, PG 83, სვ. 169B).

3. ფლორენციის ხელნაწერსა და ლათინურ ნუსხებში ამ ადგილას მოცემულია ΠΑΥΣΜΑΤΙ ('სულით', იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 134), ხოლო ΑΪΜΑΤΙ ('სისხლით'), რომელიც ლათინურის გამოცემაში გვხვდება (გვ. 128), დასტურდება მხოლოდ სომხურ თარგმანში (იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 134).

შეხვედრა¹ (2იოანე, 1.10). მხოლოდ ილოცეთ მათთვის, იქნებ როგორმე შეინანონ, თუმცა კი ეს ძნელი იქნება. მაგრამ იესო ქრისტეს, ჩვენს ჭეშმარიტ სიცოცხლეს ხელენიფება ეს. 2. ხოლო თუ ეს ყოველივე ჩვენმა უფალმა მოჩვენებითად მოიმოქმედა, მეც მოჩვენებითად ვარ შებოროკილი! მაშ რისთვის მივეცი საკუთარი თავი სიკვდილს, ცეცხლს, მახვილსა და მხეცებს? რადგან ვინც ახლოს არის მახვილთან, ღმერთთან არის ახლოს, ხოლო ვინც მხეცებთან არის, ღმერთთან არის.² მხოლოდ იესო ქრისტეს სახელით, მასთან ერთად სავნებულად ვითმენ ყველაფერს (რომ. 8.17), და იგი, რომელიც სრულყოფილი ადამიანი გახდა,³ მაძლევს მე ძალას.

თავი V

მწვალებელთა შეცდომების საფრთხე

1. ზოგიერთები, უმეცარნი, უარჰყოფენ მას,⁴ უკეთ რომ ვთქვათ, მის მიერ არიან უარყოფილნი, რადგან ასეთები სიკვდილს უფრო იცავენ, ვიდრე ჭეშმარიტებას. ისინი ამ დრომდე ვერ დაარწმუნეს წინასწარმეტყველებებმა, ვერც მოსეს კანონმა, 2. ვერც სახარებამ, ვერც ჩვენმა, თითოეული ჩვენგანის ვნებებმა, და ჩვენ შესახებაც ამასვე ფიქრობენ.⁵ მაშ რას მარგებს მე, თუ ვილაც მაქებს, ჩემს უფალს კი გმობს – არ აღიარებს მას ხორცშესხმულად?⁶ რადგან ვინც არ ამბობს ამას,⁷ სრულიად უარჰყოფს მას და სიკვდილშემოსილია. 3. მათი, რო-

1. შდრ. ქვემოთ, 7.2. იხ. ასევე, დიდაქე, 11.1-2.

2. ეს სიტყვები უახლოვდება გამონათქვამს, რომელსაც მაცხოვარს მიაკუთვნებენ: „ვინც ახლოს არის ჩემთან, ცეცხლთან არის ახლოს“ (“qui juxta me est, juxta ignem est“, ორიგენე, *იერემიას შესახებ*, 20.3, PG 13, სვ. 532A; ὁ ἔγγυς μου, ἔγγυς τοῦ πυρός, დიდიმოს ალექსანდრიელი, *განმარტებანი ფსალმუნებზე*, 88.8, PG 39, სვ. 1488D). იხ. ასევე, *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 134-135, შენ. 3.

3. τοῦ τελείου ἀθρᾶπου γεινομένου.

4. ნეტარი თეოდორიტი კვირელი იმონმებს ამ წერილის 4.2-5.1 მონაკვეთს: τοῦ τελείου ἀθρᾶπου, οὐ τινας ἀγιοσύνας ἀρῶσινται (*ერანისტი*, PG 83, 81BC).

5. ანუ ფიქრობენ ჩვენ შესახებ იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ მათ შესახებ.

6. σαρκόφιρος.

7. ანუ არ უწოდებს მაცხოვარს ხორცშესხმულს.

გორც ურწმუნოთა სახელები არ მივიჩნიე დასაწერად. ნურც იქნება ისე, რომ მოვიხსენიო ისინი, სანამ არ შეინანებენ და არ აღიარებენ ვნებას – ჩვენს აღდგომას.

თავი VI

ვისაც ქრისტეს სისხლის არ სწამს, განისჯება

1. ნურავინ შეცდება. განისჯებიან ზეციერნიცა და ანგელოზთა დიდებაც, ხილული და უხილავი მთავრობანიც: თუკი არ იწამებენ ქრისტეს სისხლს,¹ ისინიც სასამართლოს დაექვემდებარებიან.² „რომელიც დაიტევს, დაიტოს“ (მათე, 19.12, 13.43). ნურავინ იმედიდურებს წოდებით, ვინაიდან რწმენა და სიყვარული ყველაფერია და მათ არაფერი აღემატება. 2. დააკვირდით იმათ, ვინც განსხვავებული შეხედულებისაა იესო ქრისტეს მიერ ჩვენზე გარდამოსული მადლის შესახებ, რაოდენ წინააღმდეგნი არიან ღვთის ნებისა.³ ისინი არ ზრუნავენ სიყვარულზე, არც ქვრივზე, არც ობოლზე, არც დაჩაგრულზე, არც შებოროკილზე, არც (ბოროკილებიდან) გათავისუფლებულზე, არც მშვიერსა და არც მწყურვალზე.

თავი VII

განშორდით მწვალებლებს. ისინი არ ეზიარებიან

1. ისინი ზურგს აქცევენ ზიარებასა და ლოცვას, რადგან არ აღიარებენ, რომ ზიარება არის ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ხორცი, (ხორცი), რომელიც ევნო ჩვენი ცოდვებისათვის და

1. ტიმოთე აღექსანდრიელის ორ სირიულ ფრაგმენტში ამ მონაკვეთის დამონშებისას Χριστῶν-ს შემდეგ გვხვდება: ὁ ἕσται Θεὸς („რომელიც (სისხლი) არის ღმერთის“) და ὁ ἕσται Θεὸς („რომელიც (ქრისტე) არის ღმერთი“) (იხ. PG 5, სვ. 712, შენ. 79). როგორც ჩანს, ლაითფუტის გამოცემაში Χριστῶν-ს შემდეგ სიტყვა „ღმერთისა“ მოცემულია ტიმოთე აღექსანდრიელის იკითხვის გათვალისწინებით (εἰς τὸ ἀίμα Χριστῶν [Ἰησοῦ Θεοῦ], გვ. 129). არც PG-ს ძირითად ტექსტში და არც ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 136) ეს იკითხვისები არ არის წარმოდგენილი.

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 14.1.

3. Ἦν ἡσάμῃ.

რომელიც მამამ აღადგინა თავისი სიკეთით.¹ ისინი უარს ამბობენ ღვთის საბოძვარზე² და ილუბებიან კამათებისას. ჯეროვანი კი მათთვის იქნებოდა სიყვარული, რათა მათაც შესძლებოდათ აღდგომა. 2. ამიტომ მართებულია, განშორდეთ ასეთ ადამიანებს და არც ცალკე ისაუბროთ მათ შესახებ და არც ერთობლივად, არამედ გულისყურით მოუსმინოთ წინასწარმეტყველებს, განსაკუთრებით კი სახარებას, რომელშიც ჩვენთვის განცხადდა ვნება და აღსრულდა აღდგომა.³ გაექცით განყოფებს, როგორც ბოროტებათა დასაბამს.⁴

თავი VIII

არაფერი უნდა გაკეთდეს ეპისკოპოსის გარეშე

1. ყველანი მიჰყევით ეპისკოპოსს, როგორც იესო ქრისტე – მამას, და სამღვდელეობას – როგორც მოციქულებს. პატივი მიაცემეთ დიაკვნებს, როგორც ღვთის მცნებას. ეპისკოპოსის გარეშე ნურავინ გააკეთებს რასმე, რაც ეკლესიას შეეხება. უეჭველად მხოლოდ ის ზიარება უნდა ჩაითვალოს, რომელიც აღსრულებულია ეპისკოპოსის, ან იმ ადამიანის მიერ, ვისაც იგი მიანდობს ამას. 2. სადაც ეპისკოპოსი გამოჩნდება, იქ უნდა იყოს ხალხის კრებული, ისევე, როგორც სადაც იესო ქრისტეა, იქ არის კათოლიკე⁵ ეკლესია. არ არის ნებადართული ეპისკოპოსის გარეშე

1. მთელი მონაკვეთი, VII თავის დასაწყისიდან ამ სიტყვებამდე, ლათიფუტის გამოცემაში VI თავშია შეტანილი (გვ. 129), PG-სა (სვ. 713) და კრიტიკულ გამოცემაში კი (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 138) VII თავშია წარმოდგენილი.

2. ἡ δὲ δαρεῖ, იგულისხმება ზიარება.

3. საუბარია წინასწარმეტყველთა წიგნებში მაცხოვრის აღდგომის წინასწარმეტყველებათა შესახებ, რომელთა აღსრულებაც სახარებაშია გადმოცემული.

4. ლათიფუტის გამოცემაში ეს სტრიქონი VIII თავში არის წარმოდგენილი (გვ. 129), PG-სა (სვ. 713) და კრიტიკულ გამოცემაში კი (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 138) VII თავის ბოლოს.

5. ἡ καθολικὴ ἐκκλησία. ეს არის პირველი შემთხვევა, რომელშიც „კათოლიკე ეკლესია“ არის მოცემული. „კათოლიკე“ (καθολικός) ნიშნავს 'სრულად', 'საყოველთაოს', განსხვავებით ადგილობრივი, განკერძოებული ეკლესიებისაგან. „კათოლიკე ეკლესია“ რამდენჯერმე არის ნახსენები წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტილოგაშიც (პროლ., 8.1, 19.2). იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 210, შენ. 1.

არც ნათლობა, არც სიყვარულის სერობის¹ (იუდა, 1.12) აღსრულება, არამედ, რასაც იგი მოიწონებს, ის ღვთისთვისაც სათნოა, – რათა ყველაფერი, რასაც აკეთებთ, მტკიცე იყოს და უეჭველი.

თავი IX

პატივი მიაგეთ ეპისკოპოსს

1. გარდა ამისა, გონივრული იქნებოდა, გამოვფხიზლებულიყავით და სანამ დრო გვაქვს, მოგვენანიებინა ღვთის წინაშე. შესანიშნავია ღვთისა და ეპისკოპოსისათვის პატივის მიგება. ის, ვინც პატივს სცემს ეპისკოპოსს, ღვთის მიერ არის პატივცემული, ის, ვინც ეპისკოპოსისგან ფარულად სჩადის რასმე, ეშმაკს ემსახურება. 2. დაე, ყოველივე განგიმრავლდეთ მადლის მეოხებით, რადგან ღირსნი ხართ ამისა. თქვენ ყოვლითურთ შვება მომგვარეთ მე და დაე, თქვენც მოგანიჭოთ შვება იესო ქრისტემ. სიყვარულით მომეკიდეთ ახლოს მყოფსაც და განშორებულსაც. დაე, მოგაგოთ სანაცვლო ღმერთმა, რომელსაც მიაღწევთ, თუ ყველაფერს დაითმენთ მისთვის.

თავი X

მადლიერება სიკეთისათვის

1. კეთილად მოიქეცით, როდესაც ფილონი და რაიოს აგათოპუსი,² რომლებიც ღვთის სიტყვის გამო გამომყვინენ, მიიღეთ, როგორც ღვთის, ქრისტეს მსახურნი.³ თქვენ გამო მადლიერებას ისინიც აღუვლენენ უფალს, რადგან ყოვლითურთ განუსვენეთ. არაფერი დაგეკარგებათ თქვენ. 2. თქვენი ცხონების სანაცვლო იყოს სული ჩემი,⁴ და ჩემი ბორკილები, რომელთა მიმართ ქედმაღლობა არ გამოიჩინეთ, არც სირცხვილით მოეკიდეთ მათ. არც თქვენი შერცხვება სრულყოფილ რწმენას – იესო ქრისტეს.

1. ἀγάπη. შეიძლება იგულისხმებოდეს ე.წ. ალაპიც, სადღესასწაულო ტრაპეზის მნიშვნელობით.

2. იხ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 11.1.

3. διακόνους. შეიძლება ითარგმნოს, ასევე, როგორც დიაკვნები.

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 21.1.

თავი XI ანტიოქიაში დესპანის გაგზავნის თხოვნა

1. თქვენი ლოცვა-კურთხევა აღსრულდა სირიის ანტიოქიის ეკლესიაზეც,¹ საიდანაც წამოყვანილი, შებორკილი ღვთივმშვენიერი ბორკილებით, ყველას მოგიკითხავთ, თუმცა კი არა ვარ ღირსი, იქიდან ვიყო, რადგან უნარჩევს ვარ მათგან. ამის ღირსი შევიქმენი (უფლის) ნებისაებრ, არა ჩემი გონებით, არამედ ღვთის მადლით, რომელიც, შევთხოვ, სრულად მიბოძოს, რათა თქვენი ლოცვის მეოხებით ღმერთს მივემთხვიო. 2. იმისათვის, რომ თქვენი საქმე სრულ-იქმნეს დედამიწაზე და ზეცაში, ღვთისთვის პატივის მისაგებად თქვენს ეკლესიას ჰმართებს, აირჩიოს² ღვთის დესპანი, რათა სირიაში ჩასულმა, გაიზიაროს მათი სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ მშვიდობამ დაივანა მათთან,³ რომ დაიბრუნეს საკუთარი დიდებულება და აღიდგინეს საკუთარი სხეული. 3. მე ღირსეულ საქმედ მიჩვენება, თუკი რომელიმე თქვენგანს გაგზავნით წერილით, რათა მათთან ერთად ალავლინოს დიდება (ანტიოქიის ეკლესიაში) დავანებული ღვთისმიერი სიმშვიდისათვის და იმისათვის, რომ მან, თქვენი ლოცვა-კურთხევით, უკვე ნავსადგურს მიაღწია. რადგანაც სრულყოფილნი ხართ, სრულყოფილადაც იაზროვნეთ, ვინაიდან თუკი მოისურვებთ სიკეთის ქმნას, ღმერთი მზად არის, გაგინიოთ დახმარება.

თავი XII მოკითხვანი

1. მოგიკითხავთ სიყვარული ტროაში მყოფი თქვენი ძმებისა, საიდანაც გწერთ ბუროსის მეშვეობით, რომელიც თქვენ, თქვენი ეფესელი ძმებითურთ, ჩემთან ერთად გამოგზავნეთ, და

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 10.1.

2. სიტყვასიტყვით, 'ხელი დაასხას' (χειροτομήσαι). შდრ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 10.1.

3. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 10.1.

რომელმაც ყოვლითურთ შვება მომგვარა მე. ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა მიჰბაძოს მას, მაგალითს ღვთის მსახურებისა. (უფლის) მაღლი სანაცვლოს მიაგებს ყველაფრისთვის. 2. მივესალმები თქვენს ღმრთივღირსეულ ეპისკოპოსს და ღმრთივ-მშვენიერ სამღვდელოებას, ჩემს თანამსახურ დიაკვნებს და ყველა თქვენგანს, სათითაოდ და ერთად, იესო ქრისტეს სახელით, მისი ხორციითა და სისხლით, ვნებითა და აღდგომით, როგორც ხორციელი, ისე სულიერი ერთობით ღმერთთან და თქვენთან. იყოს თქვენთან მაღლი, წყალობა, მშვიდობა და მოთმინება სამარადისოდ.

თავი XIII დასკვნა

1. მოვიკითხავ ჩემი ძმების ოჯახებს, მათი ცოლებითა და შვილებითურთ, და ქალწულებს ნოდებულთ ქვრივებად.¹ განმტკიცდით სულიწმინდის ძალით.² მოგესალმებათ ფილონი,

1. τὰς παρθένους τὰς λεγόμενας χήρας. საუბარია ქალწულებზე, რომლებიც ქვრივებთან არიან გაიგივებულნი და დიაკონი ქალები არ არიან. ქვრივ ქალწულთა შესახებ წერს ტერტულიანეც: „მე დაზუსტებით ვიცი, რომ ზოგიერთ ადგილას ქალწული, რომელსაც ჯერ არ შესრულებოდა ოცი წელი, შეყვანილი იქნა ქვრივობაში (=ქვრივთა ფენაში)“ (*“Plane scio alicubi virginem in viduatu ab annis nondum viginti collocatam“*). ასეთ ქალწულს ტერტულიანე უწოდებს „ქალწულ ქვრივს“ (*“virgo vidua“*) და მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი თავს არ იბურავს თავსაფრით, როგორც ამას ქვრივი აკეთებს, და რომ იგი „უარყოფს საკუთარ თავს ორივე თვალსაზრისით, როგორც ქალწულს, რადგან ქვრივად ითვლება, და როგორც ქვრივს, რადგან ქალწულად იწოდება“ (*“utrumque se negans, et virginem, quae vidua deputetur, et viduam, quae virgo dicatur“*, თავდაბურულ ქალწულთა შესახებ, 9, PL 2, სვ. 902AB).

2. ლათიფუტის გამოცემაში ამ მონაკვეთში წარმოდგენილია: „განმტკიცდით მამის ძალით“ (*Ἐρρασθε μοι ἐν δυνάμει πατρὸς*, გვ. 131), PG-სა (სვ. 717B) და კრიტიკულ გამოცემაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 142) კი „განმტკიცდით სულიწმინდის ძალით“ (*Ἐρρασθε μοι ἐν δυνάμει πνεύματος*). როგორც ჩანს, ხელნაწერებში, რომელთაც გამომცემლები იყენებდნენ, ეს სიტყვა დაქარაგმებული იყო. იმავე იკითხვის ვხვდებით წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანშიც: „ცოცხლებითმცა ხართ ძალითა სულისა წმიდისაჲთა“ (გვ. 589). ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ტექსტში ვთარგმნით „სულიწმინდას“, როგორც უფრო მართებულ ვარიანტს.

რომელიც ჩემთან იმყოფება. 2. მოვიკითხავ ტავიას¹ ოჯახს, რომელსაც ვუსურვებ გაძლიერებას რწმენასა და სიყვარულში, ხორციელად და სულიერად. მოვიკითხავ ალკეს,² ჩემთვის სანატრელ სახელს, შეუდარებელ დაფნოსს და ევტეკნოსს, და ყველას სახელდებით. განმტკიცდით ღვთის მადლით.

1. ლაითფუტის გამოცემაში ეს სახელი მოცემულია, როგორც Γασιᾶ ("გავია", გვ. 131), PG-სა (სვ. 717B) და კრიტიკულ გამოცემაში (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 142) კი Τασιᾶ ("ტავია"). აღსანიშნავია, რომ არცერთ ამ გამოცემაში, ძირითადი ტექსტის ვარიანტის გარდა, სხვა იკითხვისი მოცემული არ არის. „გავია“ დასტურდება წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანშიც ("მოვიკითხავ სახლსა ღავიასსა", გვ. 589). Γ-სა და T-ს გრაფიკული გამოსახულება ბერძნულში მეტად ჰგავს ერთმანეთს და ამდენად ხელნაწერ ბერძნულში მისი აღრევა იოლია.

2. ამ სახელის მქონე პირი, ქრისტიანი ალკე, ნახსენებია აგრეთვე, წმ. ეგნატი ანტიოქიელის *ეპისტოლეში პოლიკარპეს მიმართ*, 8.2, და *წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობაში*, 17.2.

ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ

პროლოგი

ეგნატი, რომელსაც ღმერთშემოსილსაც უწოდებენ, პოლიკარპეს, სმირნელთა ეკლესიის ეპისკოპოსს, უკეთ, მამა ღმერთისა და იესო ქრისტეს ეპისკოპოსობის ქვეშ მყოფს (შდრ. 1პეტრე, 2.25), გისურვებ განმრავლებას სიხარულისა.

თავი I

მადლიერება და დარიგება

1. მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ შენი გონება ღვთისა-კენ არის მიმართული და დამყარებულია როგორც შეუძვრელ კლდეზე (შდრ. მათე, 16.18, 7.25), გარდამეტებულად ვადიდებ (უფალი), იმისათვის, რომ ღირსი გავხდი, მეხილა შენი უბინო სახე, რომლითაც, ვისურვებდი, (მარად) მეხარა ღმერთში.¹ 2. გევედრები, იმ მადლით, რომლითაც შემოსილი ხარ, წარემატო შენს გზაზე და შესთხოვო ყველას, რათა ცხონდნენ. იღვანე შენს (საეპისკოპოსო) ადგილას² ყოველნაირი მოშურნეობით, ხორციელით და სულიერით. იზრუნე ერთობაზე, რადგან მასზე უკეთესი არაფერია. შეენიე ყველა ადამიანს, როგორც შენ გექმნა შემწედ უფალი. მოთმინება და სიყვარული გქონდეს ყველას მიმართ, როგორც აკეთებ კიდევ (შდრ. ეფეს. 4.2). 3. მოიცალე უწყვეტი ლოცვებისათვის. ითხოვე მეტი გონიერება,

1. პოლიკარპე სმირნელს, როგორც ჩანს, ეგნატი ანტიოქიელი რომისაკენ გზაზე შეხვდა.

2. იგულისხმება საეპისკოპოსო წოდება.

ვიდრე გაქვს. შეინახე მღვიძარება, მოიპოვე სული დაუძინებელი.¹ ესაუბრე ყველა ადამიანს სათითაოდ, ღვთის ჩვეულების მსგავსად. იტვირთე ყველას სნეულებანი (შდრ. მათე, 8.17), როგორც სრულყოფილმა მოასპარეზემ.² სადაც მეტია შრომა, მრავალია მოსაგებელიც.

თავი II დარიგებანი

1. კარგი მონაფეები თუ გიყვარს, არ გექნება მადლი ამის გამო. უმჯობესია, ყველაზე უფრო საფრთხისშემცველნი დაიმორჩილო სახიერებით (შდრ. ლუკა, 6.34-35). ყველა ჭრილობა არ იკურნება ერთიდაიმავე სალბუნით. დააცხრე ავადმყოფობის შეტევანი საფენების დადებით. 2. ყველაფერში იყავი ბრძენი, როგორც გველი, და უმანკო, როგორც მტრედი სამარადისოდ (მათე, 10.16). იმისათვის ხარ ხორციელიც და სულიერიც, რომ კეთილად შეინყნარო ყველაფერი, რაც საჩინო-იქმნა შენს თვალთა წინაშე, ყოველივე უხილავი კი, ითხოვე, რომ განგეცხადოს შენ, რათა არაფერი გაკლდეს (შდრ. ფსალ. 22.1-2) და ყოველგვარი მადლით იყო აღმატებული. 3. როგორც მესაჭეებს ქარი და როგორც ქარიშხლით გვემულს – ნავსადგური, (ჩვენს) დროს შენ ღმერთთან მისაღწევად სჭირდება იფხიზლე, როგორც ღვთის ათლეტმა: ჯილდოდ გექნება უხრწნელება და საუკუნო ცხოვრება, რომელთა შესახებაც შენც დარწმუნებით იცი. შენი ცხოვრების სანაცვლო ვიყო ყოვლითურთ მეც და ჩემი ბორკილებიც, რომლებიც შენ შეიყვარე.

თავი III დარიგებანი (გაგრძელება)

1. ნუ შეგაცბუნებენ ისინი, ვინც ღირსსარწმუნო ადამიანებად ჩანან და სხვაგვარ მოძღვრებას ასწავლიან³ (შდრ. 1ტიმ.

1. γρηγορεί ἀκοίμητον πνεῦμα κεκτημένος.

2. ἀθλητής.

3. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 2.2.

1.3-4, 6.3-4). იდექ მყარად, როგორც გრდემლი, რომელსაც ურტყამენ. დიდ ათლეტს სჩვევია დარტყმების მიღება და გამარჯვება. განსაკუთრებით კი ღვთის გამო გვმართებს ყველაფრის დათმენა, რათა თავადაც დაგვითმინოს ჩვენ. 2. იყავი უფრო გულმოდგინე, ვიდრე ხარ. დააკვირდი ჟამთასვლას. მოელოდე მას, ვინც ჟამს ალემატება და უჟამოა, უხილავსა და ჩვენ გამო ხილულს, ხელშეუხებელს, უვნებელსა და ჩვენ გამო ვნებულს, რომელმაც ყველანაირი გზით ჩვენ გამო ყველაფერი დაითმინა.

თავი IV დარიგებანი (გაგრძელება)

1. ქვრივი ქალები არ უნდა დარჩნენ მზრუნველობის გარეშე. უფლის შემდეგ შენ უნდა იყო მათზე მზრუნველი. შენი ნებართვის გარეშე არაფერი უნდა გაკეთდეს, არც შენ უნდა გააკეთო რაიმე ღვთის ნების¹ გარეშე, რასაც არც აკეთებ. მტკიცედ იდექი! 2. შეკრებები ხშირ-ხშირად უნდა ჩატარდეს,² ყველა სახელობით მოიწვიე. 3. ნუ უგულვებელყოფ მონებსა და მხევლებს, მაგრამ ნურც ისინი იქნებიან მედიდურნი, არამედ ღვთის სადიდებლად უფრო მეტად უნდა მონობდნენ, რათა უმჯობეს თავისუფლებას მიემთხვიონ ღვთისგან. ნუ მოინადინებენ გათავისუფლებას საზოგადო ხარჯით, რათა გულისთქმის მონები არ აღმოჩნდნენ (შდრ. 1 კორ. 7.21-22).

1. ეს მონაკვეთი ლათინურულიდან შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: *ἀνεθεὶς ἰσχυρῶς τὴν παράθεον* (გვ. 132). ამ მონაკვეთიდან ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში *ἰσχυρῶς* ('გონება', 'ნება') არ არის მოცემული არც ძირითად ტექსტში, არც იკითხვისებს შორის (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 148). PG-ს ტექსტში ეს სიტყვა დასტურდება, თუმცა მას ერთვის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ის დამატებული იქნა ინტერპოლატორის მიერ და იკითხება, ასევე სირიულ თარგმანშიც (სვ. 721, შენ. 35). მეორე მხრივ, წინადადების შინაარსი მის დამატებას მართლაც მოითხოვს. იგი დაცულია წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანშიც: „თვნიერ ბრძანებისა შენისა ნუმცა რაჲ იქმნების; და ნუცა რას შენ იქმ თვნიერ ღმრთისა ნებისა“ (გვ. 591).

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 13.1.

თავი V

უქორწინებელ მეუღლეთა და დასაქორწინებელთა შესახებ

1. ავხელოვნებებს¹ ერიდე, უფრო მეტად კი ამის შესახებ წარმართე საუბარი: ჩემს დებს ესაუბრე, რომ უყვარდეთ უფალი და ხორციელად და სულიერად დაკმაყოფილდნენ თავიანთი თანამცხოვრებლებით. ამგვარადვე, ჩემს ძმებს ამცნე იესო ქრისტეს სახელით, უყვარდეთ თავიანთი თანამცხოვრებელი ქალები, როგორც უფალს – ეკლესია (ეფეს. 5.25-29). 2. თუკი ვინმეს ძალუძს უბინოებაში დარჩენა უფლის ხორცისათვის პატივის მისაგებად, დარჩეს ბაქიაობის გარეშე, თუ ტრაბახს დაიწყებს, წარწყმედილი იქნება.² ხოლო თუ საკუთარ თავს ეპისკოპოსზე მალლა დააყენებს,³ განიხრწნება (შდრ. 1ტიმ. 3.2). დაქორწინებულ მამაკაცებსა და ქალებს კი ჰმართებთ (საქორწინო) კავშირის დამყარება ეპისკოპოსის თანხმობით,⁴ რათა ქორწინება უფლისმიერი იყოს და არა გულისთქმაზე დამყარებული. დაე, ყველაფერი კეთდებოდეს ღვთისთვის პატივის მისაგებად.

თავი VI

ქრისტიანული სამწყსოს მოვალეობანი

1. უსმინეთ ეპისკოპოსს, როგორც ღმერთი გისმენთ თქვენ. მათი ცხონების სანაცვლო იყოს ჩემი სული, ვინც ემორჩილება ეპისკოპოსს, მღვდლებსა და დიაკვნებს. დაე, ღვთის წინაშე მათთან ერთად მქონდეს წილი. ერთად იღვანეთ, ერთად იასპარეზეთ, ერთად იარეთ, ერთად ევნეთ, ერთად დაიძინეთ, ერთად გაიღვიძეთ, როგორც ღვთის მნებება, თანაშემწეებმა და მსახურებმა.⁵ 2. აამეთ მას, ვისთვისაც იბრძვით (შდრ. 2ტიმ.

1. საუბარია მოგვობისა და მსგავსი უწმინდური საქმიანობის შესახებ. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 6.2.

2. საუბარია ქალწულთა ქედმაღლური დამოკიდებულების შესახებ დაქორწინებულთა მიმართ, რის გამოც მედიდური კარგავს სულიერ მადლს და ნამუშაკვევს. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 38.2.

3. იგულისხმება: იმ შემთხვევაში, თუკი ეპისკოპოსი დაქორწინებულია.

4. ეს მონაკვეთი წარმოადგენს ქრისტიანული ქორწინების პირველ მითითებას.

5. ამ ჩამონათვალში ნაგულისხმევია საეკლესიო იერარქიის სამი საფეხური: ეპისკოპოსი, როგორც ღვთის სახლის, ტაძრის მწე (οἰκονομος),

2.4), ვისგანაც საზღაურს ღებულობთ (შდრ. რომ. 6.23). ნურც-ერთი თქვენგანი ნუ გაიქცევა ბრძოლისას.¹ დარჩეს თქვენთან თქვენი ნათლისღება როგორც იარაღი, რწმენა – როგორც მუზარადი, სიყვარული – როგორც შუბი, მოთმინება – როგორც სრული საომარი აღჭურვილობა (შდრ. ეფეს. 6.11,13-17; 1თეს. 5.8; ესაია, 59.17). თქვენი შენატანი² თქვენი საქმეებია, რათა სანაცვლოდ ღირსეული მოსაგებელი³ მიიღოთ. ამდენად, იყავით დიდსულოვანნი ერთმანეთის მიმართ სახიერებით, როგორც ღმერთი – თქვენ მიმართ. ვისურვებდი თქვენთან ერთად ყოფნას სამარადისოდ!

თავი VII

ანტიოქიაში დესპანის გაგზავნის თხოვნა

1. რადგანაც თქვენი ლოცვა-კურთხევით, როგორც შევიტყვე, მშვიდობამ დაივანა სირიის ანტიოქიის ეკლესიაში, მეც ღვთის სიმშვიდეში უფრო მეტად გავიხარე, ოღონდ კი ვნების მეშვეობით ღმერთს მივემთხვიო, რათა თქვენი ვედრების წყალობით (ღვთის ჭეშმარიტ) მონაფედ ვიყო მიჩნეული.⁴ 2. ღმრთივსანატრელო პოლიკარპე, გმართებს მოიწვიო ღმრთივშენიერი შეკრება და აირჩიო⁵ ვინმე, ვინც დიდად საყვარე-

მღვდლები, როგორც მათი თანაშემწეები (παρέδρι), და დიაკვნები, როგორც მსახურები (σπυρέται). შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 6.1; *ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ*, 6.1; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 3.1. იხ. ასევე, *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 152, შენ. 1.

1. სიტყვასიტყვით: ნუ აღმოჩნდება დეზერტირი (δεδέρταρ).

2. τὰ δεπόμενα. ლათინური სიტყვის ბერძნული ტრანსლიტერაცია. იხ. მომდევნო სქოლიო.

3. τὰ ἄκεπτα (“accepta”). ლათინური სიტყვის ბერძნული ტრანსლიტერაცია. გარდა სარგებლისა, რომელსაც ეს სიტყვა ლათინურ ენაზე აღნიშნავს, იგი გამოიყენებოდა იმ შენატანის მისათითებლადაც, რომელიც იდებოდა ჯარისკაცის სახელზე (“deposita”), და ეძლეოდა მას დათხოვნის შემდეგ (“accepta”, იხ. Lampe, 1961, გვ. 63).

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ეფესელთა მიმართ*, 1.2, 3.1; *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 5.5; *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 4.2, 5.3.

5. სიტყვასიტყვით: ხელი დაასხა (χειροδοῖσθαι).

ლი და დაუცხრომელი ადამიანი გყავთ, რომელსაც შეიძლება ღვთის დესპანი ეწოდოს.¹ მას უნდა მიენდოს გამგზავრება სირიისაკენ და თქვენი დაუცხრომელი სიყვარულის განდიდება ღვთის სადიდებლად. 3. ქრისტიანი არავის ძალაუფლების ქვეშ არ იმყოფება, არამედ თავისუფალი უნდა იყოს ღვთის (სამსახურისთვის). ხოლო როდის აღასრულებთ ამას, ეს ღვთისა და თქვენი საქმეა. მე მწამს მადლისა (და ვიცი), რომ თქვენ მზად ხართ ყოველგვარი კეთილი საქმისათვის, რომელიც ღმერთს შეეფერება. ხოლო რადგანაც ვიცი მგზნებარება თქვენი ჭეშმარიტებისა, დარიგება რამდენიმე სიტყვით გამოვავზავნე.

თავი VIII

გაგზავნონ ანტიოქიაში დესპანი სხვა ეკლესიებმაც

1. ვინაიდან ვერ შევძელი, მიმენერა ყველა ეკლესიისათვის ტროიდან ნეაპოლისაკენ ჩემი უეცარი გამგზავრების გამო (შდრ. საქმე, 16.11), როგორც განაგო ნებამ (ღვთისა) (შდრ. რომ. 2.18), შენ, როგორც ღვთის ჩანაფიქრის² მცოდნე, მისწერ ახლომდებარე ეკლესიებს, რომ თავადაც იგივე მოიმოქმედონ: ვისაც ძალუძს, ქვეითი შიკრიკები მიავლინოს, სხვებმა კი წერილები გაატანონ შენ მიერ გაგზავნილთ, რათა საუკუნო საქმით იდიდებოდეთ, როგორც ღირსი ხარ ამისა. 2. მივესალმები ყველას სახელდებით, და ეპიტროპოსის მეუღლეს მთელს მის ოჯახთან და შვილებთან ერთად. მივესალმები ჩემს საყვარელ ატალოსს. მივესალმები მასაც, ვინც მომავალში სირიისაკენ გამგზავრების ღირსი გახდება. დაე, მასთან და მის წარმვლენელ პოლიკარპესთან იყოს (ღვთის) მადლი სამარადისოდ. 3. ვლოცულობ, რომ განმტკიცდეთ სამარადჟამოდ ჩვენს ღმერთში, იესო ქრისტეში, და ეგოთ მასში, ღვთის ერთობასა და მფარველობაში. მივესალმები ალკეს, ჩემს სასურველ სახელს. განმტკიცდით უფალში!

1. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, 10.1; *სმირნელთა მიმართ*, 11.2.

2. γῶμα.